

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი

დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები

შრომების კრებული

თბილისი
2015

კრებულში წარმოდგენილია საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დემოგრაფიის და ოჯახის პრობლემებთან საქართველოში. კრებულში მოტანილი სტატიები ეფუძნება როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ინფორმაციას, ისე 2014 და წინა წლებში ჩატარებული დემოგრაფიულ-სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებს.

სარედაქციო კოლეგია: *ავთანდილ სულაბერიძე* (მთავარი რედაქტორი); *გიორგი წულაძე; ციცილო გვრიტიშვილი; ნინო გომელაური*

კრებული დააკაბადონა და გამოსაცემად მოამზადა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა მარინა ხაჩატუროვამ.

კრებული გამოცემულია ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ საკუთარი ხარჯით.

შინაარსი

| | |
|--|-----|
| წინასიტყვაობა..... | 2 |
| დ ე მ ო გ რ ა ფ ი ა | 4 |
| <i>გიორგი წულაძე</i> – საქართველოს უახლესი დემოგრაფიული ვითარება (2005-2013 წწ.)..... | 4 |
| <i>შორენა წიკლაური</i> – განათლების მიღწეული დონის გავლენა ქორწინებით ქცევაზე | 17 |
| ო ჯ ა ხ ი ს ს ო ც ი ო ლ ო გ ი ა | 29 |
| <i>ავთანდილ სულაბერიძე, ვლადიმერ სულაბერიძე</i> – მომხმარებლურიდან მწარმოებლურ ოჯახზე გადასვლის პრობლემები საქართველოში..... | 29 |
| <i>ელგუჯა მენაბდიშვილი, ვანო შუშტაკაშვილი</i> – ოჯახური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვან ღირებულებათა ტრანსფორმაცია თანამედროვე ეტაპზე..... | 41 |
| ძ ა ლ ა დ ო ბ ა ო ჯ ა ხ შ ი | 53 |
| <i>ავთანდილ სულაბერიძე, ციციხოველი გვრიტიშვილი, ნინო გომელაური</i> – ოჯახში ძალადობის სოციოლოგიური ასპექტი | 54 |
| <i>ციციხოველი გვრიტიშვილი, ნინო გომელაური, მარიამ სულაბერიძე</i> – ოჯახში ძალადობის სახეები..... | 75 |
| <i>მზია შელია</i> – სტუდენტთა დამოკიდებულება კონფლიქტზე ოჯახში..... | 93 |
| <i>ნანა მენაბდიშვილი</i> – სტუდენტი ახალგაზრდების მოსაზრება მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ | 108 |
| <i>ლოლა მენაბდიშვილი</i> – ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული წარმოდგენები და დამოკიდებულებები | 118 |
| ავტორები:..... | 133 |

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ 2014 წელს შესრულებული მეცნიერული კვლევის შედეგები.

კრებული იწყება პროფესორ გიორგი წულაძის სტატიით, რომელშიც მოკლედ გაანალიზებულია საქართველოს დემოგრაფიული ვითარება მოსახლეობის აღწარმოების გარდამავალ ტიპთა შორის პერიოდში. ყურადღება გამახვილებულია უახლოეს წლებში 2017-2020 წწ. საქართველოში მოსალოდნელ ნეგატიურ დემოგრაფიულ ტენდენციებზე.

ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი შ. წიკლაური განიხილავს განათლების მიღწეული დონის გავლენას ქორწინებით ქცევაზე. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებისა და ბოლო პერიოდში საქართველოში ჩატარებული სოციო-დემოგრაფიული გამოკვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესწავლილი აქვს დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ქორწინებით ქცევაზე გენდერულ ჭრილში.

საქართველოში არსებული სიღარიბის ფონზე განხილულია მომხმარებლურიდან მწარმოებულ ოჯახზე გადასვლის თეორიული მოდელი. 1990-იან და 2013 წლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე გაანალიზებულია „Famiy transformaticus“-ის ფორმირების პრობლემები საქართველოში არსებული სიღარიბის პირობებში.

თანამედროვე ოჯახის სოციალური მოდერნიზაციის პრობლემებს ეხება პროფესორ ელგუჯა მენაბდიშვილის გამოკვლევა, სადაც ავტორი თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში განიხილავს ოჯახში არსებული სოციალურ-კულტურული ფასეულობების ცვლილებებს და ხაზგასმით აღნიშნავს, ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისათვის ქართულ ოჯახში ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნების აუცილებლობას.

კრებულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვეობის დევიაციურ სოციალურ მოვლენათა შორის

ოჯახში ძალადობის გახშირებულ შემთხვევებს, მისი მეცნიერული გააზრებისა და კვლევის აუცილებლობას.

კრებულში, ოჯახში ძალადობის საკითხები განხილულია მაკრო, მეზო, და მიკროდონეებზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით.

დახასიათებულია ოჯახში ძალადობის სახეები, მათი გამომწვევი მიზეზები და შედეგები.

პრობლემის მასშტაბებიდან და სიმწვავიდან გამომდინარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევართა (ა. სულაბერიძე, ე. მენაბდიშვილი, ვ. შუშტაკაშვილი, ვ. სულაბერიძე, მ. შელია, ც. გვრიტიშვილი, ნ. გომელაური, ლ. მენაბდიშვილი, ნ. მენაბდიშვილი) მიერ 2014 წელს, თბილისის რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილია სტუდენტთა შეხედულებები ოჯახის შექმნის მოტივების, კონფლიქტებისა და ძალადობის მიმართ. შესწავლილია მათი ინფორმირებულობის დონე „საქართველოს კანონის ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ და სხვ.

რედკოლეგია

დ ე მ ო გ რ ა ფ ი ა

გიორგი წულაძე


საქართველოს უახლესი დემოგრაფიული ვითარება (2005-2013 წწ.)

უახლეს დემოგრაფიულ ვითარებაზე მსჯელობისას უპირველეს ყოვლისა გარკვევას ექვემდებარება თვითონ "უახლესის" განმარტება. მოტანილიდან გამომდინარე ყურადღებას იქცევს "უახლესის" განმარტება. რა მივიჩნით დემოგრაფიულ ვითარებაზე მსჯელობისას უახლეს პერიოდად. მოცემულ შემთხვევაში რამდენიმე განმარტებას უნდა შევხვით. დავიწყოთ გინდაც იმით, თუ რა იგულისხმება "უახლესში"?! მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ და გამოვდივართ დემოგრაფიული გადასვლის თვალსაზრისიდან. ამასთან, ვინაიდან საქართველოს დემოგრაფიული ვითარება იგულისხმება, უნდა გავითვალისწინოთ შესაბამისი სპეციფიკური მდგომარეობა. უახლესი დემოგრაფიული ვითარების პერიოდის განსაზღვრისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმ ცნებების შინაარსიდან ხელმძღვანელობა, რომელიც ქართულ დემოგრაფიულ ლიტერატურაში გვხვდება. პირველ რიგში სამართლიანად მიგვაჩნია "შუალედურის" ნაცვლად "გარდამავალი პერიოდის" გამოყენება შესაბამის კონტექსტში. ასევე, მართებულად მიგვაჩნია ტერმინის "ფაზათაშორის გარდამავალი პერიოდი", რომელიც ჩვენი აზრით კარგად გამოხატავს იმ განსხვავებებს, საიდანაც გამომდინარეობს მისთვის დამასიათებელი დემოგრაფიული თავისებურებები. მოცემული შემთხვევისათვის უნდა განვასხვაოთ "მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდი" და "ფაზათაშორისი გარდამავალი პერიოდები".¹

¹ ა. სულაბერიძე, ვ. სულაბერიძე. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის, ფაზათაშორისი და ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდის

დემოგრაფიისათვის ზემოთ მოტანილი ცნობილი და გასაგებია, ამიტომ, აქ მათზე ყურადღებას არ გავამახვილებთ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ქვემოთ უახლესი დემოგრაფიული ვითარებისას განვიხილავთ "ტიპთაშორის პერიოდს", რომელიც საქართველოში დაახლოებით 2005 წლიდან დღემდე გრძელდება.

დიაგრამა 1. საქართველოს მოსახლეობის ზოგიერთი მაჩვენებელი 2005-2013 წწ.



წყარო: G. Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2013. UNFPA. Tbilisi, 2014, p. 17.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას შორის განსხვავება საქსტატიცა და შეფასებითი მონაცემებიდან გამომდინარე. საქსტატიცის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 2005 წლიდან 2014 წლამდე რამდენადმე გაიზარდა (169 ათასით), მაშინ როდესაც შეფასებითი მონაცემებით ის შემცირდა (138,6 ათასით). ამასთან, მნიშვნელოვანი განსხვავებაა საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში საქსტატიცისა და შეფასებით

შესახებ. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომების კრებული. თბ., 2004 წ. ტ. 2, გვ. 62-76.


მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პერიოდი საქართველოში. ჟურ. „მაცნე“, #4, 2005 წ., გვ. 70-84.

მონაცემებს შორის. აღნიშნული სხვაობა 729,8 ათასის ტოლია. იმედია, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა მოგვცემს საშუალებას დავაზუსტოდ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა.

გარკვეული განსხვავებაა მოსახლეობის ასაკობრივ-ქესობრივი შემადგენლობის თვალსაზრისითაც, რაზედაც წარმოდგენას იძლევა დიაგრამა 2.

თუ განვაზოგადებთ წარმოდგენილ პირამიდებს, მაშინ გამომდინარეობს, რომ 2014 წლისათვის საქსტატის მონაცემებით 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობა 17,1%-ს შეადგენდა, 15-64 წლის ასაკის – 68,9%-ს, ხოლო 65 და უფროსი ასაკის – 14,0%-ს.

დიაგრამა 2. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-ქესობრივი პირამიდა 2014 წლისათვის



წყარო: G. Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2013. UNFPA. Tbilisi, 2014, p. 44.

შეფასებითი მონაცემებით შესაბამისად შემდეგ განაწილებას ჰქონდა ადგილი: 15 წლამდე – 19,9%, 15-64 – 64,3%, 65 და უფროსი – 15,8%. ამდენად, შეფასებითი

მონაცემებით საქსტატთან შედარებით რამდენადმე მაღალია როგორც ახალგაზრდა, ისე ასაკობრივი მოსახლეობის წილი. ყურადღებას იქცევს შობადობის მაჩვენებლები. როგორც საქსტატის, ისე შეფასებითი მონაცემებით განსახილველ პერიოდში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა ჯერ გაიზარდა, ხოლო შემდეგ კლების ტენდენციით ხასიათდება (იხ. ცხრილი 1). აღსანიშნავია, რომ შეფასებითი მონაცემებით ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა აღემატება საქსტატის შესაბამის მონაცემებს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, შეფასებითი მონაცემებიდან გამომდინარე ადგილი აქვს ცოცხლად დაბადებულთა არასრულ აღრიცხვას. მაგ., 2013 წელს ცოცხლად დაბადებულთა არასრული აღრიცხვა დაახლოებით 2300 შეადგენდა.

ცოცხლად დაბადებულთა და მოსახლეობის რაოდენობის (ასევე ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობის) იმ განსხვავებებიდან გამომდინარე, რომლებიც საქსტატისა და შეფასებით მონაცემებს შორის არის, ვღებულობთ საკმაოდ მნიშვნელოვან განსხვავებას შობადობის ისეთ მაჩვენებლების მიხედვით, როგორც არის შობადობის ზოგადი და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები. შეფასებითი მონაცემებით შობადობის დონე 2013 წელს საქართველოში უზრუნველყოფდა მოსახლეობის ოდნავ გაფართოებულ აღწარმოებას, მაშინ, როდესაც საქსტატის შობადობის მაჩვენებელი მიუთითებს მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას.

ყურადღებას იქცევს ასევე ერთი გარემოება. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის შემცირება, პირველ რიგში გულისხმობს მაღალი რიგითობის ბავშვებზე უარის თქმას, ანუ ოჯახები იზღუდებიან ბავშვების ნაკლები რაოდენობით. აღნიშნულს მოჰყვება დაბადებული ბავშვების საშუალო რიგითობის შემცირება. მოცემულ შემთხვევაში საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი, რაც უცნაურად გამოიყურება. განსხვავებაა ასევე ცალკეულ წლებში შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტსა და დაბადებულთა საშუალო რიგითობის მაჩვენებლებს შორის.

ცხრილი 1. შობადობის ზოგიერთი მაჩვენებელი საქართველოში 2005-2013 წწ.


| წელი | ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა | შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, ‰ | შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი | ქორწინების გარეშე დაბადებულები, ‰ | მე-3 და შემდგომი რიგითობის ბავშვები | დაბადებულთა საშუალო რიგითობა |
|----------|-------------------------------|---------------------------------|---------------------------------|-----------------------------------|-------------------------------------|------------------------------|
| 2005 | | | | | | |
| საქსტატი | 46512 | 10.7 | 1.390 | 49.7 | 11.6 | 1.58 |
| შეფასება | 50000 | 12.9 | 1.722 | ... | ... | ... |
| 2006 | | | | | | |
| საქსტატი | 47795 | 10.9 | 1.400 | 54.4 | 11.5 | 1.56 |
| შეფასება | 50000 | 13.0 | 1.740 | ... | ... | ... |
| 2007 | | | | | | |
| საქსტატი | 49287 | 11.2 | 1.450 | 43.9 | 10.9 | 1.55 |
| შეფასება | 50000 | 13.1 | 1.762 | ... | ... | ... |
| 2008 | | | | | | |
| საქსტატი | 56565 | 12.9 | 1.670 | 34.3 | 12.5 | 1.62 |
| შეფასება | 57000 | 15.0 | 2.036 | ... | ... | ... |
| 2009 | | | | | | |
| საქსტატი | 63377 | 14.4 | 1.860 | 31.4 | 13.6 | 1.65 |
| შეფასება | 64000 | 16.9 | 2.314 | ... | ... | ... |
| 2010 | | | | | | |
| საქსტატი | 62585 | 14.1 | 1.830 | 36.6 | 14.7 | 1.71 |
| შეფასება | 63500 | 16.8 | 2.322 | ... | ... | ... |
| 2011 | | | | | | |
| საქსტატი | 58014 | 12.9 | 1.689 | 33.8 | 15.0 | 1.73 |
| შეფასება | 60500 | 16.0 | 2.237 | ... | ... | ... |
| 2012 | | | | | | |
| საქსტატი | 57031 | 12.7 | 1.668 | 32.4 | 15.6 | 1.75 |
| შეფასება | 63000 | 16.7 | 2.344 | ... | ... | ... |
| 2013 | | | | | | |
| საქსტატი | 57878 | 12.9 | 1.717 | 32.9 | 16.6 | 1.77 |
| შეფასება | 60200 | 16.0 | 2.251 | ... | ... | ... |

წყარო: G. Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2013. UNFPA. Tbilisi, 2014, pp. 46, 49-50, 58, 52.

ცნობილია, რომ შობადობის რეჟიმის თანდათანობითი ცვლილებისას აღნიშნული მაჩვენებლები თავისი სიდიდით, ერთი და იგივე წელს, მსგავსი უნდა იყვნენ. განსხვავებები

შეიძლება აიხსნას დაბადებათა კალენდრის ცვლილებით.²

დიაგრამა 3. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები და დაბადებულთა საშუალო რიგითობა საქართველოში 2005-2013 წლებში



იყო წელი (2006), როდესაც ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილმა საერთო დაბადებულებში 50%-ს გადააჭარბა. შემდეგ წლებში ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი მცირდება და 2010-იან წლებში 33%-ის ფარგლებში მერყეობს. ჩვენი აზრით, ქორწინების გარეშე შობადობის დონე საქართველოში განპირობებულია რელიგიური ქორწინებებით, რომლებსაც არ გააჩნიათ იურიდიული მნიშვნელობა. დაქორწინებულთა ნაწილი მიმართავს მხოლოდ რელიგიურ ქორწინებას და არ აწარმოებს ქორწინების იურიდიულ რეგისტრაციას.

ყურადღებას იქცევს სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულთა შორის, რომელიც ჩვენი გაანგარიშებით 100 გოგონაზე 106 ბიჭის ფარგლებშია, თუმცა საქსტატის მონაცემებით რამდენადმე მეტია.


საქართველოს დემოგრაფიული განვითარებიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, იგულისხმება მოკვდაობის

² Население России 1998. Шестой ежегодный демографический доклад. Ответственный редактор А.Г. Вишневский. М., 1999, с. 39-40.

ზრდა, რაც თავისთავად გულისხმობს გარდაცვლილთა რაოდენობის მატებასაც.

ამასთან დაკავშირებით, ჩვილთა მოკვდაობის გამოკლებით, მატულობს მოკვდაობის პრაქტიკულად ყველა მაჩვენებელი. გამონაკლისს წარმოადგენს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, რომელიც ასევე იზრდება.

დიაგრამა 4. ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებლები საქართველოში 2005-2013 წლებში



მაგალითად, ნათელია განსხვავება ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებლებს შორის, ისე როგორც სხვა მონაცემებს შორის.

მოცემულ შემთხვევაშიც განსხვავებაა საქსტატისა და შეფასებით მონაცემებს შორის. შეფასებითი მონაცემებიდან გამომდინარე ადგილი აქვს არასრულ აღრიცხვას და აქედან გამომდინარე მოკვდაობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები ნაკლებად "ოპტიმისტურად" გამოიყურება (იხ. ცხრ. 2).

უნდა ითქვას, რომ გაეროს ექსპერტთა მონაცემებით ჩვილთა მოკვდაობის ის დონე, რომელიც საქსტატის მონაცემებით 2013 წლისათვის არის მითითებული, მიღწეული იქნება მხოლოდ 2050 წლისათვის.³

³ გ. წულაძე. მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარება (1950-2050). ტ. 2, 2004, გვ. 139.

ცხრილი 2. მოკვდაობის ზოგიერთი მაჩვენებელი საქართველოში
2005-2015 წწ.

| წელი | გარდაცვლილთა რაოდენობა | მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი, ‰ | ჩვილთა მოკვდაობა (1000 ცოცხლად დაბადებულზე) | სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას | |
|----------|------------------------|----------------------------------|---|--|--------|
| | | | | მამაკაცები | ქალები |
| 2005 | | | | | |
| საქსტატი | 42284 | 9.9 | 19.7 | 70.1 | 77.6 |
| შეფასება | 50260 | 12.9 | 23.0 | 67.5 | 74.8 |
| 2006 | | | | | |
| საქსტატი | 42255 | 9.6 | 15.8 | 69.8 | 78.5 |
| შეფასება | 48745 | 12.7 | 23.3 | 67.2 | 75.6 |
| 2007 | | | | | |
| საქსტატი | 41178 | 9.4 | 13.3 | 70.5 | 79.4 |
| შეფასება | 48714 | 12.7 | 22.0 | 67.3 | 75.6 |
| 2008 | | | | | |
| საქსტატი | 43011 | 9.8 | 17.0 | 69.3 | 79.0 |
| შეფასება | 50334 | 13.2 | 20.8 | 66.4 | 75.3 |
| 2009 | | | | | |
| საქსტატი | 46625 | 10.6 | 14.9 | 69.2 | 77.7 |
| შეფასება | 50224 | 13.2 | 20.3 | 66.5 | 75.2 |
| 2010 | | | | | |
| საქსტატი | 47864 | 10.7 | 11.2 | 70.0 | 78.7 |
| შეფასება | 53146 | 14.0 | 20.4 | 65.7 | 75.2 |
| 2011 | | | | | |
| საქსტატი | 49818 | 11.1 | 12.1 | 70.2 | 78.6 |
| შეფასება | 53463 | 14.1 | 19.8 | 66.3 | 75.6 |
| 2012 | | | | | |
| საქსტატი | 49348 | 11.0 | 12.5 | 70.2 | 79.0 |
| შეფასება | 50722 | 13.4 | 19.0 | 66.9 | 76.4 |
| 2013 | | | | | |
| საქსტატი | 48553 | 10.8 | 11.1 | 70.8 | 79.4 |
| შეფასება | 50408 | 13.4 | 17.4 | 67.1 | 76.6 |

წყარო: G. Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2013. UNFPA. Tbilisi, 2014, pp. 46, 118, 243-244.

მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე მოკვდაობის საერთო დონე მოსახლეობის 1000 სულზე იზრდება, რაც ბუნებრივი მოვლენაა დემოგრაფიული განვითარების ეტაპისდან გამომდინარე.

მიგვაჩნია, რომ საქსტატის მონაცემებით, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა რამდენადმე აღემატება რეალურ

ვითარებას. მოცემულზე მეტყველებს Lx-ის (ცოცხლად მყოფთა რიცხვი ასაკობრივ ინტერვალში) მაჩვენებლები 80 და 85 და უფროსი ასაკისათვის. საქმე ის არის, რომ 2005 წლიდან ქალებისათვის, ხოლო 2012 წლიდან ორივე სქესისათვის 85 წლისა და უფროსი ასაკისათვის ცოცხლად მიღწეულთა რიცხვი აღემატებოდა 80 წელს მიღწეულთა რიცხვს, რაც ბუნებრივია სრული უაზრობაა.

საყურადღებოა მოკვდაობა სიკვდილის მიზეზების მიხედვით. სიკვდილის ძირითად მიზეზებს წარმოადგენს სისხლის მიმოქცევის სისტემისა და ახალწარმონაქმნების დაავადებები. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში (განსაკუთრებით 2009 წლიდან) მოიმატა იმ დაავადებათა წილმა, რომელიც შეტანილია რუბრიკაში "სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრები, გამოვლენილი კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებისას, რომლებიც არ არიან კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში", ანუ დაუდგენელი დიაგნოზით. მსგავსი მდგომარეობა პრაქტიკულად აუფასურებს და პრობლემას უქმნის ჯანდაცვის ღონისძიებებსა და შესაბამისი პოლიტიკის გატარებას.


მოსახლეობის ბუნებრივი მატება საქართველოში ბოლო წლებში რამდენადმე გაიზარდა, თუმცა საქსტატის მონაცემებით მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც, მაშინ როდესაც შეფასებითი მონაცემებით 2009 წლიდან ადგილი აქვს ოდნავ გაფართოებულ აღწარმოებას.

შეიძლება ითქვას, რომ 2013 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ბუნებრივი გზით 9 ათასზე მეტით მატულობდა.

საკმაოდ მაღალი იყო მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა. 2013 წლისათვის საქსტატის მონაცემებზე დაფუძნებით ის შეადგენდა 1,016, ხოლო შეფასებითი მონაცემებით – 1,023.

მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმზე საქართველოში 2005-2013 წლებში წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოტანილი დიაგრამა.

დიაგრამა 5. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტები საქართველოში 2005-2013 წწ.



წყარო: G. Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2013. UNFPA. Tbilisi, 2014, pp. 49-50.

უნდა ითქვას, რომ განსახილველ პერიოდში ქორწინებათა რაოდენობა თითქმის გაორკეცდა. შესაბამისად გაიზარდა როგორც ქორწინების მაჩვენებელი მოსახლეობის 1000 სულზე, ისე მამაკაცებისა და ქალების ჯამობრივი კოეფიციენტები. ამ თვალსაზრისით მაქსიმუმი 2010 წლისათვის იქნა მიღწეული, ხოლო შემდეგ წლებში კლებას ჰქონდა ადგილი. ამავ დროს ადგილი ჰქონდა ქორწინების საშუალო ასაკის ზრდას როგორც მამაკაცებისათვის, ისე განსაკუთრებით ქალებისათვის. მამაკაცებისათვის ქორწინების საშუალო ასაკმა, განსახილველ პერიოდში, დაახლოებით 1 წლით მოიმატა, ხოლო ქალების შემთხვევაში – 1,6 წლით.

თავის მხრივ ქორწინების ასაკის ზრდა ერთ-ერთი ის ფაქტორია, რომელიც მოქმედებს შობადობაში მომხდარ იმ სტრუქტურულ ცვლილებებზე, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა. მოცემულ შემთხვევაში ვგულისხმობთ განსხვავებებს შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტსა და დაბადებული ბავშვების საშუალო რიგითობას შორის.

მთლიანობაში ქორწინების ასაკის ზრდის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ქორწინების თვალსაზრისით საქართველოში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა.

ცხრილი 3. ქორწინების ზოგიერთი მაჩვენებელი საქართველოში 2005-2013 წწ. (საქსტატის მონაცემებით)

| წელი | ქორწინებათა რაოდენობა | ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი (მოსახლეობის 1000 სულზე) | ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი (ყველა ქორწინება) | | ქორწინების საშუალო ასაკი (ყველა ქორწინება) | |
|------|-----------------------|--|--|--------|--|--------|
| | | | მამაკაცები | ქალები | მამაკაცები | ქალები |
| 2005 | 18012 | 4.1 | 0.662 | 0.608 | 29.9 | 25.9 |
| 2006 | 21845 | 5.0 | 0.681 | 0.633 | 29.6 | 25.6 |
| 2007 | 24891 | 5.7 | 0.924 | 0.866 | 29.7 | 25.8 |
| 2008 | 31414 | 7.0 | 0.941 | 0.901 | 29.1 | 25.5 |
| 2009 | 31752 | 7.2 | 0.932 | 0.907 | 29.3 | 25.6 |
| 2010 | 34675 | 7.8 | 1.263 | 1.233 | 30.1 | 26.3 |
| 2011 | 30863 | 6.9 | 1.109 | 1.100 | 30.2 | 26.7 |
| 2012 | 30412 | 6.8 | 0.833 | 0.847 | 29.8 | 26.9 |
| 2013 | 34693 | 7.7 | 0.955 | 0.982 | 30.8 | 27.5 |

წყარო: G. Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2013. UNFPA. Tbilisi, 2014, pp. 46, 72, 78.

განსახილველ პერიოდში, პრაქტიკულად მოკლე დროის განმავლობაში, განქორწინებათა მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი. აღნიშნული გამოიხატება როგორც განქორწინებათა საერთო რაოდენობის, ისე სპეციალური მაჩვენებლების ზრდით. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ განქორწინების საშუალო ასაკი როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში რამდენადმე შემცირდა. მიუხედავად ამისა განქორწინების დონე საქართველოში, ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, მაინც დაბალია.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ განსახილველ პერიოდში, ანუ გარდამავალ პერიოდში, საქართველოში დამაკმაყოფილებელი დემოგრაფიული ვითარებაა. რაც შეეხება

პერსპექტივებს, ისინი არასახარბიელოა და უკვე უახლოეს პერიოდში მიგვითითებენ დემოგრაფიული თვალსაზრისით უარყოფით ტენდენციებზე.

Giorgi Tsuladze

The Latest Demographic Situation in Georgia (2005-2013)

Abstract

Discussing the latest demographic situation in Georgia, we deal with the “period between types”, started in Georgia in 2005 and continues till today. It is shown that this period was characterized by the increase in childbirth up to 2009 and then its decline. At the same time, the death rate has increased and later started fluctuating. Natural increase of population grew to some extent and started declining since 2009. Both the marriage and divorce indicators have somewhat increased.

It is noteworthy that in certain cases there are considerable differences between the GeoStat data and the evaluations by G. Tsuladze. One of the examples is migration. There is a crucial discrepancy while comparing the number of population. For instance, according to the GeoStat data, by January 1, 2014, the population of Georgia was 4,5 millions, while according to the evaluations, it was around 3,8 millions.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. სულაბერიძე, ვ. სულაბერიძე. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის, ფაზათაშორისი და ტიპათაშორისი გარდამავალი პერიოდის შესახებ. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომების კრებული. თბ., 2004 წ. ტ. 2, გვ. 62-76.
2. მოსახლეობის აღწარმოების ტიპათაშორისი პერიოდი საქართველოში. ჟურ. „მაცნე“, #4, 2005 წ., გვ. 70-84.
3. წულაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები: 2015-2300 წლები. თბილისი, 2013.
4. წულაძე გ. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში (1950-2050). თბილისი, 2013.
5. 33
6. Цуладзе Г. Прогноз демографических показателей Грузии (2010-2050 гг.) // Развитие населения и демографическая политика. Памяти А.Я. Кваши. Демографические исследования. Выпуск 23. М., 2014.
7. G. Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2013. UNFPA. Tbilisi, 2014.

განათლების მიღწეული დონის გავლენა ქორწინებით ქცევაზე

ევროპასა და ამერიკაში ოჯახის ფორმირება და პარტნიორებს შორის ქცევა მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო რამდენიმე ათწლეულში. მკვლევარები ხშირად ამ ცვლილებებს უკავშირებენ განათლების მიღწეულ დონეს (Berrington & Diamond, 2000; Wiik, 2011; Berrington, 2001; Berrington, 2003; Berrington & Diamond, 2000; Lyngstad & Jalovaara, 2010; Poortman & Kalmijn, 2002; Vignoli & Ferro, 2009). რაც უფრო მაღალია მიღწეული განათლების დონე, მით უფრო მცირდება ქორწინებითი მაჩვენებლები ორივე სქესისათვის. ამასთან ერთად, იზრდება პირველი ქორწინების საშუალო ასაკიც.

„ოჯახის ეკონომიკა“ თეორიიდან გამომდინარეობს, რომ რაც უფრო მაღალია ქალის მიღწეული განათლების დონე მით უფრო მცირდება ქორწინებითი მაჩვენებლები როგორც სწავლის პერიოდში (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტი), ისე განათლების მიღების დასრულების შემდეგ (ადამიანური კაპიტალის ეფექტი). მამაკაცებისთვისაც „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტი“ მოქმედებს, თუმცა „ადამიანური კაპიტალის ეფექტი“ ზრდის ქორწინების მაჩვენებლებს. ამასთან ერთად, არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული განსხვავება სქესის მიხედვით ახალგაზრდა თაობებში აღარ შეინიშნება.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს განათლების მიღწეული დონის კავშირი ქორწინებით ქცევასთან საქართველოში. მოსალოდნელია მაღალი კორელაციური კავშირი სწავლის დამთავრებისა და ქორწინების საშუალო ასაკს შორის. ამასთან ერთად ცნობილია, რომ ხშირად უმაღლესი განათლება არის გვიანდელი ქორწინების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. თითქმის ყველა ავტორი თანხმდება, რომ სასწავლებელში სწავლა აფერხებს ქორწინებაში შესვლის პროცესს და უმაღლესი

განათლება წარმოადგენს დამატებით არგუმენტს გვიანდელი ქორწინებისათვის. ამასთან, რაც უფრო მაღალია მიღწეული განათლების დონე, ქალები არიან უფრო მეტად ეკონომიურად დამოუკიდებლები და ეს არა მხოლოდ იწვევს ქორწინების გადავადებას, არამედ ამცირებს ქორწინებების სიხშირესაც. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ მაღალი განათლების დონის მქონე ქალები და მამაკაცები არიან სასურველი საქორწინო პარტნიორები, რადგან მათ აქვთ უფრო მაღალი შემოსავალი (Brüderl, 1997).

ბოლო პერიოდში იზრდება იმ პირთა რაოდენობა და წილი, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება. საქართველოში 1950-იანი წლებიდან ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგებიდან ჩანს, რომ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ამასთან ერთად იზრდება პირველი ქორწინების საშუალო ასაკიც.

ცხრილი 1. უმაღლესი განათლების მქონე 15 წლის და უფროს ასაკის პირთა რაოდენობის და მაჩვენებლის დინამიკა მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგების საფუძველზე

| | 1959 | 1970 | 1979 | 1989 | 2002 |
|----------------------------|---------|---------|---------|---------|---------|
| რაოდენობა | 153 418 | 273 801 | 425 066 | 613 498 | 773 454 |
| მოსახლეობის 1000 სულზე (‰) | 54 | 84 | 115 | 151 | 224 |

1959 წელს ჩატარებულმა მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ აჩვენა, რომ 15 წლის და უფროს ასაკის მოსახლეობის ათას კაცზე 54 უმაღლესი განათლებითაა, ხოლო 2002 წელს აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა და 224‰ შეადგინა. ამასთან, 2002 წელს 15 წლის და უფროსი ასაკის მამაკაცების 22.6% და ქალების 22.2% უმაღლესი განათლების მქონეა (2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა).

მიჩნეულია, რომ „საქორწინო ბაზარზე“ არსებული ვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ფაქტორთაგანს, რომელზეც დამოკიდებულია ქორწინება. „საქორწინო ბაზარი“ ტერმინია, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიაში ქორწინების ასაკის უნარიანი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რაოდენობათა

თანაფარდობის აღსანიშნავად. ვითარება „საქორწინო ბაზარზე“, დაქორწინების ალბათობა, დამოკიდებულია მოსახლეობაში პოტენციური საქორწინო პარტნიორების რაოდენობაზე, მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაზე. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება ქორწინებაში არმყოფი ქალების რაოდენობა საშუალოდ ერთ დაუქორწინებელ მამაკაცზე.

„საქორწინო ბაზრის“ გასაანგარიშებლად გამოიყენება მამაკაცებისა და ქალების რაოდენობათა თანაფარდობა, რომლებიც მოცემული დროისათვის არ იმყოფებიან ქორწინებაში და ამასთან მამაკაცების ასაკობრივი ჯგუფი მეტია ქალებისაზე ხუთწლიანი ასაკობრივი ინტერვალით.

ცხრილი 2. ვითარება საქართველოს „საქორწინო ბაზარზე“

| ასაკი | | ქორწინებაში არ მყოფი ქალების რაოდენობა საშუალოდ ერთ ქორწინებაში არმყოფ მამაკაცზე | | |
|------------|--------|--|------|------|
| მამაკაცები | ქალები | 1989 | 1999 | 2002 |
| 20-24 | 15-19 | 1,2 | 1,2 | 1,2 |
| 25-29 | 20-24 | 1,1 | 1,3 | 1,2 |
| 30-34 | 25-29 | 1,7 | 1,1 | 1,2 |
| 35-39 | 30-34 | 2,1 | 1,4 | 1,4 |
| 40-44 | 35-39 | 3,2 | 2,4 | 1,9 |
| 45-49 | 40-44 | 2,6 | 2,8 | 2,9 |

წყარო: გაანგარიშებულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების საფუძველზე

განსახილველ პერიოდში, ყველა ასაკობრივ ჯგუფში, „საქორწინო ბაზრის“ თვალსაზრისით ქალების რაოდენობა ჭარბობდა მამაკაცების რაოდენობას.

1989 წელს, 20-29 წლის ერთ უცოლო მამაკაცზე საშუალოდ 1,2 ქალი მოდიოდა. მამაკაცების 30-34 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის ეს მაჩვენებელი 1,7-მდე გაიზარდა, ხოლო 35-49 წლის ერთ უცოლო მამაკაცზე 2-ზე მეტი ქალი მოდიოდა, რაც საკმაოდ დიდ სხვაობას წარმოადგენს.


1999 წელს, 1989 წელთან შედარებით „საქორწინო ბაზარი“ არ შეცვლილა. 25 წლამდე ასაკის მამაკაცებისათვის გაიზარდა ქორწინებაში არმყოფი ქალების რაოდენობა საშუალოდ ერთ უცოლო მამაკაცზე 25-29 წლის და 45-49 წლის ასაკში, ხოლო

ქალების კლებას ადგილი ქონდა 30-44 წლის ასაკის მამაკაცების შემთხვევაში.

2002 წელს, 1999 წელთან შედარებით საქართველოს „საქორწინო ბაზარზე“ სიტუაცია რადიკალურად არ შეცვლილა. 20-34 წლის ერთ უცოლო მამაკაცზე საშუალოდ 1,2 ქალი მოდიოდა. 40-44 წლის ასაკის მამაკაცების შემთხვევაში ქალების კლებას ქონდა ადგილი. გაიზარდა გაუთხოვარი ქალების რაოდენობა ერთ უცოლო მამაკაცზე 45-49 წლის ასაკში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გავანალიზოთ პირველ ქორწინებაში შესული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი 1990 წლიდან.

დიაგრამა 1. რეგისტრირებულ ქორწინებაში შესული მოსახლეობა (%) სქესის და ასაკის მიხედვით (პირველი ქორწინება)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20 წლამდე ასაკში ქალები უფრო ხშირად შედიან პირველ ქორწინებაში, ვიდრე მამაკაცები. მამაკაცები პირველ ქორწინებაში ძირითადად შედიან 20-29 წლის ასაკში, ხოლო ქალები ძირითადად ქორწინდებიან 20-24 წლის ასაკში.

2013 წელს შემცირდა 16-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების პირველი ქორწინების პროცენტული მაჩვენებელი 1990 წელთან შედარებით. ბოლო პერიოდში, უფრო ხშირად ქალები 25 წლის და შემდეგ ასაკში ქორწინდებიან.


შესაბამისად, პირველი ქორწინების საშუალო ასაკიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება ორივე სქესისათვის.

დიაგრამა 2. პირველი ქორწინების საშუალო ასაკი 1990 წლიდან



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოში, ბოლო 20 წლის განმავლობაში რეგისტრირებული ქორწინებების საშუალო ასაკი 3 წლით გაიზარდა. 1990 წელს, პირველი ქორწინების საშუალო ასაკმა მამაკაცებისათვის 27 წელი, ხოლო ქალებისათვის 24 წელი შეადგინა. ამ მაჩვენებელმა 2013 წელს შეადგინა 30 და 27 წელი შესაბამისად.

დიაგრამა 3. რეგისტრირებული ქორწინებების ასაკობრივი კოეფიციენტები: პირველი ქორწინება



წყარო: (Tsuladze, 2013, pp. 73-74)


როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო წლებში წინა პერიოდთან შედარებით შეიცვალა პირველ ქორწინებაში შესვლის ასაკი. 1990-იან წლებში, თუ მამაკაცები უფრო ახალგაზრდა ასაკში ქორწინდებოდნენ, 2010-2013 წლებში პირველი ქორწინების ასაკობრივმა კოეფიციენტმა „პიკს“ 25-29 წლის ასაკობრივი

ჯგუფისათვის მიაღწია და მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებშიც საკმაოდ მაღალია. კერძოდ, 1990 წელს 35-39 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის პირველი ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი არ აღემატებოდა 10%-ს, ხოლო 2010 წელს 31.3%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 16-19 წლის ქალებში 1990-იან წლებში უფრო მეტი ქორწინდებოდა, ვიდრე მომდევნო წლებში. შესაბამისად გაიზარდა ქორწინების ასაკობრივი მაჩვენებლები 25 წლის და უფროს ასაკში. ქალები და მამაკაცები ძირითადად ქორწინდებიან უფროს გვიან ასაკში. 1990 წელს, 16-19 წლის ასაკის ათასი ქალიდან 51.8 დაქორწინდა, ხოლო აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2013 წელს შეადგინა 32.7.

სამწუხაროდ, პირველი ქორწინების საშუალო ასაკის მზარდი სტატისტიკა არ იძლევა პასუხს კითხვაზე: ძირითადად რა ფაქტორები იწვევს გვიანდელ ქორწინებას? აღნიშნული შესაძლებელია შესწავლილი იყოს მხოლოდ სპეციალიზირებული სოციალურ-დემოგრაფიული კვლევების მეშვეობით.

2006 წელს საქართველოში ჩატარებულმა გამოკვლევამ „ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება“ აჩვენა, რომ ორივე სქესისათვის პირველი ქორწინების საშუალო ასაკმა – 23.7, ხოლო მედიანურმა ასაკმა 23 წელი შეადგინა.


დიაგრამა 4. პირველი ქორწინების საშუალო ასაკი მიღწეული განათლების დონის მიხედვით



წყარო: „ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება“ – 2006

გამოკვლევის „ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება“ შედეგებიდან ჩანს, რომ რაც უფრო მაღალია მიღწეული განათლების დონე მით უფრო მაღალია პირველი ქორწინების საშუალო ასაკი. ამასთან, უმაღლესი ან უფრო მაღალი განათლების მქონე მამაკაცები საშუალოდ 3 წლით უფრო გვიან ქორწინდებიან, ვიდრე შესაბამისი განათლების მქონე ქალები. სხვა შემთხვევაში განსხვავება ქალებისა და მამაკაცების პირველი ქორწინების საშუალო ასაკს შორის დაახლოებით 4 წელია.

დიაგრამა 5. 25 წლისა და უფროსი ასაკის ქალებისა და მამაკაცების განაწილება მიღწეული განათლების დონისა და ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით



წყარო: „ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება“ – 2006

გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ 25 წლისა და უფროსი ასაკის მამაკაცებსა და ქალებს, რომლებიც იმყოფებიან ქორწინებაში ნახევარზე მეტი საშუალო (სრული ზოგადი ან პროფესიული) განათლებისაა, მხოლოდ ქალების 27.0% და მამაკაცების 29.6% აქვს უმაღლესი განათლება მიღებული. ხოლო ქორწინებაში მყოფი ქალების 43.9%-ს და მამაკაცების 40.1% აქვს უმაღლესი განათლება.

„ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება“ კვლევის პროგრამის მიხედვით

რესპონდენტებს, მიუხედავად იმისა, აპირებენ თუ არა ოჯახის შექმნას უახლოეს სამ წელწადში დაესვათ კითხვა: მეუღლესთან/პარტნიორთან ერთად ცხოვრების დაწყების შემთხვევაში როგორ შეიცვლება, მათი აზრით, ცხოვრების სხვადასხვა ასპექტები? შედეგებიდან ჩანს, რომ მამაკაცების უმრავლესობა ფიქრობს, პარტნიორთან ერთად ცხოვრების დაწყების შემთხვევაში გაუმჯობესდება მათი სქესობრივი ცხოვრება, გარშემომყოფების მათდამი დამოკიდებულება და მათი განწყობა. მამაკაცების 39% ფიქრობს, რომ ოჯახის შექმნა გააუარესებს მათ ფინანსურ მდგომარეობას. ამის საპირისპიროდ კი – ქალების 48% მიიჩნევს, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება ოჯახის შექმნის შემდეგ.

2013 წელს, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტმა საქართველოს სამ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, კასპი) ჩაატარა გამოკვლევა „ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის თავისებურებანი“, რომელის პროგრამაც სხვა საკითხებთან ერთად შეისწავლიდა ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

ცხრილი 3. რესპონდენტთა განაწილება (%) კითხვაზე – „ვივარაუდოთ, რომ თქვენ დაქორწინდით უახლოეს 5 წელიწადში. თქვენი აზრით, როგორ იმოქმედებს ეს თქვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე?“ პასუხების მიხედვით

| | გაუმჯობესებს | არ შეიცვლება | გააუარესებს |
|--------------------------------------|--------------|--------------|-------------|
| შესაძლებლობაზე, აკეთოთ ის რაც გინდათ | 40.7 | 47.9 | 11.4 |
| დასაქმების შესაძლებლობაზე | 36.2 | 58.3 | 5.6 |
| ფინანსურ მდგომარეობაზე | 51.7 | 37.2 | 11.2 |
| მეგობრებთან ურთიერთობაზე | 13.6 | 82.4 | 3.9 |
| მშობლებთან ურთიერთობაზე | 9.5 | 87.7 | 2.9 |


წყარო: „ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის თავისებურებანი“ – 2013

შედეგებიდან ჩანს, რომ რესპონდენტების უმრავლესობა (80%-ზე მეტი) თვლის, რომ ქორწინება არ მოახდენს გავლენას

მათი და მათი მეგობრების ან მშობლების ურთიერთობაზე. ქალების და მამაკაცების თითქმის ნახევარი (51.7%) ფიქრობს, რომ ქორწინება გააუმჯობესებს მათ ფინანსურ მდგომარეობას. ასევე, რესპონდენტები პოზიტიურად არიან განწყობილები დაქორწინების შემთხვევაში მათი დასაქმების შესაძლებლობაზე – 36.2%-ის აზრით მათი დასაქმების შესაძლებლობა გაუმჯობესდება, ხოლო 58.3% თვლის რომ ის არ შეიცვლება.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა პოზიტიურად არის განწყობილი დაქორწინების შემთხვევაში, მათ ცხოვრებაში სხვადასხვა ასპექტების ცვლილებებთან დაკავშირებით. არსებობს საკითხები, რომლებზეც საკმაოდ ან მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გადაწყვეტილება იმის შესახებ დაქორწინდნენ თუ არა მომავალი 5 წლის განმავლობაში.

დიაგრამა 6. რესპონდენტთა განაწილება (%), რომელთაც განაცხადეს, რომ მათი გადაწყვეტილება დაქორწინდნენ თუ არა მომავალი 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად ან საკმაოდ არის დამოკიდებული სხვადასხვა გარემოებებზე



წყარო: „ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის თავისებურებანი“ – 2013

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მამაკაცების და ქალების უმრავლესობისათვის დაქორწინების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარტნიორის

შერჩევაზე. ქალებისაგანა განსხვავებით მამაკაცებისთვის შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტორს თანაბრად წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობა და სამუშაო. როგორც ჩანს, ეკონომიკური ფატორები ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მამაკაცებში მათი გადაწყვეტილების შესახებ დაქორწინდნენ თუ არა მომავალი 5 წლის განმავლობაში.

კვლევამ აჩვენა, რომ რაც უფრო მაღალია მიღწეული განათლების დონე, მით უფრო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დაქორწინების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკურ ფაქტორებზე. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების დაახლოებით 60% თვლის რომ დაქორწინდება თუ არა უახლოეს 5 წელწადში მნიშვნელოვნად ან საკმაოდ არის დამოკიდებული ფინანსურ მდგომარეობაზე და სამუშაოზე, ხოლო ტექნიკური და უფრო დაბალი განათლების მქონე რესპონდენტების ეს მაჩვენებელი 40%-ის ფარგლებშია.

ამასთან ერთად, გამოკვლევამ შეისწავლა რესპონდენტთა მოსაზრებები იმის შესახებ, თუ მათი აზრით რა იწვევს გვიანდელ ქორწინებას როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში.

დიაგრამა 7. რესპონდენტთა განაწილება (%) კითხვაზე პასუხების მიხედვით – „თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს გვიანი ქორწინების ძირითადი მიზეზი“

| | მამაკაცებისათვის | ქალებისათვის |
|------------------------------|------------------|--------------|
| განათლება და კარიერა | 8.5 | 26.8 |
| უმუშევრობა | 20.3 | 2.3 |
| ცუდი ეკონომიკური პირობები | 44.5 | 11.3 |
| სასურველი პარტნიორის შერჩევა | 24.1 | 56.4 |
| სხვა | 2.6 | 3.2 |
| სულ | 100.0 | 100.0 |

წყარო: „ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის თავისებურებანი“ – 2013

გამოკითხული რესპონდენტები თვლიან, რომ ცუდი ეკონომიკური პირობები და უმუშევრობა აფერხებს მამაკაცების დაქორწინების პროცესს. ხოლო ქალებისათვის გვიანი ქორწინების

მიზეზებს შორის ლიდერობს სასურველი პარტნიორის შერჩევა (56.4%) და განათლება და კარიერა (26.8%).

როგორც ჩანს, საქართველოში განათლებასა და ეკონომიკური პირობების გარდა „საქორწინო ბაზარიც“ ახდენს გავლენას გვიან ქორწინებებზე.

S. Tsiklauri

The Impact of Education on Marriage Behavior

Abstract

In this paper we are going to discuss the relation between achieved education level and marital status in Georgia. Is the level of education has an impact on the postponing of the first marriage and which factors have had influence on it? This paper will exam union formation by sex and education, as well as other demographic and socio-economic factors according to official statistical data and the results of surveys conducted in Georgia in the last period.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Becker, G. S. (1991). *A Treatise on the Family*. Cambridge: Harvard University Press.
2. Brüderl, J. (1997). *Education and Marriage*. Berne: Institute of Sociology.
3. Tsuladze, G. (2013). *Demographic Yearbook of Georgia*. Tbilisi: UNFPA.
4. ბადურაშვილი, ი., კაპანაძე, ე., & წიკლაური, შ. (2010). ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება, გამოკვლევის II ტალღის ანგარიში. თბილისი: მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრი / გაეროს
5. მოსახლეობის ფონდი-საქართველოს ოფისი (UNFPA- Georgia).
6. ბადურაშვილი, ი., ჭეიშვილი, რ., კაპანაძე, ე., წიკლაური, შ., & სირბილაძე, მ. (2008). *გენდერული ურთიერთობები თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში*. თბილისი: გაეროს

მოსახლეობის ფონდი-საქართველოს ოფისი; მოსახლეობის
კვლევის ეროვნული ცენტრი

7. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების
კრებული. (2014). თბილისი: ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის
ინსტიტუტი.
8. წიკლაური, შ. (2008). საქართველოს უახლესი დემოგრაფიული
ვითარება. თბილისი.

ოჯახის სოციოლოგია

ავთანდილ სულაბერიძე

ვლადიმერ სულაბერიძე

მომხმარებლურიდან მწარმოებლურ ოჯახზე გადასვლის პრობლემები საქართველოში

გარდამავალი ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილიზაციის მოღწევა და მასთან ერთად, პასიური სოციალური პოლიტიკიდან, რეფორმის მხარდამჭერ აქტიურ სოციალურ პოლიტიკაზე გადასვლით სიღარიბის დამლევა. ეს უწინარესად გულისხმობს საოჯახო ბიზნესის პროგრამების განხორციელებით ოჯახის ეკონომიკურ გააქტიურებას და რასაც თავის მხრივ მომხმარებლურიდან მწარმოებლურ ოჯახზე გადასვლა უნდა მოჰყვეს.


ამ თვალსაზრისით, საქართველოში, განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირეთის პოსტკომუნისტური ქვეყნებისა, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე არცერთ ხელისუფლებას არ შეუქმნია ოჯახის ეკონომიკური ზომები და გარემო. როგორც აკადემიკოსი ვ. პაპავა აღნიშნავს: პრაქტიკულად ნებისმიერ ეკონომიკურ პროცესში ... გადამწყვეტ როლს ადამიანის ფაქტორი ასრულებს. საზოგადოებაში გავრცელებული ეკონომიკური (და არა მარტო) აზროვნების ზეგავლენა ეკონომიკურ რეფორმებზე ძალზე დიდია.

კომუნისტური ტიპის ეკონომიკის საბჭოური გამოცდილების თანახმად, მბრძანებლურ ეკონომიკაში "Homo soveticus"-ის ტიპი იქნა ჩამოყალიბებული და, ბუნებრივია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაწყება სწორედ მას მოუხდა.

„Homo soveticus“-ი "Homo economicus"-ისგან ადამიანის პრინციპულად განსხვავებული ტიპია. [1]

„Homo soveticus“-ის მენტალიტეტის შეცვლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია. აუცილებელი იყო საზოგადოების და

ინდივიდის ფსიქოლოგიური მომზადება, რათა წარმატებით განხორციელებულიყო “Homo soveticus”-ის “Homo economicus”-ად ტრანსფორმაცია და რასაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს შუალედური „Homo transformativus“-ის ფორმირების ტემპი. რამდენადაც “Homo soveticus”-ი ოჯახის წევრიცაა, მისი “Homo economicus”-ად დროული და წარმატებული ტრანსფორმაცია, ბევრად განსაზღვრავს ოჯახის ეკონომიკური ტრანსფორმაციას ფორმულით:→→→




განვიხილოთ. თუ რას წარმოადგენს თითოეული მათგანი:
 Family soveticus – საბჭოური მომხმარებლური და ავტორიტარული ტიპის ოჯახი, რომელის წევრებსაც სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული აქვთ დასაქმება და ცხოვრების დონის შესაბამისი ხელფასი, პენსია. სახელმწიფო ბიუჯეტიდან უზრუნველყოფილი აქვთ სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის და განათლების მიღების დაფინანსება.

მისი შემოსავლის ძირითადი წყაროს შეადგენს (და):

1) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული ხელფასი, პენსია და საზოგადოებრივი ფონდებიდან სოციალური დახმარება.

2) მცირე ქალაქებსა და სოფლებში გააჩნია პირადი დამხმარე მეურნეობა, საიდანაც მიღებულ პროდუქტის ნაწილს მოიხმარს ნატურით, ხოლო ნაწილის რეალიზაციით იღებს დამატებით ფულად შემოსავლებს (რამდენადაც ეს უკანასკნელი სახელმწიფოს მხრიდან უმეტეს წილად აღურიცხავი იყო, ოჯახის შემოსავლებში ის აისახებოდა ფარული შემოსავლების სახით).

3) ოჯახის წევრთა სოციალურ-ეკონომიკურ ფენებად (ტიპებად) წარმოგვიდგებოდნენ: მოსამსახურეები, მუშები და გლეხები. “Family transformativus” – სოციალისტური მეურნეობიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ასრელებული ოჯახის ტიპი.



Family transformaticus-ის წევრთა ტიპები (1997 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის შესაბამისად) შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: 1) "ახალი ქართველები"; 2) "ოპტიმისტები"; 3) "სოციალისტები"; 4) "ტრადიციონალის-

ტები"; 5) "კონსერვატორები"; 6) "ევროპელები"; 7) "პიონერები" და სხვა. "Family transformaticus"-ის ფორმირების ხელშემშლელი ძირითადი ფაქტორები:

1. არასასურველი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარემო;
2. ბიზნესის წარმოების (მენეჯმენტის) უნარ-ჩვევების და Homo economicus-ად მომზადების სახელმწიფო პროგრამების არარსებობა;
3. ოჯახის საარსებო მინიმუმთან შეუსაბამო დაბალი ცხოვრების დონე (სიღატაკე), შესაბამისად ღარიბი ოჯახების მაღალი წილი ოჯახთა საერთო რაოდენობაში;
4. ოჯახის ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა;
5. საბჭოური ოჯახის კეთილდღეობის ნოსტალგია;
6. სოციალური და ჯანდაცვის არასრულყოფილება და დაბალი დონე;
7. დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონის შედეგად საპენსიო და სადაზღვევო სისტემების გაუმართაობა;
8. საოჯახო და დემოგრაფიული პოლიტიკის (განსაკუთრებით ოჯახის ეკონომიკური აქტივობის) პროგრამების არარსებობა;
9. დაკარგული ტერიტორიების შედეგად ლტოლვილ ოჯახთა პრობლემები;
10. ოჯახში მყარად ფორმირებული კონსერვატორული ტრადიციები და სხვა.

ოჯახის ტრანსფორმაციის პროცესს ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპი. ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტაგნაციის პირობებში Family economicus-ად ფორმირება დროში იწელება. ამასთან, მიმდინარეობს საბჭოული ავტორიტარული ოჯახიდან ლიბერალურ-დემოკრატიულ ოჯახად მოდერნიზაცია. ოჯახის ახალ ტიპად ფორმირებას ასევე დროში ახანგრძლივებს ლოკალური სახის ტრადიციული, სოციალურ-ეკონომიკური, ნაციონალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები. Family transformaticus-თვის ჯერ კიდევ დამახასიათებელია საბჭოური ცხოვრების ნოსტალგია, რაც საზოგადოების ყველა წევრის სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებულ დასაქმებაში და

სოციალურ-ეკონომიკურ უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად, ოჯახი ახალი რეალობის წინაშე, თვითდასაქმებისა და თვითუზრუნველყოფის წინაშე აღმოჩნდა [პაპავა]. ამას ემატება ოჯახში ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების ფორმირების პროცესიც. ორივე ერთად კი ამწვავებს ტრანსფორმაციის პროცესს. თუ იგი ნორმალურად არ განვითარდა და ოჯახის მატერიალური მდგომარეობა არ გამოსწორდა, ამან შეიძლება ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები კიდევ უფრო გაამძაფროს. ამიტომ არსებითი როლი ენიჭება სახელმწიფოს მხრიდან ოჯახის ეკონომიკური ტრანსფორმაციის სწორად წარმართვის პოლიტიკის არსებობას.

მომხმარებელურის მწარმოებლურ ოჯახად ტრანსფორმაციის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის ცხოვრების დონეს, რაც სხვა ფაქტორებთან (შიგაოჯახური ტრადიციები, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სხვ.) ერთად განსაზღვრავს “Family transformativus”-ის ფორმირებას [2]. ნაცვლად ოჯახის ცხოვრების დონის თუნდაც არსებულ დონეზე შენარჩუნებისა, რეფორმა მკაცრი “შოკური თერაპიის” ფონზე, საოჯახო პოლიტიკის გათვალისწინების გარეშე წარიმართა, რაც ოჯახისთვის ერთობ რთულად გადასატანი აღმოჩნდა. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც რეფორმის მოსამზადებელი პერიოდი ჯერ კიდევ 80-იანი წლებში დაიწყო და რეფორმებიც შედარებით მშვიდ გარემოცვაში მიმდინარეობდა, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ფონზე, 1995 წლისათვის რაიმე განსაკუთრებული შედეგები ვერ მოიტანა [3].

რეფორმის პროცესში, ოჯახის ცხოვრების დონის თვალსაზრისით სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა ჩეხეთს. მაგალითად: 1993 წ. ჩეხეთში სიღარიბის ზღვარზე იმყოფებოდა ოჯახების 18,2%. ბავშვების 38,3%, შრომისუნარიანი მოსახლეობის 22,6%, მოხუცებულთა 9,6% და მთლიანად საერთო მოსახლეობის 25,3%. იმ დროს როცა „შოკური თერაპიის“ სამშობლოში, პოლონეთში, იმავე პერიოდის ანალოგიური მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო და შეადგენდა შესაბამისად 35,7; 61,8;

40,1; 29,5 და 43,7%. ამასთან ჩეხეთში უკიდურეს სიღარიბეში ოჯახთა 1,6% ცხოვრობდა, ბავშვების 1,1%, შრომისუნარიანთა 1,8%, მოხუცებულთა 0,4%, ხოლო პოლონეთში შესაბამისად 10,4; 25,9; 13,4 და 5,2%. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში რუსეთში სიღარიბეში ცხოვრობდა მოსახლეობის 61,3%, უკიდურეს სიღარიბეში კი 23,2% [4]. გაცილებით უარესი მაჩვენებლები იყო საქართველოში.

საქართველოში საოჯახო პოლიტიკის უგულველყოფის გამო, ეკონომიკური რეფორმა სოციალური მხარდაჭერის გარეშე წარიმართა და ოჯახის ცხოვრების დონე მის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად მოგვევლინა. ამის დადასტურებაა ის, რომ ოჯახის ბიუჯეტში მცირე იყო საკუთარი ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები და შემოსავლების ძირითად წყაროს ხელფასი და პენსია შეადგენდა და რაც დღემდე გრძელდება.

მასშტაბურმა ჩრდილოვანმა ეკონომიკამ და კორუფციამ კი ხელფასს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიას მნიშვნელობა დაუკარგა, რადგან ვერ ასახავდა სამუშაო ძალის საბაზრო ღირებულებას. ამის მაგალითია ის, რომ 1998 წელს მინიმალური ხელფასი (დაახლოებით 10 ევრო) საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის 18-20%-ს შეადგენდა და შესაბამისად მოსახლეობის 70%-მდე ოფიციალურად აღმოჩნდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ხოლო ლატაკთა რაოდენობა 40%-მდე გაიზარდა.

რამდენადაც საქართველოს ოჯახების ფულადი შემოსავლების სტრუქტურაში ხელფასი და პენსია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა (1999 წელს ხელფასის წილი – 33%, პენსია – 26%) [5], იმ ეტაპზე სიღატაკის დამღვევსათვის, ოჯახში მცირე და საშუალო ბიზნესის არარსებობის პირობებში, მის ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. თითქმის ყველა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ შეძლო საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა საშუალო ხელფასის 35-50%-ის ფარგლებში, რომელშიც სასურსათო კალათის წილი 50-60%-ს შეადგენდა. მაგალითად: 1998 წელს, სლოვაკეთსა და ჩეხეთში საარსებო მინიმუმად მიჩნეულ იქნა საშუალო ხელფასის 35%, უნგრეთში – 40%, პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, რუსეთსა და უკრაინაში 45% [6].

ამ ფონზე საქართველოში პარადოქსული სიტუაცია აღინიშნა: 1995 წელს საშუალო ხელფასი საარსებო მინიმუმის 37-40%-ს შეადგენდა. ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, 2000 წლისათვის საქართველოში ვითარება არ შეცვლილა და ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა დაახლოებით 63-64, ხოლო საბიუჯეტო სფეროში – 51-52 ევროს, რაც შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის 66,5%-ის და საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის 75,8%-ის ტოლი იყო. საბიუჯეტო სფეროში კი შესაბამისად 51,4 და 58,6% [7]. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში საარსებო მინიმუმის ღირებულება რეალურ ვითარებას არ შეესაბამებოდა, რაც დღესაც გრძელდება.

რამდენადაც ხელფასი წარმოადგენდა ოჯახის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს და თანაც დაბალი იყო, მან ვერ შეასრულა საბაზრო მექანიზმის ფუნქცია. ოჯახის შემოსავლების სფეროში შექმნილი არახელსაყრელი მდგომარეობის შესაცვლელად, აუცილებელი იყო ოჯახის შემოსავლების გამრავალფეროვნების მიზნით გარკვეული ღონისძიებების გატარება. 1998 წელს ოჯახის მთლიან ფულად შემოსავლებში საგრძნობლად შემცირდა ხელფასის წილი და გაიზარდა სოციალური ტრანსფერტები, განსაკუთრებით სხვა სახის შემოსავლები (ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავლები და უცხოეთიდან გზავნილები). აღნიშნულის შედეგად ოჯახის ბიუჯეტში ხარჯებმა გადააჭარბა ოფიციალურ შემოსავლებს, რაც ამტკიცებს, რომ აღნიშნულის გარდა ოჯახში არსებობდა სხვა ფარული შემოსავლები, რომლებმაც 1996 წლისათვის ოჯახში 75,0% შეადგინა. ი. არჩვამის გათვლებით 1996წ. ოჯახის მთლიან ფულად შემოსავლებში ხელფასის წილზე მოდიოდა 1/3 და 2/3-ს შეადგენდა „ფარული“ შემოსავლები [8].

1999 წელს ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ [6] გვიჩვენა, რომ ოჯახის შემოსავლების ძირითად წყაროდ ისევ რჩებოდა ხელფასი (33,4%) და პენსია (26,8%), ხოლო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლები უზრუნველყოფდა მხოლოდ გამოკითხულთა 14,8%-ს. ასევე დაბალი იყო მათი წილი, ვისი შემოსავლებიც ემყარებოდა


საკუთარი ბიზნესიდან მიღებულ შემოსავლებს (9,5%). ოჯახთა უმრავლესობა (60,9%) ვერ ახერხებდა ვერანაირ ქმედებებს მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 19,8% – დამოკიდებული იყო დროებით სამუშაოზე, 12,7% – ცხოვრობდა საკუთარი ძვირფასეულობისა თუ ქონების (ბინა, მანქანა და სხვ.) გაყოფით. ამასთან, ოჯახების 36,5%-სათვის შემოსავალი საკმარისი იყო მხოლოდ კვებისათვის, 44,8%-ს არ ჰყოფნიდა საკვებად და მხოლოდ 17,4%-ის შემოსავლები აკმაყოფილებდა ძირითად საჭიროებებს.

„ვარდების რევოლუციის” შემდეგ დასაქმების სფეროში ეიჯიზმის პოლიტიკამ მნიშვნელოვნად გაამწვავა ქვეყანაში თაობათაშორისი ურთიერთობები. როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურაში. უპირატესობა მიენიჭა ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში არ გააჩნდათ შესაბამისი განათლება, კვალიფიკაცია, უნარ-ჩვევები და თანამდებობებზე ინიშნებოდნენ მხოლოდ პარტიული ნიშნით. თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო ასაკობრივმა დისკრიმინაციამ. რაც ძირითადად 40 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებს შეეხო. სხვადასხვა შეფასებებით უმუშევართა დონემ მიაღწია 60-70%-ს, ეს არ ასახულა ოფიციალური სტატისტიკაში. ამერიკის საერთაშორისო ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) გამოკვლევებით მოსახლეობის 70%-ზე მეტი თავს დასაქმებულად არ მიიჩნევდა, ხოლო საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევის თანახმად უმუშევრობის დონემ ქვეყანაში 67%-ს მიაღწია.

უმუშევრობის ზრდამ შესაბამისი გავლენა მოახდინა ოჯახის შემოსავლებზე და საერთოდ მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, კიდევ უფრო გაუარესდა ქვეყანაში და ოჯახში ისედაც დამაბული სოციალური ვითარება. ღარიბთა ფენა გაიზარდა. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (48,9%) მთავარ პრობლემად თვლიდა მატერიალურ გაჭირვებას, ხოლო 20,3% – უმუშევრობას. 2004-2011 წლებში საარსებო მინიმუმი გაიზარდა 22,4%-ით და შეადგინა დაახლოებით 47 ევრო. მიუხედავად ამისა, საშუალოდ ერთ ოჯახზე ცალკეული სახის შემოსავლები საარსებო მინიმუმზე ნაკლები იყო.

2012 წელს საარსებო მინიმუმი გაიზარდა 65 ევრომდე, რაც ისევ არასაკმარისი იყო ინდივიდის მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

2013 წელს ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა ოჯახის ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესი, სადაც თავის მხრივ გათვალისწინებულ იქნა ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის დონე. გამოკვლევა ჩატარდა დიდ, საშუალო და პატარა ქალაქებში და სულ გამოიკითხა 1200 ოჯახის წევრი [9].



როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, ოჯახის საშუალო შემოსავალი შეადგენს 385 ევროს. მათ შორის დიდ ქალაქში – 474, საშუალო ქალაქში – 294 და პატარა ქალაქებში – 298 ევროს. პატარა ქალაქების ოჯახის შემოსავლის მეტობა საშუალო ქალაქის შემოსავლებზე განპირობებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციითა და მოხმარებით. შესაბამისად მედიანურმა შემოსავალმა მთელი ქვეყნის მასშტაბით შეადგინა 260 ევრო.

შესწავლილ იქნა ოჯახის შემოსავლის წყაროებიც, რომლის თანახმად ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროს ჯერ კიდევ ხელფასი (68,7%) წარმოადგენს. შემდეგ მოდის პენსია (32,3%), რაც განპირობებულია ოჯახის დემოგრაფიული დაბერებით. მესამე ადგილზეა სოფლის მეურნეობის

პროდუქტების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები და მოხმარება (29,1%), ხოლო ამის შემდეგ მოდის ბიზნესი (17,1%). უმუშევრობის მაღალმა დონემ განაპირობა ოჯახის წევრთა შრომითი მიგრაცია უცხოეთში, რის შედეგადაც ფულადმა გზავნილებმა უცხოეთიდან ოჯახში 14,0% შეადგინა.

ოჯახის შემოსავლებით დაკმაყოფილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ოჯახს ვერ უზრუნველყოფს 225 ევრო, მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს 427 და საკმარისია 700 ევრო, ხოლო თავისუფლად უზრუნველყოფს 870 ევრო. ჩვენი გამოკვლევის შედეგების შედარებამ საქსტატის მიერ 2013 წლის სექტემბერში გაანგარიშებულ 4-სულიან ოჯახის საშუალო შემოსავლებთან (113 ევრო) დაადასტურა, რომ ჯერ კიდევ ბევრი ოჯახი სიღარიბეში ცხოვრობს, რამდენადაც 113 ევრო თითქმის 4-ჯერ ჩამორჩება ოჯახისთვის მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფის საჭირო დონეს, ხოლო 6-ჯერ თავისუფლად უზრუნველყოფის დონეს.

გამოკვლევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ ოჯახის ერთ სულზე საშუალო შემოსავალი შეადგენს 105 ევროს, რაც თითქმის ორჯერ აღემატება ქვეყანაში დადგენილ საარსებო მინიმუმს ერთ სულზე (65 ევრო). მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა შეფასებით ერთ სულზე შემოსავალი ვერ უზრუნველყოფს ერთ სულის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს 117, საკმარისია 137 და თავისუფლად უზრუნველყოფს 224 ევრო. აღნიშნული მიაჩნებს იმაზე, რომ ხელისუფლების მიერ ერთ საშუალო მომხმარებელზე დადგენილი საარსებო მინიმუმის ღირებულება (65 ევრო) უფრო პოლიტიკურია, ვიდრე ეკონომიკურად რეალური, რამდენადაც იგი ერთ სულზე მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის საჭირო რაოდენობის არადეკვატურია. ამიტომ, მისი გაანგარიშების მეთოდიკა შესაცვლელია, რათა ადეკვატურად ასახოს ქვეყანაში ცხოვრების დონე.

გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ოჯახის ტრანსფორმაცია მიმდინარეობს სიღარიბის პირობებში, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ოჯახში ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებების დამკვიდრებას და

ხელს უწყობს ოჯახის ახალგაზრდა წევრთა მიგრაციულ პროცესებს. ამ უკანასკნელის შედეგად კი დემოგრაფიულად დაბერებულ ოჯახს უჭირს ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა, რომ აღარაფერი ვთქვათ საშუალო და მცირე ბიზნესზე.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის შემოსავლებში ხელფასი წარმოადგენს ძირითად წყაროს იგი მაინც ვერ აკმაყოფილებს ოჯახის წევრთა მინიმალურ მოთხოვნილებებს. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ოჯახმა შეიმუშავა სილატაკის დამღვევის საკუთარი მეთოდები, თუმცა შეიძლება არაკანონიერიც ოჯახის წევრებისგან ეს იძულებითი ნაბიჯი გარკვეულწილად მეტყველებს ოჯახის წევრების Homo soveticus-ის Homo economicus-ად, მახინჯი ფორმით თვითტრანსფორმაციის პროცესზე.

ამდენად, არსებული სილატაკის მაღალი დონის პირობებში, თუ ამ პროცესში სახელმწიფო დროულად არ ჩაერთო, იგი შეიძლება არასასურველი მიმართულებით განვითარდეს და გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს.

Avtandil Sulaberidze
Vladimer Sulaberidze

Problems of Transition from Consumer to Producer Families in Georgia

Abstract

In the given article there is discussion about the problems of transition from consumer to producer families. On the basis of sociological research the authors consider the low level of living standards as one of the hindering factors of the formation of producer families. According to their opinion insufficient share of salaries (68,7%) and high share of pensions (32,3%) in family incomes as compared with the incomes received from business cannot create socio-economic environment for the formation from consumer to producer families. In this process it is necessary government's political will and the active pursuance of purposeful family policy.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მიკროეკონომიკა. (თეორია და პრაქტიკა) თბილისი, 2005 წ. გვ. 56-57.
2. Сулаберидзе А. Особенности ценностной ориентации руководителей предприятий Грузии в условиях экономической реформы. Общество и экономика. 1998. N 4-5. с. 117-131.
3. ვ. პაპავა. ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ სოციალურ სტიმულირებამდე. თბილისი, 1995.
4. Нишета, дети и социальная политика. Путь в более светлое будущее. Региональный мониторинговый доклад. UNICEF. 1995. N 3.
5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის სოციოლოგიური გამოკვლევის მასალები (1999 წ.)
6. Бюллетень центра стратегических исследований и развития. 1999. №25. с. 12.
7. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მასალები. ი. არჩვაძე. ეკონომიკა და დრო. თბილისი, 2000.
8. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის სოციოლოგიური კვლევის მასალები (2013 წ.).

ოჯახური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვან ღირებულებათა ტრანსფორმაცია თანამედროვე ეტაპზე

გლობალიზაციის პროცესებმა განსაკუთრებით აქტიური გახადა ეროვნული თავისთავადობის დაცვა-შენახვის პრობლემა. განა რა ხდება მესამე ათასწლეულის დასაწყისში ისეთი, რომ აქტუალურია ქართველების იმ ღირებულებებისადმი დამოკიდებულების კვლევა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში საფუძვლად ედო მათი ცხოვრებისა და აზროვნების წესს და რომელთადმი ერთგულება თაობიდან თაობებს გადაეცემოდა. იცვლებოდა თაობები, მაგრამ ქართული ეროვნული იდეალები და ღირებულებები უცვლელი რჩებოდა. ყოველი ახალი თაობა ეროვნულ კულტურას, იდეალებსა და ღირებულებებს ისეთივე ერთგულებით და თავდადებით იცავდა, როგორც მათი წინა თაობა. სწორედ ასე შევინარჩუნეთ ეროვნული თვითმყოფადობა. ამას განსაზღვრავდა ის, რომ აღზრდის სისტემა მათ ცნობიერებაში უპირველესი მნიშვნელობის საქმედ აყალიბებდა ენის, მამულის, სარწმუნოების და ქართველთა თავისთავადობის განმსაზღვრელი სხვა ღირებულებების დაცვა - გაფრთხილებას. დღეს საფრთხე ორი სახისაა: ერთი, თვით ქართველთა ფიზიკური შენარჩუნება. მეორე, მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების ეკონომიკური, კულტურული და სოციალური შედეგების გავლენა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე.

ქართველების ფიზიკური შენარჩუნება, არც თუ იშვიათად, ერთშვილიანობაზე დაჰყავთ. არა და ხომ ფაქტია, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, რაც უკიდურეს სიდუხჭირესა და სოციალური პრობლემების მოუგვარებლობაში ვლინდება, აიძულებს ქართველთა არც თუ მცირე ნაწილს სხვა ქვეყნებში გადაიხვეწოს, ხოლო მეორე ნაწილი სამშობლოში დარჩეს სიდუხჭირისა და მონური ყოფის პირობებში. ეს კი მათ აიძულებს უარი თქვან ოჯახის შექმნაზე, ან უკეთეს შემთხვევაში გადაავადონ ის. საზღვარგარეთ წასვლა ძალიან რთულია და,

როგორც წესი, დიდი წვალეებით, ხშირად არაკანონიერი საშუალებებით ხდება. საკმარისია, ის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდეს, რომ ქართველ ემიგრანტთა რიცხვი ერთიორად და მეტად გაიზარდება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებში შობადობის გაზრდით თუ მათი ფიზიკური არსებობის პრობლემა მოგვარდება, ეს თავისთავად არავითარ შემთხვევაში არ მოაგვარებს ეროვნულ ღირებულებებზე ახალგაზრდების სოციალიზაციის პრობლემას. რაც თანამედროვე პირობებში უაღრესად აქტუალურია. გლობალიზაციამ ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ინფორმაციული პროცესები იმ დონემდე განავითარა, რომ მინიმუმამდე დავიდა ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნების ალბათობა. ეროვნული კულტურა ერის თვითმყოფადობის უმთავრესი ფაქტორია. ფართო მნიშვნელობით კულტურა გულისხმობს: ლიტერატურას, მუსიკას, ხელოვნებას, იდეალებს, ენას, ღირებულებებს, ცნებებს, ნორმებს, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს და ყოველივე იმას, რასაც საზოგადოებრივი ცნობიერება და ყოფიერების წესი ეწოდება. გლობალიზაცია მისთვის დამახასიათებელი ტექნიკური და ტექნოლოგიური საფუძვლებით ხალხებსა და კულტურებში ხელს უწყობს ასიმილაციურ პროცესებს. თუ ქვეყანაში სოციალიზაციის პროცესი ორიენტირებული არ არის მშობლიურ ენისა და კულტურისადმი ერთგულების გრძნობის ჩამოყალიბებაზე, უახლესი ტექნოლოგიებით მიღებული ცოდნა, ინფორმაცია, ქვეყნისა და ურთიერთობების ნორმების უკრიტიკოდ ათვისება ახალგაზრდების მიერ, ჩვენი ქვეყნის თავისთავადობას დიდ საფრთხეს შეუქმნის. გლობალიზაციიდან მომდინარე საფრთხემ რომ არ გადაგვაგვაროს იგი რეალურად უნდა გავიცნოთ და შევაფასოთ.

ეროვნული ღირებულებების ათვისება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ოჯახზე. ოჯახი ის სოციალური ინსტიტუტია, რომელიც ყოველთვის ასრულებდა და ასრულებს მომავალი თაობის სოციალიზაციას. ამით კი ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. ღირებულება აღნიშნავს ინდივიდის ან საზოგადოების ძირითად რწმენას და მიზნებს. ის, როგორც წესი, დიდმნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალურ

ინტეგრაციაში.⁴ სოციალური ღირებულებები ფართო და ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება. ფართო მნიშვნელობით იგი არის რეალური სინამდვილის საგნების და მოვლენების მნიშვნელობა საზოგადოების, ჯგუფისა და პიროვნების მოთხოვნილებებთან შესატყვისობა-შეუსატყვისობის თვალსაზრისით. ვიწრო მნიშვნელობით სოციალური ღირებულებები ზნეობრივი და ესთეტიკური იმპერატივებია, რომლებიც კაცობრიობის კულტურის მიერაა გამომუშავებული და საზოგადოებრივი ცნობიერების პროდუქტს წარმოადგენს. ისინი ფუნდამენტალურ ნორმებს წარმოადგენენ, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალური სისტემის მთლიანობას. ამას იმის შედეგად ახდენენ, რომ მათში გამოიხატება მოცემული სისტემის არსებობისა და განვითარებისათვის გარკვეული მატერიალური და სულიერი სიკეთის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ღირებულებითი ორიენტაცია პიროვნების შინაგანი სტრუქტურის დიდმნიშვნელოვანი ელემენტია. იგი მოცემული ადამიანისათვის მნიშვნელოვანს და არსებითს გამიჯნავს არამნიშვნელოვანისა და არაარსებითისაგან. ჩამოყალიბებული ღირებულებითი ორიენტაციები წარმოქმნიან ცნობიერების თავისებურ ღერძს, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების სიმტკიცეს, გარკვეული ქცევისა და საქმიანობის მემკვიდრეობითობას, რომელიც ინტერესთა და მოთხოვნილებათა მიმართულებას გამოხატავს. ამის ძალით ღირებულებითი ორიენტაცია გამოდის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად პიროვნების მოტივაციის დეტერმინირებისა და რეგულირების საქმეში.⁵ ღირებულებითი ორიენტაციის განვითარება პიროვნების სიმწიფის ნიშანი და მისი სოციალურობის ზომის მაჩვენებელია. იგი არის ინდივიდის არა მხოლოდ გარეგანი, არამედ შინაგანი სამყაროს აღქმის პრიზმა, რომელიც განაპირობებს ცნობიერების და თვითშემეცნების კავშირს.

ღირებულებითი ორიენტაციის სიმყარე და არაწინააღმდეგობრიობა განაპირობებს პიროვნების ისეთ თვისებებს, როგორცაა მთლიანობა, საიმედოობა, განსაზღვრული

⁴ Девид Джери. Джулия Джери. Социология. 1999, с. 431-432.

⁵ Мационис. Социология. 2004. с. 110-114.

პრინციპებისა და იდეალებისადმი ერთგულება, სისწორე, ნებელობითი ძალისხმევის უნარი. აგრეთვე, ამ იდეალებისა და ღირებულებების სახელით ცხოვრებისეული პოზიციების აქტივობა, მიზნის მიღწევაში სიმტკიცე. ღირებულებითი ორიენტაციის წინააღმდეგობრიობა კი ბადებს ქცევაში არათანმიმდევრულობას, პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციის განუვითარებლობას, პიროვნების შინაგან სტრუქტურაზე მისწრაფების სტიმულირების ბატონობას, მისწრაფების ობიექტის უშუალო ზემოქმედებას მოთხოვნილებაზე.

ადამიანის ძირითადი ასპარეზი ოჯახია. ყოველი ადამიანის ცხოვრება ოჯახთანაა დაკავშირებული. რომელიც პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. ერთი ნაწილი დაბადებიდან იწყება და დამოუკიდებელი ოჯახის შექმნამდე გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ინდივიდი მხოლოდ ოჯახის ერთ-ერთი წევრია. ოჯახური ცხოვრების მეორე პერიოდი ოჯახის შექმნით იწყება და სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. ამ პერიოდში იგი ოჯახის შემოქმედია, მომავალი თაობის – შთამომავლობის შემქმნელი. ქორწინებით მეუღლესთან ერთად ის იწყებს იმ მძიმე და საპატიო ტვირთის ზიდვას, რომელიც ხდება მისი ღირსების და საზოგადოებრივი პატივისცემის საფუძველი. საზოგადოება ოჯახის შემქმნელი სუბიექტების შეფასებას ახდენს იმ როლების შესრულებით, რომელსაც მართლმადიდებლობა უწოდებს „ცხოვრების მეგზურსა და შემწეს“ და „თანამეუღლესა და მცველს“.

არაერთი სოციოლოგიური გამოკვლევით დადასტურდა, რომ ქართულ სოციალურ-კულტურულ გარემოში ოჯახი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. ქართველების ყველაზე მნიშვნელოვანი ათი ღირებულების გამოკვლევის მიზნით 2003 წლიდან 2014 წლის ჩათვლით ჩავატარეთ რამდენიმე სოციოლოგიური გამოკვლევა⁶. გამოკვლევებმა მოიცვა სხვადასხვა

⁶ 2003 წელს გამოვიტხა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის 650 ქართველი; 2004 წელს თბილისის მართლმადიდებლური ეკლესიის 1500 მრევლი; 2010 წელს 800 სტუდენტი; 2013 წელს საქართველოს სამი ქალაქის თბილისი, ქუთაისი, კასპი 1212 რესპონდენტი. 2014 წელს თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლის 600 სტუდენტი.

სოციალური ჯგუფი (ასაკით, საქმიანობით, განათლებით, მრწმსით). მაგრამ მიუხედავად ამის ყოველ გამოკვლევაში რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებში ასახელებს ოჯახს.

რატომ ქმნიან ადამიანები ოჯახს? ამ საკითხის გარკვევა ვცადეთ სტუდენტებთან. საზოგადოების იმ ნაწილთან, რომელსაც ეს-ესაა უნდა შეუსრულდეთ ან უკვე შეუსრულდათ საქორწინო ასაკი. რესპონდენტთა შორის გამოიკვეთა სამი ძირითადი პასუხი: „საყვარელ ადამიანთან მუდმივად ერთად ცხოვრების სურვილი“, „შვილების ყოლის მიზანი“, „საზოგადოებაში ოჯახის შექმნისადმი ტრადიციული დამოკიდებულება“. პასუხთა ამ სამი ვარიანტიდან ყველაზე ხშირად, ორივე სქესის წარმომადგენლებში, დასახელდა „საყვარელ ადამიანთან მუდმივად ერთად ცხოვრების სურვილი“.

ცხრილი 1. რესპონდენტთა აზრი ოჯახის შექმნის მიზნების შესახებ (%)

| ოჯახის შექმნის მიზანი | მამაკაცები | ქალები |
|--|------------|--------|
| საყვარელ ადამიანთან მუდმივად ერთად ცხოვრების სურვილი | 67,7 | 69,3 |
| შვილების ყოლის მიზნით | 14,0 | 10,5 |
| მარტოხელად დარჩენის შიშით | 3,2 | 3,7 |
| საზოგადოებაში ოჯახის შექმნისადმი ტრადიციული დამოკიდებულების გამო | 12,2 | 10,8 |
| მატერიალური უზრუნველყოფისათვის | 0,4 | 0,9 |
| საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის | 0,0 | 0,0 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 0,7 | 1,5 |
| ყველა ზემოთ ჩამოთვლილის გამო | 0,0 | 1,9 |

ოჯახის შექმნის საფუძველი ძირითადად სიყვარულია. მიუხედავად ამისა, ხშირია მეუღლეთა შორის უთანხმოება და კონფლიქტი, რომელიც ძალადობაშიც კი გადადის. რა არის ამის მიზეზი? უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II, 2015 წლის საშობაო ეპისტოლეში ბრძანებს: დიდი ბედნიერებაა ოჯახის შექმნა სიყვარულით, მაგრამ მთავარია ამ მადლის შენარჩუნება და გამრავლება. როდესაც ადამიანი შეყვარებულია იგი მისთვის სასურველ პიროვნებაში ხედავს ისეთ თვისებებს, რასაც შესაძლოა სხვები ვერ ამჩნევდნენ. ამ დროს ხდება მეორე ადამიანში დაფარული შინაგანი მშვენიერების აღმოჩენა... ახლადშეუღლებულნი, მართალია, სიყვარულით ქმნიან ოჯახს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რას ნიშნავს მეუღლეობა, რამდენად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ და რას მოითხოვს იგი თითოეული მათგანისაგან; ისინი ადვილად კარგავენ იმ განწყობას, რაც ერთად მყოფობის პერიოდში ჰქონდათ; იწყება იმედგაცრუება, ერთმანეთში მრავალი ნაკლოვანების აღმოჩენა და დაუთმენლობა. გაღიზიანება იმ მდგომარეობამდეც მიდის, რომ ერთ დროს სანუკვარი ადამიანი, უკვე აუტანელი ხდება.⁷ სწორედ ეს არის მიზეზი კონფლიქტური ოჯახების მომრავლების, მეუღლეთა შორის აგრესიის და ძალადობის ფაქტების განხივების, რომელიც არც თუ იშვიათად, მსხვერპლით თავდება და, ამ ფონზე საუკეთესო გამოსავლის, განქორწინების რიცხვის ზრდა.

თანამედროვე მკვლევართა აზრით კულტურული რღვევა, რომელიც ჰყოფს დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს, ეხება პიროვნულ თავისუფლებას სექსუალურ საკითხებში, განქორწინებისადმი დამოკიდებულებას და გენდერულ თანასწორობას. ტრადიციულად, ჩვენ საზოგადოებას სექსუალური თავისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ამგვარ დამოკიდებულებას ამყარებს ჩვენი სარწმუნოებაც. თუმცა ქალის და მამაკაცის ქორწინებამდელ სექსუალურ თავისუფლებას ორმაგი სტანდარტის პრინციპით განიხილავს. ამას 2013 წელს ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევაც ადასტურებს, რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი მიუთითებს რომ ქორწინებამდე ქალს არ უნდა ჰქონდეს სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება (76,4%), მაშინ როცა ასევე დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი გამოცდილება მამაკაცს უნდა

⁷ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის საშობაო ეპისტოლე, 23:55 06-01-2015.

ჰქონდეს (81,5%). მონაცემების ანალიზმა სქესობრივ ჭრილში იგივე შედეგები გაიმეორა.

გლობალიზაციის პროცესს მოჰყვა სულ უფრო და უფრო მეტი მოულოდნელი სიახლე, რომლიც თითქმის ყველა სფეროს შეეხო. მათ შორის ოჯახსაც. ოჯახურ-ქორწინებით ურთიერთობებს შორის გაიზარდა თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი ლოიალური დამოკიდებულება. ამგვარი ქმედება სულ უფრო დასაშვები ხდება და თანდათან მნიშვნელობას კარგავს წყვილის ქორწინების გარეშე ცხოვრების ნეგატიური პოზიციის დაცვა. საზოგადოება ასევე ტოლერანტული გახდა ქორწინების გარეშე შობადობისადმი, განქორწინებისადმი. გახშირდა მსხვერპლით დამთავრებული ოჯახური ძალადობები. დგება საკითხი, მოულოდნელად თავსმოხვეული მკვეთრი სიახლეებისადმი სწრაფად და ადეკვატურად რეაგირების ან შეგუების უნარის განვითარების, თუ ერთგვარი კულტურულ-ღირებულებითი იმუნიტეტის გამომუშავების. ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია საზოგადოების აზრის შესწავლა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტი ახალგაზრდობის დამოკიდებულების გარკვევა ოჯახთან დაკავშირებულ საკითხებზე. ერთის მხრივ, მათი აზრის შესწავლით, გავარკვევთ რესპონდენტის ოჯახების დამოკიდებულებას ამ საკითხებისადმი, რადგან სოციალიზაციის ძირითადი აგენტი ოჯახია. მეორეც, გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება მათ მომავალ ოჯახებზე.

საქართველოში ოჯახს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ხშირ შემთხვევაში პიროვნების შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი მისი ოჯახი იყო. აფასებდნენ კარგი ოჯახისშვილობით, კარგი მეუღლითა და შვილებით. სასიძოს ან საპატარძლოს არჩევსას მნიშვნელოვანი იყო ის, თუ როგორი ოჯახის შვილი იყო. ადამიანის სიამაყეს კი მისი მეუღლე და შვილები განსაზღვრავდნენ. თანამედროვეობაში „ოჯახისშვილობის“ მნიშვნელობა ნელ-ნელა ქრება. ადამიანის შეფასებაში წინ წამოვიდა თავად პიროვნების მიღწევები, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენი რესპონდენტების პასუხებში.

რესპონდენტებს უნდა გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება შემდეგ მოსაზრებასთან დაკავშირებით „ადამიანი უფრო ოჯახით ფასობს, ვიდრე კარიერული წინსვლით.

მათმა უმეტესმა ნაწილმა (41,9%) მოსაზრება ნაწილობრივ გაიზიარა. მათ შორის უფრო მეტი იყო ქალი რესპონდენტი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ რესპონდენტებს შორის, ვინც გაიზიარა მოსაზრება უფრო მეტი იყო მამაკაცი, ვიდრე ქალი. თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც თავი აარიდა კითხვაზე პასუხს.

ცხრილი 2. ადამიანი უფრო ოჯახით ფასობს, ვიდრე კარიერული წინსვლით

| | მამაკაცი | | | ქალი | | |
|---|------------|-----------------------|---------------|------------|-----------------------|---------------|
| | ვეთანხმები | ნაწილობრივ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | ნაწილობრივ ვეთანხმები | არ ვეთანხმები |
| ადამიანი უფრო ოჯახით ფასობს, ვიდრე კარიერული წინსვლით | 39,4 | 39,8 | 17,6 | 38 | 43,7 | 17,6 |

მამაკაც და ქალ რესპონდენტებში თანაბარია იმათი პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ფიქრობს, რომ კარიერული წინსვლა ოჯახზე მაღლაა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ეს ახალგაზრდები იზრდებიან იმ დროსა და ვითარებაში, როცა უფროსი თაობის წარმომადგენლები კარიერისათვის არაფერს თავილობენ. კარიერაში ცუდი არაფერია, მაგრამ ახალგაზრდებში იმის გაცნობიერება აუცილებელია, რომ სამაგალითოა ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია შეიქმნას კარგი კარიერაც და საუკეთესო ოჯახიც. კარიერის გულისთვის ოჯახური ბედნიერების დათმობა არაა გამართლებული.

საინტერესოა თავად ის ფაქტი, თუ როგორ ფიქრობენ სტუდენტები რა არის აუცილებელი ბედნიერი ოჯახის შესაქმნელად? სტუდენტებს მივცევით ღირებულებათა ჩამონათვალი და ვთხოვეთ შეეფასებინათ თითოეული მათგანი მნიშვნელობის მიხედვით, იმისთვის რომ წყვილს შორის ოჯახური ცხოვრება შედგეს. შეფასება უნდა მოეხდინათ სამი კრიტერიუმით

„ძალიან მნიშვნელოვანი“, „ნაკლებ მნიშვნელოვანი“ და „არ არის მნიშვნელოვანი“ ოჯახური ცხოვრებისათვის ძალიან მნიშვნელოვან ღირებულებების პირველ ხუთეულში მოხვდა ერთგულება(91,4%), ურთიერთნდობა და ურთიერთგაგება(85,5%), შვილების ყოლა(78,6%), სქესობრივი შეთავსებადობა(68,3%) და მატერიალური უზრუნველყოფა (55,1%). ხოლო იმ ღირებულებებში, რომლებიც ოჯახური ცხოვრებისათვის, რესპონდენტთა აზრით, არაა მნიშვნელოვანი პირველ ხუთეულში აღმოჩნდა: ეროვნული ერთგვაროვნება (35,2%), ცოლ-ქმრის და შვილების ცალკე, ოჯახის სხვა წევრებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრება (29,1%), საოჯახო საქმეების განაწილება (18,1%), განათლება (17,7%) და საერთო რელიგიური შეხედულებები (13,5%).

მოპოვებული მონაცემების ანალიზმა სქესობრივ ჭრილში არსებითი განსხვავება არ აჩვენა. ძალიან მნიშვნელოვანი ღირებულებების ხუთეული მამაკაცებისთვის და ქალებისთვის ერთნაირია და ემთხვევა უკვე წარმოდგენილ ხუთეულს. თუმცა სიხშირით განსხვავდებიან. ქალებთან უფრო ხშირად დასახელდა: ერთგულება, ურთიერთნდობა და ურთიერთგაგება, შვილის ყოლა და მატერიალური უზრუნველყოფა, მამაკაცებთან კი სექსუალური შეთავსებადობა.

მეუღლეთა ერთგულება, მათ შორის ურთიერთგაგება და ურთიერთნდობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ოჯახის სახეს. რაც უფრო მაღალია მეუღლეთა შორის ურთიერთგაგების და ნდობის მაჩვენებელი მით უფრო ჰარმონიულია მათი ოჯახური ცხოვრება. მეუღლეთა ერთგულება ისევე როგორც ქალისა და მამაკაცის ქორწინებამდელი სექსუალური თავისუფლება, ორმაგი სტანდარტის პრინციპით განიხილება. ქალებს ერთგულება უფრო მეტად მოეთხოვებათ, ვიდრე მამაკაცებს. თუმცა ორივე სქესის რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ოჯახურ ცხოვრებაში ერთგულება პირველი მნიშვნელობის ღირებულებაა.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ოჯახური ცხოვრებისათვის ძალიან მნიშვნელოვან ღირებულებებად ქალები უფრო მეტად ასახელებენ საერთო

ინტერესებსა და გემოვნებას, საერთო რელიგიურ შეხედულებებს, ეროვნულ ერთგვაროვნებას, საოჯახო საქმეების განაწილებას, განათლებას და ოჯახის-ცოლქმრის ბავშვებით ცალკე, ოჯახის სხვა წევრებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრებას.

ცხრილი 3. რესპონდენტთა აზრით ჩამოთვლილი ღირებულებების მნიშვნელობა ოჯახური ცხოვრებისათვის (%)

| | ძალიან მნიშვნელოვანი | | ნაკლებად მნიშვნელოვანი | | არ არის მნიშვნელოვანი | |
|--|----------------------|------|------------------------|------|-----------------------|------|
| | მამაკაცი | ქალი | მამაკაცი | ქალი | მამაკაცი | ქალი |
| ერთგულება | 88,2 | 94,1 | 7,5 | 3,4 | 4,3 | 2,2 |
| შვილების ყოლა | 75,6 | 81,1 | 6,9 | 16,4 | 6,1 | 2,5 |
| მატერიალური უზრუნველყოფა | 52,0 | 57,9 | 40,5 | 37,5 | 6,8 | 4,3 |
| ურთიერთნდობა და ურთიერთგაგება | 83,2 | 87,6 | 10,8 | 9,3 | 6,0 | 2,8 |
| სქესობრივი შეთავსებადობა | 69,9 | 66,9 | 24,0 | 26,6 | 4,7 | 5,9 |
| ოჯახის-ცოლ-ქმრის ბავშვებით ცალკე ბინაში ცხოვრება | 13,3 | 27,6 | 54,1 | 43,0 | 30,8 | 27,6 |
| საერთო გემოვნება და ინტერესები | 29,0 | 45,2 | 57,7 | 48,6 | 12,5 | 4,6 |
| საერთო რელიგიური შეხედულებები | 49,1 | 55,1 | 35,5 | 31,9 | 14,3 | 12,7 |
| საოჯახო საქმეების განაწილება | 29,0 | 34,7 | 48,4 | 48,6 | 21,5 | 15,2 |
| ეროვნული ერთგვაროვნება | 18,3 | 26,0 | 39,8 | 42,4 | 41,2 | 30,0 |
| განათლება | 42,3 | 50,2 | 35,1 | 35,3 | 21,5 | 13,9 |

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა აზრით, ოჯახური ცხოვრებისათვის ერთგულება პირველი მნიშვნელობის ღირებულებაა, ღალატს, როგორც მეუღლეზე ძალადობისათვის საკმარის მიზეზს, უმეტესობა არ ამართლებს. (ცხრილი 4) მათ შორის უმეტესობას წარმოადგენენ ქალები. რაც შეეხება მამაკაცებს მათი უმრავლესობა წამოყენებულ თეზისის ეთანხმება სრულად ან ნაწილობრივ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები ოჯახში

ძალადობის ერთ-ერთ პირველი მნიშვნელობის მიზეზებში ასახელებენ ღალატს (23,9%).

ცხრილი 4. ღალატი საკმარისი მიზეზია მეუღლეზე ძალადობისათვის

| | მამაკაცი | | | ქალი | | |
|--|------------|-----------------------|---------------|------------|-----------------------|---------------|
| | ვეთანხმები | ნაწილობრივ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | ნაწილობრივ ვეთანხმები | არ ვეთანხმები |
| ღალატი საკმარისი მიზეზია მეუღლეზე ძალადობისათვის | 33,3 | 24,7 | 39,1 | 17,3 | 20,4 | 61,3 |

საშობაო ეპისტოლეში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ყურადღება გაამახვილა მეუღლეთა ერთგულება-ღალატზე და აღნიშნა: „მეუღლეთაგან ერთი იჩენს ერთგულებას და თავდადებულ სიყვარულს, მაგრამ მეორე ამ გრძნობებს სათანადოდ არ აფასებს და მხოლოდ თავისი ვიწრო ეგოისტური სურვილების ტყვეობაშია. საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ და მატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ ადამიანში სხვისი ფლობის სურვილი და მომხმარებლური სული გააძლიერა. დღეს უკვე ამგვარი მიდგომა შეეხო ოჯახის წევრებსაც და ეგოისტური მიზნებით თვით მათი გამოყენების მცდელობები გააჩნია. ასეთი დამოკიდებულება ოჯახურ ყოფას გაუსაძლისს ხდის“.⁸

ოჯახური ცხოვრებისათვის ძალიან მნიშვნელოვან ღირებულებების ჩამონათვალში მეექვსე ადგილზე მოხვდა საერთო რელიგიური შეხედულებები (55,3%). ქრისტიანული სწავლების მიხედვით „ცოლი როდია თავისი სხეულის უფალი, არამედ ქმარი: არცა ქმარია თავისი სხეულის უფალი, არამედ

⁸ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის საშობაო ეპისტოლე. 23:55 06-01-2015.

ცოლი.“ (I კორინთ. 7.4.) ცოლქმრული ურთიერთობის ამგვარი გაგება დაფუძნებულია არა ძალადობაზე, არამედ ურთიერთნდობას, ურთიერთგაგებას, ერთიერთსიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე. ეს კი განსაზღვრავს მდგრად ოჯახურ კავშირს, სადაც ყველა პრობლემა ყოველგვარი კონფლიქტისა და ძალადობის გარეშეა მოგვარებადი. ჩვენ რესპონდენტ სტუდენტებს კარგად აქვთ გაცნობიერებული ბედნიერი ოჯახური ცხოვრებისათვის აუცილებელი ღირებულებები. თუ მოახერხებენ და მეუღლედ, ცხოვრების მეგზურად, თანამეცხედრედ აირჩევენ ისეთ ადამიანს, ვინც ამ ღირებულებებს დააფასებს, მაშინ მათ ოჯახურ ურთიერთობებს საფრთხე არ დაემუქრება.

Elguja Menabdishvili
Vano Shushtakashvili

Significant values' transformation for family life at the modern stage

Abstract

The main reason for create family is love. The majority of respondents believe that the main aim of creating a family is: "Favorite person ever to live together", "to have children", "the traditional attitude of the family in society." Family importance is very high of respondents. Most of them believe that people are more appreciated with family than with career plans. In order to achieve a family life, the respondents believe that it is very important: commitment (91,4%), mutual trust and understanding (85,5%), to have children (78,6%), sexual compatibility (68,3%) and financial support (55.1%). Most of the respondents believe that "cuckold" is not a sufficient reason for violence.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის საშობაო ეპისტოლე. 23:55 06-01-2015.
2. Девид Джери. Джулия Джери. Социология. 1999,
3. Масионис. Социология. 2004.

ძ ა ლ ა დ ო ბ ა ო ჯ ა ხ შ ი

თანამედროვეობის რიგ დევიაციურ სოციალურ მოვლენათა შორის მწვავედ იჩინა თავი ოჯახში. ძალადობის პრობლემამ. საზოგადოებაში, უპირველეს ყოვლისა კი ოჯახში, ძალადობის არნახულად გახშირებულმა შემთხვევებმა ყურადღების ცენტრში მოაქცია და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ საკითხის მეცნიერული გააზრებისა და კვლევის აუცილებლობას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 2007-2014. წლების პირველ ნახევარში (იანვარი-ივნისი) დაფიქსირდა 4935 კონფლიქტი ოჯახში და კონფლიქტებში მონაწილე 10188 პირი. იგივე პერიოდში ადგილი ჰქონდა ოჯახში ძალადობის 1102 შემთხვევას, მათში მონაწილე 2223 პირით. 2014 წლის იანვრიდან სექტემბრამდე ოჯახში ძალადობის 362 შემთხვევა აღირიცხა (საქმე ეხება სსკ-ის 1261 მუხლით დასჯად შემთხვევებს). ეს რიცხვი 43 ერთეულით აღემატება 2013 წლის იგივე პერიოდის ანალოგიური ფაქტების რაოდენობას, ანუ დანაშაულის ზრდა თვალსაჩინოა.

ოჯახური ძალადობის სახეებიდან საქართველოში ჭარბობს ფიზიკური (47,2% და ფსიქოლოგიური ძალადობა (42,8%), ხოლო დანარჩენ ოჯახურძალადობებზე (ეკონომიკური, სექსუალური და სხვ.) მოდის 10%.

2013-2014 წწ. მონაცემებით მოძალადეებს შორის ჭარბობდნენ მამაკაცები – 1014, ხოლო ქალების რაოდენობა შეადგენს 82. აღნიშნულ პერიოდში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი გახდა 1010 ქალი და 117 მამაკაცი. მოძალადე მამაკაცებში, ისევე როგორც ქალებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 25-44 ასაკობრივ ჯგუფში. ძალადობის ფაქტების რაოდენობით საქართველოს რეგიონების შორის პირველ ადგილზე თბილისი, მეორეზე – ქვემო ქართლი, ბოლო ადგილზე გურია.

ხშირ შემთხვევაში საქართველოს შსს-ს სტატისტიკა ყოვლის მომცველი ვერ იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი ერიდება ოჯახის პატივის და

ღირსების შემლახავი ფაქტების გასაჯაროებას. 2009 წელს გაეროს ეგიდით საქართველოს მთელი მასშტაბით განხორციელებულმა პროექტმა "ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში" მოიცვა 15-49 წლის ასაკის 2391 ქალი. მიუხედავად იმისა, იმ ქალთა შორის, რომლებიც ოდესმე ყოფილან გათხოვილი, ყოველი 11 იყო ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, გამოკითხულ ქალთა 78,3% თვლიდა, რომ "ამბავი ოჯახს გარეთ არ უნდა გავიდეს".⁹ დასკვნის გაკეთება ადვილია. ოჯახში ძალადობა სერიოზული პრობლემაა, აქტუალურია და მისი მეცნიერულ დონეზე გააზრება გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს.

*ავთანდილ სულაბერიძე
ციცინო გვრიტიშვილი
ნინო გომელაური*

ოჯახში ძალადობის სოციოლოგიური ასპექტი

როდესაც, ძალადობაზე და კერძოდ ოჯახში ამ სოციალური ანომალიის შესახებ ვმსჯელობთ ლოგიკურად ჩნდება კითხვები: საიდან მოვიდა ეს დევიაცია? რა განაპირობებს გონიერი, მოაზროვნე ადამიანის "Homo sapiens"-ის გარდაქმნას მოძალადედ – "Homo violent"-ად? რა არის ოჯახში ძალადობა საერთოდ, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე? რა ფაქტორები განაპირობებენ ადამიანის, როგორც საზოგადოებრივ-ისტორიული საქმიანობის შემქმნელის ასოციალურ, დევიანტურ არსებად გადაქცევას? რა მოვლენები უყალიბებს ოჯახის ზოგიერთ წევრს უარყოფით სოციალურ განწყობას მორალური ნორმების, ტრადიციების, მატერიალური და სულიერი ღირებულების მიმართ და უბიძგებს მას მიზანმიმართული ძალადობრივი ქცევისკენ?

რიგ მეცნიერთა აზრით, "ძალადობა ოჯახში ეს არის

⁹ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში. საბოლოო ანგარიში. თბ., 2010 გვ. 13.

ქმედება, რომლის მეშვეობითაც ერთი ადამიანი ცდილობს მიაღწიოს შეუზღუდავ გავლენას მეორეზე, დაამყაროს სრული კონტროლი მის ქცევაზე, გრძნობებზე. ძალადობა ოჯახში ეს არის წინასწარ განზრახული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის და ტანჯვა-წამების მიყენება ოჯახის ერთ ან რამდენიმე წევრზე, მუქარა, შანტაჟი ასეთი ქმედების განხორციელებისა".¹⁰

ძალადობა ოჯახში ფართო შინაარსის მქონე მოვლენაა, თუმცა ბოლო დრომდე ის განიხილებოდა როგორც "პრობლემა, რომელთანაც პირდაპირ ან ირიბად შეხება აქვს ბევრ ქალს".¹¹ 1993 წ. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული "დეკლარაცია ქალთა ძალადობის წინააღმდეგ" (DEVAFN) გვამცნობს: "ისტორიულად, ძალადობა ქალთა მიმართ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული არათანაბარი ურთიერთობების მანიფესტიცაა. ამდაგვარი ურთიერთობის შედეგია მამაკაცის მხრიდან ქალზე დომინირება და მისი დისკრიმინაცია". იგივე გაერო ოჯახში ძალადობრივი ურთიერთობის ფარგლებს სცდება და მიიჩნევს, რომ ძალადობა ოჯახში არის "ძალადობის ფორმა, რომელიც ჩნდება სქესობრივი კავშირის ან სისხლით ნათესაობის მქონე ორ ადამიანს შორის მათ პირად ცხოვრებაში".¹² ასეთი განსაზღვრებით აღიარებულია, რომ რიგ სოციალურ მოვლენათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თაობათაშორის ურთიერთობებისა და ურთიერთ-ქმედებების გამწვავებას და მის შედეგს – ძალადობას ოჯახში, როგორც უფროსი თაობის მხრიდან ოჯახის უმცროს წევრებზე, ასევე შვილების ძალადობას მშობლების და ოჯახის სხვა წევრების მიმართაც.

ეყრდნობა რა ინგლისურენოვან ლექსიკონებში ტერმინ "ძალადობის" განსაზღვრას, პროფესორი ლ. წულაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ "აქცენტი ფიზიკურ ძალაზე და ხილულ შედეგებზეა გაკეთებული და არაფერია ნათქვამი ძალადობის ისეთ ფორმებზე, რომლებიც თვალისთვის ხილული არ არის, თუმცა უაღრესად სახიფათოა

¹⁰ Е.П. Агапов, О.А. Нор-Аревян. Семейведение. М. 2010 , с. 185.

¹¹ Э. Гидденс. Социология. М. 1999. с. 175-176.

¹² <http://www.ksgm.gov.tr/tdvaw/doc/Main-report.pdf> (pp. 19).

ადამიანისთვის, მაგ. ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობა".¹³

საქართველოს კანონის "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" მე-3 მუხლის მიხედვით "ოჯახში ძალადობა გულისხმობს ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობით". ახლახან შსს-ს მიერ საინფორმაციო ბიულეტენებით მოხდა განვრცობა და დაზუსტება, რომ ოჯახში ძალადობა ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ ოჯახის სხვა წევრის, წევრების მიმართ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის 2015 წლის საშობაო ეპისტოლეში, ოჯახში ძალადობის ჩამოთვლილი სახეების გვერდით მოხსენიებულია თვითმკვლელობაც, როგორც ოჯახის წევრის მიერ საკუთარ თავზე განხორციელებული ძალადობა.

ჩვენი აზრით ყველა მოტანილი მოსაზრების გათვალისწინებით – ძალადობა ოჯახში არის ოჯახის წევრის მიერ თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობის გზით საკუთარ თავზე განხორციელებული ძალადობა, ოჯახის ერთი წევრის ან წევრების მიერ ოჯახის წევრის ან წევრების კონსტიტუციური უფლებების ან თავისუფლების დარღვევა უგულვებელყოფით ან ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობა საერთოდ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გავრცელებული ფორმაა და ეს პრობლემა უფრო ფართო შინაარსის მქონეა, ვიდრე ცოლ-ქმარს შორის უთანხმოების, კონფლიქტების შემდგომ ძალადობაში გადაზრდილი ქმედება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციების გავლენით, ბევრი სახელმწიფო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ

¹³ ლ. წულაძე. სცენის მიღმა. პროექტი: „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში“. თბ., 2010. გვ. 72.

ოჯახში ძალადობის პრობლემა განიხილება ძირითადად გენდერული ძალადობის და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე გავლენის კუთხით (საქართველოს პარლამენტში დღესაც მოქმედებს წინა ხელისუფლების დროს შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭო – რომელსაც ხელმძღვანელობს ქ-ნი მ. კობახიძე). ბოლო წლებში აქცენტი ასევე გადატანილია ბავშვთა უფლებების დაცვაზე. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა მისასალმებელია, მაგრამ არის კიდევ ოჯახში ძალადობის ერთი ასპექტი – ძალადობა ხანდაზმულებზე (გერონტოლოგიური ძალადობა), რომელიც ყურადღების მიღმა დატოვებული და ხანდაზმულთა პრობლემების განხილვა ძირითადად მათი საპენსიო და სამედიცინო მომსახურების კუთხით განიხილება.

კვლევები საქართველოში, რომლებიც თაობათა შორის ურთიერთობებს ეხება მცირეა ან კვლევის პროგრამით არ არის გათვალისწინებული ხანდაზმულებზე ძალადობის, მათი ასაკობრივი დისკრიმინაციის, "ეიჯიზმის" პრობლემები. არადა გამომდინარე იქიდან, რომ დაბერების ყველა სკალის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულების მაღალი დონით გამოირჩევა და დაბერების დონე ყველა პროგნოზით კიდევ უფრო მასშტაბური იქნება, გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია ამ საკითხების სიღრმისეული კვლევა, თუნდაც პრევენციული ღონისძიებების შემუშავების კუთხით.

ამჟამად საქართველო დემოგრაფიულად დაბერებული მოსახლეობის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება. დემოგრაფიული პროგნოზების მიხედვით, რომელსაც პერიოდულად აქვეყნებს გაერო, მსოფლიო ბანკი და აშშ-ის აღწერის ბიურო, ასევე პროფ. გ. წულაძის გაანგარიშებით, არც თუ ისე შორეულ პერსპექტივაში კიდევ უფრო არასახარბიელო სიტუაცია იკვეთება.

2025 წლისათვის ოთხივე წყაროს მონაცემებით საქართველოში 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში გაეროს მონაცემებით – 19,0%, მსოფლიო

ბანკის მიხედვით 18,3%, აშშ აღწერის ბიუროს გაანგარიშებით 20,1%, ხოლო პროფ. გ. წულაძის შეფასებით – 16,0% იქნება.¹⁴

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მონაცემთა შორის განსხვავებისა, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება შეუქცევად ხასიათს ატარებს, რასაც სხვა პრობლემებთან ერთად თაობათაშორის ურთიერთობების ცვლილებები მოჰყვება, როგორც საზოგადოებაში, ასევე ოჯახშიც.

მიუხედავად ქართველ დემოგრაფთა და სოციოლოგთა ნაშრომებისა ხანდაზმულთა პრობლემებზე (პ. გუგუშვილი, ა. სულაბერიძე, გ. წულაძე, მ. შელია, ა. ლეჟავა და სხვ.), თაობათაშორის ურთიერთობის საკითხი ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი, მ.შ. ხანდაზმულებზე ოჯახში ძალადობის, მისი განხორციელების გზების და ფორმების საკითხები.

ქვეყანაში განხორციელებული მცირერიცხოვანი კვლევების დასკვნები იდენტურია. საქართველოს ოჯახებში ხანდაზმულები განსაკუთრებული ზრუნვის და გულთბილი მოპყრობის ობიექტები არიან. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართულ, ტრადიციულ მენტალიტეტს, რომ "ოჯახის ამბები გარეთ არ უნდა გავიდეს" (რაც ჩვენმა გამოკითხვამაც დაადასტურა) და ხელისუფლების დამოკიდებულებას ხანდაზმულების სოციალური პრობლემების მიმართ, რეალობა შეიძლება სრულიად სხვა იყოს.

ოჯახში ძალადობის პრობლემების კვლევებისას გამოვლინდა, რომ არ არსებობს ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებზეც დაყრდნობითაც შეიძლება წარიმართოს საკითხის კვლევა ოჯახში ძალადობის მიმართ. უფრო მეტიც, მიუხედავად სახელმწიფო ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული დასკვნებისა და რეკომენდაციებისა, ისინი ძირითადად გენდერული ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისკენ არის მიმართული. დასკვნები, რომ უმუშევრობის დონის შემცირება პრობლემის გადაჭრის გზა არის, სწორია, მაგრამ არა მთლიანობაში. ყველა უმუშევარი

¹⁴ გ. წულაძე. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები 2015-2300 წლებში, თბ., 2013. გვ. 39.

რომ მოძალადე იყოს, მდგომარეობა კატასტროფული იქნებოდა. გარდა ამისა, ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში ხშირად დასაქმებულის შემოსავალი იმდენად მიზერულია, რომ ამანაც შეიძლება განაპირობოს ოჯახის წევრთა აგრესიულობა. კანონის გამკაცრება მოძალადეთა მიმართაც შეიძლება განხილულ იქნას როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ მოვლენად. "კვლევები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდა დამნაშავეებზე ციხემ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს და გამოიწვიოს მათი შერწყმა ისეთ სუბკულტურებთან, სადაც მსხვერპლად ყოფნის თავიდან აცილების ერთადერთი გზა სხვებზე ძალადობაა".

ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ოჯახში ძალადობრივი ქცევის გამოვლინებას არა მხოლოდ ადამიანის შინაგანი ბუნება, არამედ ძირითადად ის სოციალური გარემო პირობები განსაზღვრავენ, რომელშიც არსებობს ოჯახი. ამიტომ პრობლემის არსში გასარკვევად ვეყრდნობით ფამილისტიკის (ოჯახმცოდნეობის) მეთოდოლოგიურ პრინციპებს და დ. უზნაძის განწყობის თეორიის ძირითად დებულებებს, რომლებიც ადამიანის ქცევას განაპირობებენ ვთვლით რომ ექსკურსის გაკეთება ოჯახის ისტორიული ტრანსფორმაციის ჭრილშიც გარკვეულ სიცხადეს შეიტანს საკვლევ პრობლემაში.

ადამიანებს ყოველთვის აინტერესებდათ თავისი ქცევის პირველსაწყისი მიზეზები, მაგრამ ათასწლეულების მანძილზე საკუთარი თავის შეცნობა ემყარებოდა აზროვნების ტრადიციულ ხერხებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და დაკავშირებული იყო რელიგიურ ცნებათა გამოყენებასთან. მართალია წარსული, ანტიკური ხანის მოაზროვნეთა (პლატონი, არისტოტელე) თვალთახედვა მიმართული იყო ქორწინების, ოჯახის, წათესაობის, როგორც თაობათა განახლების, არსებობის, აღზრდის და დაცვის სპეციფიკური ფორმებისაკენ, ხშირად თავისი მოსაზრებით სწორედაც რომ ოჯახზე ძალადობის დამკვიდრებას უწყობდნენ ხელს. ასე, მაგ., პლატონი (ახ.წ.-მდე 428-348 წწ.) თავის "რესპუბლიკასა" და "კანონებში" აწვითარებდა რა სახელმწიფოს ძალაუფლების ტოტალიტარულობის იდეას, თვლიდა, რომ "სახელმწიფოს ძალას წინ ვერ უნდა დადგომოდა ვერც

ოჯახური და ვერც რაიმე სხვა ინტერესი. პლატონი მხარს უჭერდა კერძო საკუთრებისა და ტრადიციული ოჯახის გაუმჯობესებას. ამავე დროს "სუსტი, მახინჯი ფიზიკური ნაკლის მატარებელი, ასევე მაგისტრის ნებართვის გარეშე გაჩენილი ბავშვები უნდა დაქვემდებარებოდნენ განადგურებას. დანარჩენი ბავშვები კი უნდა აღზრდილიყვნენ კოლექტიურად ... მშობლებისა და და-ძმების შესახებ მათ არასოდეს არაფერი არ უნდა სცოდნოდათ". რიგ საკითხებში არისტოტელე არანაკლებ ძალადობრივ იდეებს აწვითარებდა. მაგ. ის თვლიდა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა უფლება იძულებით შეეწყვიტა ქალების ორსულობა იმ შემთხვევაში, თუ კი ბავშვების რაოდენობას ჭარბად ჩათვლიდა". ეს კი "ხისტი, საზარელი, არაადამიანური პრინციპებია".¹⁵

ადამიანთა ქცევის და საზოგადოების სისტემური შესწავლა შედარებით ახალი მიღწევაა. მისი ფესვები მე-18 საუკუნის ბოლოსკენ მიდის და დაფუძნებულია ინდუსტრიალიზაციითა და ურბანიზაციით გამოწვეულ რადიკალურ ცვლილებებთან, ცხოვრების ტრადიციული წესების ნგრევასთან, როგორც სოციალური, ასევე ბუნებრივი სამყაროს ახლებურ გაგებასთან. ამას ხელს უწყობდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაც. ახალი მოსაზრებების და შეხედულებების ჩამოყალიბება საზოგადოების, მ.შ. ოჯახის არსის, მასში მიმდინარე პროცესების, საოჯახო ფასეულობების ფორმირების და ცვლილებების მექანიზმების შესახებ.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობს ოჯახის ტრანსფორმაცია და მოდერნიზაცია, მზარდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს სოციალიზაციის, ოჯახის წევრთა ემოციური ურთიერთობების განხორციელების საკითხების კვლევა ისტორიულ ჭრილში. ანუ იმის გარკვევა, სოციალიზაციის – საზოგადოებრივ ცხოვრებაში პიროვნების ჩართვის პროცესის რა სოციალური ფაქტორები ქმნიან პიროვნების ამა თუ იმ

¹⁵ გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. სულაბერიძე. დემოგრაფია, თბ. 2007. გვ. 263-265.

თავისებურებას როგორცაა სოციალიზაციის მექანიზმები და საზოგადოებრივი შედეგები.¹⁶

სოციალიზაცია ხომ „... არის პროცესი, რომელიც ჩვილს თანდათანობით გონიერ, თვითშემეცნებით ადამიანად აქცევს, აცნობიერებს რა კულტურის არსს, რომელშიც ის დაიბადა“.¹⁷ სოციალიზაციის პროცესში ადამიანი იძენს რწმენას, ნორმებსა და ფასეულობებს, რომელიც მისაღებია საზოგადოებისთვის და რომელთა ქონასაც საზოგადოება ან სოციალური ჯგუფი მოელის თავისი წევრებისგან.

სოციალიზაცია ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა თაობას, რომელთათვის კულტურული განვითარების პროცესი სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. იგი უფრო ინტენსიურია ახალშობილობის და ადრეული ბავშვობის ხანაში, ვიდრე მომდევნო სტადიებზე, თუმცა კულტურის ნორმების „... სწავლა და მასთან მისადაგება ცხოვრების მთელი ციკლის განმავლობაში გრძელდება. სიკვდილიც კი არ გამორიცხავს სოციალიზაციის საკუთარ ელემენტებს. სოციალიზაცია მუდმივი პროცესია ყველა ჩვენთაგანისთვის“.¹⁸

სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია სხვადასხვა როლის ათვისება, ანუ ადამიანის გარკვეულ უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული სტატუსიდან გამომდინარე მოსალოდნელი ქცევა. რამდენადაც ყოველი ადამიანი რამდენიმე როლს ასრულებს სხვადასხვა სიტუაციაში, და როდესაც ადამიანი აწყდება ორი ან მეტი შეუთავსებელი, ურთიერთდაპირისპირებული როლის მოთხოვნებს, აღმოცენდება როლებრივი კონფლიქტი. "წინააღმდეგობრივი მოთხოვნები წაყენებული ერთი და იგივე როლისთვის შეიძლება როლებრივი დამაბულობის მიზეზი გახდეს. არც ერთი როლი (ფორმალური ან არაფორმალური) არ წარმოადგენს ქცევის მკაცრად ფიქსირებულ მოდელს. უფრო

¹⁶ გ. წულაძე. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2005, გვ. 251.

¹⁷ Э. Гидденс. Социология. М. 1999, с. 68.

¹⁸ ქ. კალჭუნი, დ. ლაითი, ს. კელერი. სოციოლოგია. 5-13, თბ., 2007, გვ. 53.

მეტიც – ქცევა წარმოადგენს მოცემული პიროვნებისთვის როლებრივი მოლოდინების განმარტების შედეგს".¹⁹

სხვადასხვა ისტორიული ეპოქა და კულტურა სხვადასხვანაირად აყალიბებს ადამიანის წარმოდგენებს საკუთარ თავსა და სხვებზე, მაგრამ კულტურა არ არის სტატიკური, უძრავი ფენომენი. იგი ცვალებადია და სოციალიზაციის სხვადასხვა აგენტს სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ფუნქცია და როლი გააჩნიათ. თანამედროვე სამყაროში ოჯახი, სკოლა, მასმედია და თანატოლები აქტიურად არიან ჩაბმული ბავშვებისათვის კულტურული ელემენტების სწავლების პროცესში.

ოჯახის ჩამიყალიბებიდან დღემდე ოჯახი სოციალიზაციის ძირითად აგენტად რჩება.

ოჯახი, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური მთლიანი ორგანიზმი პიროვნებაზე სოციალიზირებად გავლენას ახდენს ნორმატიული და ინფორმაციული ქმედებებით. რაც უფრო შეკავშირებულია ოჯახი მით უფრო ეფექტურია ნორმატიული ზემოქმედება. ოჯახის წევრებისათვის დამახასიათებელია ფასეულობების ერთიანობა, ოჯახის პრიორიტეტულობა, ინდივიდის დაქვემდებარება საოჯახო ნორმებზე. რაც უფრო შეკავშირებულია ოჯახში, მით უფრო ძლიერია საოჯახო "ჩვენ". ოჯახის ინფორმაციული ზემოქმედებით კი ინდივიდი სამყაროს აღიქვამს ოჯახის წევრების თვალთახედვის შესაბამისად და ამ ხედვას ღებულობს როგორც ჭეშმარიტს და არ აინტერესებს საზოგადოების აზრი. საოჯახო სოციალიზაციის მთავარ მეთოდს პირადი მაგალითი წარმოადგენს.

კაცობრიობის ისტორიაში იყო თეორიული მცდელობები (პლატონი, კ. მარქსი და 20-30 წწ. მე-20 საუკუნის სსრკ-ში) ბავშვების აღზრდისა და სოციალიზაციის გამართლებისა ოჯახს მიღმა (პლატონის მისაზრებებს ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით). მაგრამ ეს იდეები წარუმატებელი აღმოჩნდა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ოჯახის პირველსახოვანი მნიშვნელობა. მსგავსი იდეები კიდევ გვხვდება გასული საუკუნის 60-იან წლებში, აკადემიკოს ს. სტრუმილინის ნაშრომებში, სადაც იგი

¹⁹ Н. Смелзер. Социология. М. 1994. с. 90-91.

ბავშვთა აღზრდის სრულ "კოლექტივიზაციას" (განზოგადებას) უჭერდა მხარს. მისი მოსაზრებით "ყოველი საბჭოთა მოქალაქე სამშობიარო სახლიდან გამოსვლისთანავე გაიგზავნება საბავშვო ბაგაში, აქედან საბავშვო ბაღში ან საბავშვო სახლში ... – მერე სკოლა-ინტერნატიში; ხოლო აქედან გაემართება უკვე დამოუკიდებელი ცხოვრების საგზურით".²⁰

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი აკრიტიკებდა რა ს. სტრუმლინის ამ მოსაზრებას სამართლიანად სვამდა კითხვას? "... თუ დედობის და მამობის საოცარი ინსტიქტი გაქრება მაშინ, საკითხავია, ადამიანს, კერძოდ ქალს შვილის გაჩენის სიმძიმეთა ატანის რა სტიმული, რა მისწრაფება ექნება?.. ადრე თუ გვიან ქრება შვილებსა და მშობლებს შორის კავშირი, თვით ნაცნობობაცა და მამასადამე, მშობლიური გრძნობა ... ქრება ოჯახი".²¹

ჩვენი მხრიდან კი დავძენთ, რომ ს. სტრუმლინის უტოპიური იდეებს გატარება სხვა არაფერი იქნებოდა თუ არა პიროვნებასა და ოჯახზე სახელმწიფოს მხრიდან ძალადობა, რომელიც საფუძველს გამოაცლიდა ადამიანის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნილებას – ინტიმურ ურთიერთობათა სიფაქიზეს. რადგანაც სრულყოფილი ინტიმური ურთიერთობების, სიყვარულის, სიკეთის, ურთიერთგაგების არსებობა, როგორც ფსიქიატრები და ფსიქოლოგები თვლიან იწვევს ქცევების რღვევას და როგორც სტატისტიკა მოწმობს 70 დანაშაულს 100 დევნიანტური საქციელიდან ჩადიან ადამიანები, რომელთაც ბავშობაში აკლდათ მშობლების სიყვარული და მზრუნველობა.²²

თანამედროვე ეტაპზე ოჯახი კარგავს თავის წამყვან პოზიციებს ინდივიდთა სოციალიზაციის მხრივ. ტრადიციული როლები, რომლის დროსაც ქალი უძღვებოდა საოჯახო საქმეებს, ბადებდა და ზრდიდა ბავშვებს, ხოლო ქმარი იყო ოჯახის უფროსი და უზრუნველყოფდა ოჯახის ეკონომიკურ

²⁰ С. Струмилин. Новый мир. М. 1960. с. 208.

²¹ პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები., თბ., 1973 წ., გვ. 66.

²² Е.П. Агапов, О.А. Нор-Аревян. Семейведение. М. 2010 , с. 33.

დამოუკიდებლობას, წარსულს ჩაბარდა. ქალთა უმრავლესობა ჩაერთო სამეწარმეო ურთიერთობებში, იგი ქმართან ერთად თანაბრად მონაწილეობს საოჯახო პრობლემების გადაწყვეტაში. ამან კი არსებითად შეცვალა ოჯახის ფუნქციონირების ხასიათი და გამოიწვია, როგორც დადებითი, ასევე ნეგატიური შედეგებიც.

სოციალიზაციის კიდევ ერთი აგენტია საგანმანათლებლო დაწესებულებები. ბავშვებისათვის ინტელექტუალური და ტექნიკური უნარ-ჩვევების სწავლების გარდა, ამ დაწესებულებებში მოზარდები სწავლობენ იმ კულტურულ ფასეულობებსა და დამოკიდებულებებს, რომელიც ხელს უწყობს მათ მომზადებას შემდგომი როლებისათვის. ასევე სკოლებში მიმდინარე პროცესები ეხმარება ბავშვებს, მიიღონ უფრო ფართო კულტურისათვის დამახასიათებელი რწმენები და ფასეულობები.

ბავშვების სოციალიზაცია ხდება მასმედიითაც. მასმედია ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილი საშუალებების ერთობლიობაა, რომლებშიც იგულისხმება ტელევიზია, რადიო, ფილმები, კომპაქტდისკები და ჩანაწერები, კომპიუტერული პროგრამები, წიგნები, ჟურნალები და გაზეთები. მიუხედავად იმისა, რომ მასმედიის ყველა საშუალება სოციალიზაციის მნიშვნელოვანი აგენტია, ბავშვების სოციალიზაციაზე გავლენას ყველაზე მეტად ტელევიზია ახდენს. მოსალოდნელია, რომ ახლო პერსპექტივაში მას მნიშვნელოვნად გაასწრებს ინტერნეტი. თანატოლთა ჯგუფები ასევე ნერგავენ მოზარდში კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს. ეს ნორმები შეიძლება დადებითიც იყოს (როგორცაა გაზიარება, სამართლიანობა და ა.შ. რომლებიც ემთხვევა მშობლების ღირებულებებს და ნორმებს)²³ და უარყოფითიც, როცა მოზარდები ქცევის ნორმებს ქუჩის მეშვეობით იძენენ.

სოციალიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძირითადი ცხოვრებისეული გარდატეხების დროს, როგორიცაა ქორწინება, ბავშვების გაჩენა ან პენსიაზე გასვლა – ანუ

²³ ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი. სოციოლოგია. 5-13, თბ., 2007, გვ. 42.

რესოციალიზაციის პროცესი, რომელსაც ხშირად წინ უსწრებს დესოციალიზაციის პროცესი.

სოციალიზაციის პროცესი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა თაობებს. მშობლების მოვალეობები, როგორც წესი, აკავშირებს მშობლებსა და შვილებს მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე. ხანდაზმულები მშობლებად რჩებიან მაშინაც კი, როცა მათ შვილიშვილები უჩნდებათ. საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ სამწუხაროდ იცვლება, დროთა განმავლობაში კი შეიძლება საერთოდაც გაქრეს თაობათაშორის ურთიერთობების კულტურა, იკარგება უფროსი თაობის მნიშვნელობა და მძაფრდება თაობათაშორისი ურთიერთქმედების ხასიათი.

თაობათაშორისი ურთიერთქმედების ერთ-ერთი მწვავე პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ახალგაზრდობა ვერ იღებს სიბერეს და უფროსი თაობის გამოცდილებას. ხშირად პაპა-ბებიები შვილიშვილების მერ აღიქმება, როგორც ტვირთი, ხოლო მათთვის ყურადღების მიქცევის და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ხასიათის დახმარების ვალდებულება, როგორც დამამძიმებელი მოვლენა. ეს კი გაუგებრობისა და კონფლიქტის მიზეზი ხდება.

ტერმინ "ეიჯიზმის" ავტორის რ. ბატლერის აზრით, რომელიც ამ ცნებაში გულისხმობდა ერთი ან რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფის მიერ განხორციელებულ დისკრიმინაციას სხვა ასაკობრივი ჯგუფების მიმართ, მიიჩნევს, რომ ეიჯიზმი ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფს შეიძლება შეეხებოდეს, ყველაზე ხშირად იგი ხანდაზმულების მიართ გამოვლინდება, რადგან მათ ყველაზე დაბალი სტატუსი აქვთ უფროსი თაობის ადამიანებში. ამის გამო ხანდაზმულები ბევრ სირთულეს და შეზღუდვებს ხვდებიან თავისი ცხოვრების ბოლო ეტაპზე და როგორც სოციალური მუშაობის ობიექტები საჭიროებენ არა მხოლოდ სოციალურ დაცვას, არამედ დახმარებას ფსიქოემოციური მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

თანამედროვე ეტაპზე ოჯახში ძალადობისა და კონფლიქტის ბუნების გაგება მოითხოვს თუნდაც ზოგადად იმ მოვლენების განხილვასა და შეფასებებს, რომლებიც წარმოაჩენს

სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში კონფლიქტების, ძალადობის, მ.შ. ოჯახში, წარმოშობის, ფაქტორების, სუბიექტების და შედეგების განხილვას. იმის ცოდნას რა გზა განვლო ოჯახმა ღრმა წარსულიდან დღემდე, როგორ ხდებოდა საოჯახო როლების, ღირებულებების ცვლა და რა განაპირობებს დღეს 21-ე საუკუნეში კვლავ ძალადობის პრობლემის არსებობას ცივილიზებულ სამყაროში, როდესაც ადამიანებს ისევ აწუხებთ ომები, ტერორიზმი, სახელმწიფოს მხრიდან ოჯახში უხეში ჩარევის მცდელობები და ა.შ., რომელიც ადამიანებს უყალიბებს ოჯახის და გარემოს მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებას, რაც შემდეგ ოჯახში ძალადობის ხასიათს იღებს.

თუ ოჯახს განვითარებას სამი პერიოდის – ინდუსტრიალამდე, ინდუსტრიულ და თანამედროვე ეტაპზე განვიხილავთ, შეგვიძლია ის ნიშნები ჩამოვაცალიბოთ, რომლებიც ისტორიის მსვლელობისას იყო დამახასიათებელი ოჯახისათვის და ამ ეტაპს ერთმანეთისგან განასხვავებდა.

ინდუსტრიალამდელი, ტრადიციული და პატრიარქალური ოჯახისთვის დამახასიათებელი ხუთი ფუნდამენტური ნიშანი – საოჯახო ეკონომიკა, ნათესაური კავშირის ძალაუფლება, მიწასთან განუყოფელი კავშირი, მრავალშვილიანობა და უფროს თაობათა პრიორიტეტი – განაპირობებდნენ ოჯახის სიმყარეს სხვა სოციალურ ინსტიტუტებს შორის. თანამედროვე ოჯახში ნათესაობა გამოეყოფა სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობას, ადგილს უთმობს რა ინდივიდთა ეკონომიკურ მიზნებს.

აგრარული საზოგადოება ეფუძნება საოჯახო შინამეურნეობას, სადაც, როგორც წესი, ოჯახის ყველა წევრია დაკავებული და მუშაობს ოჯახის კეთილდღეობისათვის. ოჯახის თანამედროვე მოდელი დაკავშირებულია სახლის და სამუშაოს გაყოფასთან. დაქირავებული შრომა საწარმოებში ინდივიდუალური ანაზღაურებით დამოკიდებული არ არის ადამიანის საოჯახო სტატუსთან, როლთან და საოჯახო-ნათესაურ კავშირებთან. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ საოჯახო წარმოება მთლიანად კი არ ქრება, არამედ აღარ არის წამყვანი, ეკონომიკის მთავარი ელემენტი. ამასთან ურბანიზაციულ რეგიონებში ვრცელდება ოჯახის მომხმარებლური ტიპი.

არსებული ფსიქოლოგიური განცალკევება საოჯახო შინამეურნეობასა და სოფლის თემს და სხვა სოციალურ ერთობლიობებს შორის კონტრასტულია „მოდერნიზაციის“ პირობებში სახლისა და სახლსმიღმა სამყაროს მკვეთრი გამიჯვნისაგან.

სოციალური და გეოგრაფიული მობილობა „ტრადიციონალიზმის“ დროს დაკავშირებულია ვაჭიშვილების მიერ მამის სოციალური სტატუსის და პროფესიული სოციალიზაციის მემკვიდრეობით მიღებასთან, რომელიც სრულად განსხვავდება შვილების არასაოჯახო მობილურობისგან თანამედროვე ეტაპზე.

ფამილიზმის ღირებულებათა სისტემა, რომლის იერარქიაში პირველ ადგილზე ისეთი სიკეთეებია, როგორცაა ვალდებულება, საოჯახო პასუხისმგებლობა, შვილების ღირებულება, როგორც ბედნიერი სიბერის გარანტი, მშობლების და ნათესავების ავტორიტეტის დომინირება, „მოდერნიზაციის“ კვალდაკვალ ნაკლებად მყარი და პრესტიჟული ხდება და ადგილს უთმობს ინდივიდუალიზმს, დამოუკიდებლობას, პირად მიღწევებს, ანუ „ოჯახცენტრიზმის“ სისტემა იცვლება „ეგოცენტრიზმის“ სისტემით. კონფლიქტები რომლებიც „ტრადიციონალიზმისთვის“ იყო დამახასიათებელი საზოგადოების დონეზე ვითარდებოდა ოჯახს, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რომლებიც ოჯახის უპირობო დაქვემდებარებას ემსახურებოდა. ასეთი ოჯახებისშიგნით ჰარმონიულ ურთიერთობებში კონფლიქტები ვითარდება მოგვიანებით, როდესაც ოჯახის ცალკეულ წევრს უჩნდება საკუთარი ავტონომიური ოჯახის შექმნის და მამა ლიდერისგან თავის დახსნის სურვილი.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ძლიერდება კონფლიქტი, სახელმწიფოს, კორპორაციულ გაერთიანებებს და ოჯახს შორის. ოჯახს შიგნით კი ქალთა მასობრივი ჩართვა წარმოებაში საფუძველს უყრის როლებრივ კონფლიქტს ცოლ-ქმარს, მშობლებსა და შვილებს შორის.

თანამედროვე კონიუგალური ოჯახი, რომლის ცენტრშია ცოლ-ქმრობის, საოჯახო ქცევის ერთობა, ხასიათდება შესუსტებული ნათესაობრივი კავშირებითა და მშობლების ავტორიტეტით. მისი ღირებულებით სისტემათა

ჩამოყალიბებულია ანტიტრადიციონალიზმის, დემოკრატიზაციის, ინდივიდუალიზმის, ლიბერალიზმის პრინციპებით და ამ გავლენით ოჯახი სტერეოტიპების დონეზე ახდენს პირადი სურვილით მეუღლის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას, ამყარებს ინდივიდუალობის ღირებულებებს საკუთრებასთან, ეთნიკურ მიკუთვნებულობასთან, სქესთან, ასაკთან, საოჯახო გვართან მიმართებაში. თითოეული აქ ჩამოთვლილმა არჩევანმა შესაძლებელია ოჯახის წევრებს შორის უთანხმოება და კონფლიქტი გამოიწვიოს.

არ არსებობს მეცნიერული მონაცემები, რომლებიც მოდერნიზაციის თეორიის დოგმას განამტკიცებდნენ, რომ საზოგადოების "პროგრესული განვითარება" ავტომატურად იწვევს "პიროვნების პროგრესს".²⁴

პიროვნების ემანსიპაცია, ოჯახთა ნუკლეარიზაცია, საოჯახო თაობათა განცალკევება და მათში გაჩენილი ხშირ შემთხვევაში კონფლიქტური დამოკიდებულება, ოჯახის წევრთა როლების ცვლა, საოჯახო ღირებულებების, განწყობების, მოთხოვნილებების ახალი სტერეოტიპები, სახელმწიფოს მიერ ოჯახის წევრთა სოციალიზაციის ფუნქციების დიდი ნაწილის თავის თავზე აღება, ოჯახს უკარგავს შთამომავლობის ისეთი სოციალიზაციის განხორციელების უნარს, რომლის შედეგადაც პიროვნება საზოგადოების ინტერესებს დააკმაყოფილებს.

მე-20 საუკუნეში სამრეწველო განვითარებულ ქვეყნებში ოჯახის შუამავლური როლის შესუსტების გამო დაწყებული დაპირისპირება პიროვნებასა და საზოგადოებას შორის 21-ე საუკუნის დასაწყისიდან კიდევ უფრო გამწვავდა.

ცალკეული ქვეყნისთვის განვითარების ამ საერთო პროცესს დაემატა ადგილობრივი, ლოკალური მნიშვნელობის ფაქტორები და ოჯახის ტრანსფორმაცია და მოდერნიზაცია ხშირ შემთხვევაში მეტად მძიმე პირობებში ვითარდება. ასე მოხდა საქართველოს რეალობაშიც.

მეოცე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული საქართველო, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობა, სოციალურ ინსტიტუტთა ტრანსფორმაციისა და

²⁴ А.И. Антонов, В.М. Медков. Социология семьи. М., 2010. с. 94.

მოდერნიზაციის, სოციალური დიფერენციაციის მოვლენათა პირისპირ აღმოჩნდა. დაიწყო საზოგადოებაში არსებული ტრადიციული მენტალობის შესამჩნევი რღვევა და ახლის დამკვიდრების ხშირ შემთხვევაში მტკივნეული პროცესი. თავი იჩინა "საბჭოთა ადამიანის" ღირებულებათა, მორალის და ეთიკის ნორმების გარდაქმნამ, რომელიც შეეხო საზოგადოების და პიროვნების მხრიდან სამყაროს აღქმის საფუძვლებს, როდესაც მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობითობის გადაცემა უფროსიდან უმცროს თაობაზე შესუსტდა და რიგ შემთხვევაში პრაქტიკულად გაქრა. ახალმა პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სირთულეებმა, იმის გაუცნობიერებლობამ, რომ „Homo soveticus“-ის „Homo economikus“-ად გარდაქმნა „Homo transformaticus“-ად გარადქმნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რეფორმები ჩიხში მოაქცია.

თუ სოციოლოგიური კუთხით განვიხილავთ ჩვენს საზოგადოებაში განვითარებულ სოციალური ფსიქოზის განვითარებას, სურათი შემდეგი სახით წარმოჩინდება.

მაკრო დონეზე ჩვენ ვიყავით „Homo soveticus“-ები და უზრუნველი ცხოვრება გვქონდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას საზოგადოება მოუმზადებელი შეხვდა, რასაც დაემატა სამოქალაქო ომი, ეკონომიკის დაცემა, ინფლაცია, უმუშევრობა, კორუფცია, შეიარაღებული კონფლიქტები (აფხაზეთისა და 2008 წლის აგვისტოს ომი) და საბოლოო ჯამში მივიღეთ დაბნეული საზოგადოება. როცა გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში "ავადმყოფი ერი გვიწოდეს", ამან საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. სამწუხაროდ დღეს გამოაშკარავდა, რომ ვართ დაავადებული ერი, რაც ბოლო პერიოდში თვალსაჩინო გახდა.

მიკრო დონეზე დაიწყო ოჯახური როლების, ხშირ შემთხვევაში დამახინჯებული სახით განვითარება, უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში ოჯახის უფროსში განვითარდა სტიგმატი. მამაკაცმა, რომელიც დარჩა უმუშევარი, დაკარგა ოჯახის მარჩენლის ფუნქცია. ამან განსაკუთრებით თავი იჩინა ე.წ. პრესტიჟული პროფესიების მქონე ადამიანებში. ეს ფუნქცია იტვირთა დედამ. ამ შემთხვევაში სწორედ როგორც

დედამ და არა ქალმა. ეს გრძელდება წლების განმავლობაში და ამას ხედავენ შვილები. მამა – ავტორიტეტ დაკარგულია, დედა ოჯახის მარჩენალია. მამის სიტყვა გაუფასურებულია. მამა რომელიც ამას გრძნობს, დაკარგული პოზიციის აღდგენას ძალით, ძალადობით ცდილობს.

მეზო დონეზე – დევნილთა და ლტოლვილთა უზარმაზარი არმია – მანამდე ჩვენთვის უცნობი ფენა, ჯერ მათში განვითარებული ფსიქოზი და შემდეგ – გარკვეული ფსიქოლოგიური დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობასა და დევნილებს შორის. ღარიბი ქვეყანა, სადაც პრობლემები ჯაჭვივითაა გადაბმული, ვერ მოერია დევნილობის პრობლემას. ამას ემატება უხეში შეცდომები (მეტი რომ არ ვთქვათ) სოციალურად დაუცველობის განსაზღვრისას და აშკარა ხდება ქვეყანაში სოციალური ფსიქოზის განვითარების საფუძვლები. საოცნებო თავისუფლება და დემოკრატია მძიმე ფასად დაუჯდა საქართველოს.

ეს ფსიქოზი შევიდა ოჯახში, დაიძაბა ურთიერთობა ოჯახში თაობათა შორის. საბედნიეროდ ამან საყოველთაო ხასიათი ვერ მიიღო, რასაც ხელი შეუწყო ტრადიციულმა თაობათაშორისი ურთიერთობების მდგრადობამ და გარკვეულწილადაც იმანაც, რომ ზოგიერთებმა ალლო აუღეს ველური კაპიტალიზმის პრინციპებს, მოერგნენ მათ. მართალია, სანაცვლოდ დათმეს საკუთარი უმაღლესი განათლება, პროფესია, მეცნიერებაც კი, სამაგიეროდ შემლეს შემოსავლის მიღება და ოჯახში შეტანა.

გაუნათლებლობა პრიორიტეტული გახდა. ახალგაზრდა "რეფორმატორებს" არ სჭირდებოდათ განათლებული საზოგადოება. "რეფორმების" სახელით დაიწყო დისკრიმინაციული მიდგომა საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობის დასაქმების მიმართ და ისეთი ტიპის ადამიანების აღზრდა, რომელთა მართვა ადვილი იქნებოდა.

ყოფილი ხელისუფლების გარდა, რომელსაც არც მეცნიერები და არც მათი საქმიანობა აინტერესებდა და აშკარად ანტიხალხურ პოზიციებზე იდგა, განსაკუთრებით ნეგატიური როლი ითამაშა ტელევიზიების უმრავლესობამ, რომლებიც თითქმის ყოველ დღე დილიდან გვიან ღამემდე,

რეკლამასავით აქცენტირებენ თავიანთ სიუჟეტებში ძალადობის, მკვლელობის ფაქტებს, დეტალურად, მაზოხისტური სიამოვნებით (რასაც შეიძლება უბედურებათა ქრონიკა ვუწოდოთ), ეს კი პრაქტიკულად ძალადობის პროპაგანდაა ხელოვნურად იმაზება სიტუაცია, იქმნება სტრესული ვითარება საზოგადოებასა და ოჯახში. რასაც გაუაზრებელი ძალადობისკენ მივყავართ. საზოგადოებაც და ოჯახიც აგრესიული ხდება, რომლისგან მოულოდნელი არ არის დევიანტური ქმედება, საზოგადოდ მიღებული ქცევის ნორმებიდან გადახრა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით დევიანტური ქცევის ბირთვია დამნაშავეობა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, თვითმკვლელობა. მათ შორის მოიხსენიებენ საოჯახო კონფლიქტებსაც, აგრესიულ, ანტისოციალურ ქცევასაც და ინტელექტის დაბალ დონეს, ანუ ყველაფერს, რაც დესტრუქციულ ქმედებაში იგულისხმება. მათ შორის არის კრიმინალი, რომელიც სისხლის სამართლებრივ დანაშაულში გამოიხატება და კანონით ისჯება.

ფსიქოზის განვითარებას ხელი შეუწყო საპენსიო ასაკის გაზრდამაც, რაც ყოვლად მიუღებელი იყო ღარიბ ქვეყანაში, სადაც მიზერული პენსია ხანდაზმულ ადამიანს წამლის საყიდლად ძლივს ყოფნის.

საქმე იქამდე მიდის, რომ ოჯახის ბუნებრივ მატებას (ზოგადად დემოგრაფიულ ზრდას) შვილიშვილებს უფროსი თაობა უყურებს, როგორც ზედმეტი მჭამელის მომატებას, არადა უწინ ახალ თაობას აღიქვამდნენ, როგორც მწარმოებლური ძალის მომატებას, რასაც უფროსები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს.

საქართველოს ოჯახები სამწუხაროდ ვერ გადაიქცნენ მწარმოებლურ ოჯახებად!

ოჯახში ძალადობის კიდევ ერთი ასპექტი. მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოჯახში ძალადობის საკითხების კვლევისას ძირითადი აქცენტი ქალების დაცვაზეა გადატანილი. ისმება კითხვა რა დააშავეს კაცებმა? მათი ინტერესების დაცვა ასევე აქტუალური და საშური საქმეა.

საქმე იმაშია, რომ საქართველოში მამკაცებისა და ქალების მოსალოდნელ სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის

სხვაობა ცხრა წელიწადია, რაც შეიძლება ითქვას უპრეცედენტოა მსოფლიოში. ოფიციალური მონაცემებით, 2013 წელს მამაკაცების მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 70.8 წელია, ქალებში 79.4.

2013 წლის შეფასებითი მაჩვენებლები უფრო დაბალია. მაგალითად, მამაკაცების მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 67,1 წელია, ქალის – 76,6 ანუ პენსიის ასაკის მიღწევის შემდეგ მამაკაცს ცხოვრების ორი წელიღა რჩება, მაშინ როცა პენსიაზე გასვლის შემდეგ ქალი კიდევ 16,5 წელი ცოცხლობს. უფრო უარესი იყო 2010 წელი როცა ამ შეფასების თანახმად მამაკაცის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა საპენსიო ასაკს მხოლოდ 7 თვით, ხოლო ქალების 15,2 წლით აღემატებოდა. დისპროპორცია თვალში საცემია.

ქალთა უფლებებს, რომ ვიცავთ, სწორია, მაგრამ მამაკაცები გარკვეული თვალსაზრისით უფრო დასაცავები არიან. მათ კი სახელმწიფო კანონების გამკაცრებით, ციხით ემუქრება. ამით ისინი უფრო აგრესიულები ხდებიან. ჩნდება მოწოდება – გაუფრთხილდეთ მამაკაცებს! აქაც ლოგიკურად ჩნდება კითხვა – როგორ?

ამერიკელი მეცნიერი ოჯახის სოციოლოგიის ცნობილი მკვლევარი ალან კარლსონი, რომელიც ოჯახის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტია, პირდაპირ წერს, რომ ევროპის ქვეყნების მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულმა საოჯახო პოლიტიკამ დაამახინჯა ოჯახები, რასაც მთლიანად საზოგადოებისათვის უარყოფითი შედეგები მოჰყვებაო.

მისი პროგნოზი გამართლდა ევროპულ ქვეყნებშიც და საქართველოშიც. ოჯახის უფროსობის განსაზღვრისას ავტორიტეტი, გამოცდილება და ტრადიციული ფენომენი უკანა პლანზე გადავიდა, გაჩნდა ბზარი და დაიწყო დაპირისპირება ოჯახის წევრებს შორის, ხშირ შემთხვევაში აგრესიული ქმედებების სახით.

მოკლედ საზოგადოება სულიერად გამოიფიტა. როგორც ავლნიშნეთ "Homo soveticus"-დან "Homo economicus"-ად ჩვენი ოჯახების განვითარება ინერციით, ყოველგვარი სახელმწიფო პროგრამების გარეშე, სტიქიურად მიმდინარეობს, სახელმწიფო ამ პროცესს ხელს არ უწყობს. ასეთმა ინერციამ შეიძლება "Homo

violant"-ების მოძალადე ადამიანების და "Homo degradicus"-მდე – დეგრადირებულ ოჯახამდე მიგვიყვანოს. ასევე პარადოქსულ დასკვნამდე: მოწოდებები "არა აგრესიას!" როგორც წესი, ქალთა უფლებების დაცვას გულისხმობენ, სუსტი სქესისას ძლიერი სქესის მიერ. მაგრამ თავისთავად პრობლემის ძირი, მიზეზები, არანორმალური ვითარების, თურმე უნდა ვეძებოთ მამაკაცის როლის დაცემაში, უწინარეს ყოვლისა მიკრო დონეზე, ოჯახში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ოჯახში ძალადობის პრობლემების კვლევა მეცნიერთა და არა არაპროფესიონალთა საქმეა. პრობლემა კი მასშტაბურია და საზოგადოებრივი მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მიერ კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

და კიდევ, იქნებ დადგა დრო, რომ მოძალადეებს შორისაც ჩატარდეს სოცილოგიური გამოკითხვა მათ მიერ განხორციელებულ ძალადობრივ ქცევებზე და მხოლოდ ამის შემდეგ გავამწესოთ სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლით ციხეებში.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ

1) საქართველოს რეალობაში ოჯახში ძალადობა არსებობს, მისი მასშტაბები მნიშვნელოვანია;

2) საკითხის შესწავლა მოითხოვს კომპლექსური კვლევის ჩატარებას და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგების მეცნიერთა – სოციოლოგების, დემოგრაფების, ფსიქოლოგების, ასევე ფსიქიატრების, ჩართვას;

ასეთი კვლევის მიზანი უნდა გახდეს ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის – ფიზიკურის, ეკონომიკურის, ფსიქოლოგიურის, სექსუალურის და სხვ. შესწავლა.

3) გამოკითხულ უნდა იქნან არა მარტო მსხვერპლნი, არამედ მოძალადენიც;

4) სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა გამოკითხვით უნდა გაირკვეს დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ. ასევე მათი ინფორმირებულობის დონე ოჯახში ძალადობის, მისი აღკვეთის საკანონმდებლო ბაზის ცოდნის შესახებ.

*Avtandil Sulaberidze
Tsitsino Gvritishvili
Nino Gomelauri*

Sociological Aspect of Domestic Violence

This paper will examine the problem of domestic violence. In the last period the frequency of domestic violence is increasing and for this issue it is important to analyze scientific point of view. In this paper we will study the social aspects of the domestic violence. The data source for this study is the official statistics provided by Ministry of Internal Affairs, some surveys related to these issues and analyze of existing literature.

In conclusion, In Georgia the domestic violence exists and its magnitude is important. For studying this issue it's necessary to conduct the complex survey. The aim of that study should be all forms of domestic violence and target group should be the both the sacrifices and violators. From that surveys, have to find out the attitude of persons from difference age groups to the family conflicts and domestic violence.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. წულაძე. სცენის მიღმა: თვისებრივი კვლევის შედეგები „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში“, თბ. 2010 წ.
2. გ. წულაძე. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები 2015-2300 წლებში, თბ. 2013.
3. გ. წულაძე. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2005 წ.
4. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. სულაბერიძე. დემოგრაფია, თბ., 2007 წ.
5. პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, თბ. 1973 წ.
6. С. Струмилин. Новый мир, М. 1960.
7. Е. П. Агапов, О.А. Нор-Аровян. Семейведение, М. 2010 г.
8. Э. Гиденс. Социология. М 1999.
9. А. И. Антонов, В. М. Медков. Социология семьи, М. 1996.

ოჯახში ძალადობის სახეები

ვიდრე ოჯახში ძალადობის სახეებს შევხებით გვსურს მოვიტანოთ ნაშრომში გამოყენებული რამდენიმე ტერმინის განმარტება:²⁵

1. ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;
2. ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;
3. იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;
4. სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ;
5. ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში

²⁵ საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხლი 4.

- არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;
6. უფლებებეყოფა – მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაზადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუ კი მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.
 7. მსხვერპლი – ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა);
 8. ოჯახის წევრი – ამ კანონის მიზნებისათვის, დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი(გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიმე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე;
 9. მოძალადე – ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

ძალადობა ოჯახში და მისი ძირითადი ფორმები – ესაა ფიზიკური, ფსიქოლოგიური (ან ფსიქოემოციური), სექსუალური და ეკონომიკური ძალადობა, რომელიც სხვადასხვა გამოვლინებით ხასიათდება. აგრეთვე თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა, როგორც ოჯახის წევრის მიერ საკუთარ თავზე განხორციელებული ძალადობა.

ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული და განგრძობითი ხასიათი. იგი ხშირ შემთხვევაში იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ფიზიკურ და ემოციურ აშლილობებს, რომელიც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.

ოჯახში ძალადობა ძირითადად ხორციელდება ეტაპობრივად, სტადიებით, რომლებიც ძალადობის ციკლს ქმნიან.

პირველი სტადია – ოჯახის მოძალადე წევრი ხდება სულ უფრო მეტად დამაბული და გაღიზიანებული.

მეორე სტადია – სისასტიკის გამოვლენის ფაზაა, როდესაც სახეზეა მოძალადის მხრიდან ოჯახის რომელიმე წევრის მიმართ რისხვის გამოხატვა ან ფიზიკური ძალადობა (ცემა), რასაც დამაბულობის განელება მოსდევს.

მესამე სტადია – მოძალადე ინანიებს ჩადენილ საქციელს და ითხოვს პატიებას. ოჯახი ცდილობს მომხდარის შერბილებას და სამწუხაროდ იმედოვნებს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება.

ხერხებს, რომლითაც მოძალადე ოჯახის სხვა წევრებზე უფლებების მოპოვებას ცდილობს წარმოადგინოს დამცირება, შეურაცხყოფა (გინება, წყევლა), მუქარა, შანტაჟი, შეშინება, სხვადასხვა სახის მანიპულაციები მ.შ. მიზანდასახული სუიციდური აქტივობა, რომელიც სიკვდილით არ მთავრდება,²⁶ ფიზიკური ზემოქმედების მუქარა და ფიზიკური ზემოქმედება (ხელის კვრა, ცემა, სილის გაწვნა და ა.შ.), გადაადგილების შეზღუდვა, ნებელობის აღკვეთა, იძულება არასასურველი ქმედების ჩადენისა, სექსუალური ზეწოლა, მატერიალური, ფინანსური საშუალებების შეზღუდვა და სხვა.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ძალადობა ოჯახში არ წარმოადგენს საოჯახო კონფლიქტს.

ზოგადად კონფლიქტი (ლათ. conflictus) – მოპირდაპირე ძალთა, საწინააღმდეგო ინტერესთა, შეხედულებათა შეხლა-შემოხლა, სერიოზული უთანხმოება, განხეთქილებაა.²⁷

თანამედროვე საზოგადოებაში მაკრო დონეზე კონფლიქტი ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს: სამყაროს აღქმის და სამყაროზე შეხედულებათა სხვადასხვა კონცეფციების დაპირისპირებით,

²⁶ გ. ნანეიშვილი. ფსიქიატრიის მოკლე კურსი. თბ., 2001, გვ. 33.

²⁷ უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ., 1964, გვ. 215.

რომლებიც ერთობ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მიკრო (ოჯახის) დონეზე კი ამ პროცესის თავისებურებას წარმოადგენს ახალგაზრდა და უფროსი თაობის წარმომადგენლების დაპირისპირება, რამდენადაც მოდერნიზირებადი საზოგადოება საფუძველს აცლის ასაკის ავტორიტეტს, ცვალებად სოციალურ პირობებში უფროსი თაობის გამოცდილება მიუღებელია, გამოუსადეგარია და არ წარმოადგენს სასურველი სოციალური წარმატების მიღწევის საშუალებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაკროსოციალურ დონეზე კონფლიქტები განაპირობებენ სოციალური სისტემის უცვლელობის თავიდან აცილებას, გზას უხსნიან ინოვაციებს და წარმოადგენენ სოციალური პროგრესის მამოძრავებელ ძალას. ხოლო მიკრო (ოჯახის) დონეზე კონფლიქტით მიღწეული კომპრომისები ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მხრიდან ერთმანეთის უფლებათა აღიარებას და ოჯახში დემოკრატიული ურთიერთობების განვითარების წინაპირობებს ქმნიან.

ოჯახში კონფლიქტსა და ძალადობის შემთხვევებს შორის არსებობს განსხვავებები, კერძოდ:

- კონფლიქტს აქვს ლოკალური, იზოლირებული ხასიათი, ხოლო ძალადობას სისტემური ხასიათი და შედგება ერთმანეთს მიყოლებული ინციდენტებისაგან.
- კონფლიქტი ჩვეულებრივად ეფუძნება რაიმე კონკრეტულ პრობლემას, რომელიც შეიძლება კომპრომისის გზით გადაიჭრას, ძალადობა ოჯახში კი ხდება მსხვერპლზე (დაზარალებულზე) სრული გავლენის და კონტროლოს მოპოვების მიზნით, რომლის შედეგად ძალადობის მსხვერპლმა შეიძლება მიიღოს ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური ან ფიზიკური ზიანი ან ტრავმა, ამის გამო ძალადობრივი დანაშაულებები მ.შ. ოჯახური, განისაზღვრება როგორც საზოგადოებრივად საშიში და სისხლისსამართლებრივი-კანონსაწინააღმდეგო ქმედებები და კანონმდებლობით დასჯადია.

როგორც წესი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ყველაზე ხშირად გვევლინებიან ქალები, ბავშვები, ხანდაზმული ადამიანები. თუმცა მათზე ძალადობის ფორმების და შედეგების საერთო ნიშნებისა და შედეგებისა, არსებობს განსხვავებებიც, რის

გამოც საკითხს განვიხილავთ ძალადობის მსხვერპლთა სამივე კატეგორიის მიმართ.

ძალადობა ოჯახში ქალთა მიმართ

თანამედროვე მსოფლიო 21-ე საუკუნეშიც კი ვერ აცდა ისეთ სოციალურ მანკს, როგორცაა ძალადობა ოჯახში ქალთა მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ დემოკრატიულ წყობაზე პრეტენზიის მქონე ქვეყნებში ქალები უკეთ არიან დაცული სამართლებრივი თვალსაზრისით, მათ მიმართ სასტიკი მოპყრობა მაინც ფართოდ არის გავრცელებული. მაგ., გამოკვლევების მიხედვით რუსი ქალების მაჩვენებელი მოკლულნი ქმრების ან პარტნიორების მიერ 2,5-ჯერ მეტია ამერიკელი ქალების და 5-ჯერ მეტია დასავლეთ ევროპის ქვეყნების ქალთა მაჩვენებელზე.²⁸ საგანგაშო მდგომარეობაა საქართველოშიც (ამის თაობაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ შესავალ ნაწილში).

ქალების მიმართ ოჯახში ფიზიკური ძალადობის შედეგები არის ტრავმები, მუდმივი თავის ტკივილები და რაც ყველაზე მძიმეა – ე.წ. „ნაცემი ქალის სინდრომის“ ჩამოყალიბება. ასეთ შემთხვევაში ქალი თავს სუსტ, დაუცველ, კონტროლირებად არსებად მიიჩნევს, მას არ შეუძლია პასუხისმგებლობის აღება საკუთარ სიცოცხლეზე. ხშირ შემთხვევაში ქალი თავს დამნაშავედ თვლის მასზე განხორციელებული ძალადობის გამო, ან უბრალოდ უარყოფს ასეთი ფაქტის არსებობას, რადგანაც მიაჩნია, რომ მსგავსი რამ სხვა ოჯახებშიც ხდება. ამასთანავე თავს იჩენს ქალი-მსხვერპლის პიროვნული და ემოციური სფეროს ცვლილებები. იკეტება რა თავის თავში, მას უყალიბდება შფოთვის მაღალი დონე, რასაც ხშირად ახლავს ძილის დარღვევა, დეპრესიულობა. შესაძლებელია განვითარდეს კლასიკური დეპრესია²⁹, რომლისთვისაც დამახასიათებელია გუნება-განწყობის დაქვეითება, ასოციაციათა შენელება და მოტორული შეკავება. ღრმა დეპრესიის დროს მოტორული შეკავება სრულ უმოძრაობას აღწევს... ჩნდება სულიერი უგრძნობლობის, განცდათა გაქრობის, სიცარიელის მტანჯველი გრძნობა – „Anesthesia psychica dolorosa“.

²⁸ Е. П. Агапов, О. А. Нор-Аревян. Семейведение. М. 2010, с. 188.

²⁹ გ. ნანერიშვილი. ფსიქიატრიის მოკლე კურსი, თბილისი, 2001. გვ. 32.

კლასიკურ დეპრესია თან ახლავს დეპრესიული შინაარსის ბოღვითი იდეები: თვითბრალდების, თვითდამცირების, ცოდვიანობის ავადმყოფური აზრები. ქალი მუდმივად განიცდის შიშის მტანჯველ გრძნობას, როდესაც გვერდით იმყოფება ან მოსალოდნელია მოძალადე სუბიექტის გამოჩენა და ა.შ.

ფიზიკურ ძალადობას რა თქმა უნდა თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს, კერძოდ ეს არის:

1. მიზეზები, გამოწვეული მამაკაცის პიროვნების თავისებურებებითა და მისი ცხოვრებისეული გამოცდილებით, როდესაც ის ბავშვობაში თვითონ იყო ოჯახური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლი; მისი ტრადიციული შეხედულებები ოჯახში მამაკაცის და ქალის სტატუსსა და როლებზე, ეჭვი, რომ დაკარგული აქვს დომინირებული მდგომარეობა, ალკოჰოლიზმი და ნარკომანობა, საკუთარი ქცევის უუნარობა, ფსიქოპათოლოგია.
2. მიზეზები, გამოწვეული ქალის ცხოვრების ისტორიით და მისი პიროვნული თავისებურებებით. თუ ქალი ბავშვობაში ყოფილა დედაზე მამის მხრიდან ძალადობის მოწმე, აკეთებს რა გაუცნობიერებლად ორიენტაციას მამაზე, ძალადობის სიტუაციას მის მიმართ აფასებს როგორც მისაღებ ფაქტს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალის ქცევის და პიროვნულმა თავისებურებებმა შეიძლება მოახდინოს მასზე ძალადობის პროვოცირება ან უარეს შემთხვევაში იგი თვითონ გახდეს ქმარზე ფიზიკური ძალადობის სუბიექტი.

ფიზიკური ძალადობა ხშირად დაკავშირებულია სექსუალურ ძალადობასთან, რომელიც გულისხმობს ქალის სურვილის წინააღმდეგ სექსუალურ ქმედებათა, სექსუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ქალისათვის მიუღებელი ფორმებისა და ხერხების გამოყენებას.

ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით ქორწინებაში სექსუალური ძალადობა განიხილება როგორც დანაშაული და კვალიფიცირდება გაუპატიურებად.

სექსუალურ ძალადობას თავის მხრივ მოჰყვება უმძიმესი შედეგები, როგორც სამედიცინო ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით: გინეკოლოგიური გადახრები, შიდასასქესო

სისტემის ინფექციური დაავადებები, მილის რეჟიმის დარღვევა, საკუთარი თავის მიმართ ზიზღის გრძნობის გაჩენა და სხვა.

სექსუალური ძალადობის შემთხვევების, ისევე როგორც ფიზიკურის, განმაპირობებელი შეიძლება იყოს როგორც მამაკაცის, ასევე ქალების პიროვნული თვისებები. დაბალი სექსუალური აქტიურობის გამო ქალი შეიძლება პროვოკატორის როლში აღმოჩნდეს. მამაკაცის შემთხვევაში სავარაუდოა, რომ იგი იზრდებოდა მკაცრი, მამასთან ემოციური სიახლოვის არმქონე დედის მიერ, რომელიც ცდილობდა ოჯახის წევრებზე დომინირებას და ამით არღვევდა შვილების სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას. მამაკაცი ასევე შეიძლება იყოს დედაზე მამის მხრიდან სექსუალური ძალადობის მოწმე ან დარღვეული მამაკაცური იდენტობის გამო განიცდიდეს შიშს ქალების წინაშე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მამაკაცის კრიმინალური მიდრეკილებები ან ფსიქოპათოლოგიური გადახრები.

ქალებზე ოჯახში ძალადობის კიდევ ერთი სახეა ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც გამოვლინდება ქალის სურვილების უგულვებელყოფაში, ქალის მიმართ თბილი, ყურადღებიანი ურთიერთობების არარსებობაში; ქალებს უხდებათ მუდმივი დაცინვის, გინების, ცინიკური შენიშვნების ატანა. ისინი ხშირად ხდებიან მოძალადის მხრიდან ბავშვებზე და ხანდაზმულ ადამიანებზე ძალადობის მოწმეები. ფსიქოლოგიური ძალადობის დროს მოძალადე პარტნიორზე კონტროლოს დამყარების მიზნით ხშირად მიმართავს საოჯახო ნივთების მტვრევას, ახორციელებს თვალთვალს მსხვერპლზე, მის გარემოცვაზე, ასევე ახდენს კონტროლს ქალის მიერ სხვადასხვა რესურსის ხელმისაწვდომობაზე, მაგ. სოციალური და სამედიცინო დახმარების სახეებზე, ქალს უკრძალავს განათლების მიღებას და მუშაობას, ანუ აიძულებს მსხვერპლს განახორციელოს მისთვის დამამცირებელი ქმედებები. შედეგად ხდება ქალის პიროვნების გაუფასურება. განსაკუთრებით მძიმდება ოჯახში ქალის მდგომარეობა, როდესაც მოძალადეს მხარს უჭერენ ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენლები და ამ ერთობლივი, კოალიციური ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად ხდება ქალის გარიყვა, მისი როლის და მნიშვნელობის სრული იგნორირება.

ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაშიც მიზეზები ცოლ-ქმრის პიროვნებების თავისებურებებშია მოსაძებნი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მშობლების ოჯახში საკუთარი თავის მსხვერპლად აღქმის გამოცდილება, დაბალი თვითშეფასება, ფიზიკური ნაკლი, ქრონიკული დაავადებები, ალკოჰოლზე ან ნარკოტიკებზე დამოკიდებულება და ა.შ.

ქალზე განხორციელებული მუდმივი ფსიქოლოგიური ძალადობა იწვევს ქალის პიროვნების რღვევას, მარტოსულობას, სუიციდურ მცდელობებს, ბავშვებზე და ხანდაზმულებზე ძალადობას და სხვა არაკეთილსასურველ შედეგებს.

ოჯახში ძალადობის კიდევ ერთი სახეა მოძალადის მიერ ქალზე განხორციელებული ეკონომიკური ძალადობა. მამაკაცის მხრიდან ბავშვების შენახვაზე უარის თქმა, შემოსავლების დამალვა, ოჯახის ფულის თვითნებური ხარჯვა, უმრავლესი ფინანსური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, ქალის კუთვნილი ფინანსების გამოძალვა ხშირად ფიზიკური ძალის გამოყენებით და ა.შ.

ძალადობა ოჯახში არც შემთხვევითი და არც უეცრად აღმოცენებული მოვლენაა. ამერიკელმა მკვლევარმა და ოჯახური ძალადობის საკითხებზე დიდმა სპეციალისტმა ლენორ უოკერმა თავის ნაშრომში „ნაცემი ქალი“, რომელიც დაზარალებულებთან მუშაობის შედეგად შეიქმნა, გამოავლინა ძალადობის ინციდენტთა ციკლორობა. ლ. უოკერი ძალადობას ოჯახში განიხილავს როგორც სისტემას, რომელიც სამ ფაზად ხორციელდება და ციკლის პრინციპით ფუნქციონირებს.³⁰

პირველი ფაზა – „დაძაბულობა“ – ხასიათდება ცალკეული შეურაცხყოფებით (ვერბალურით ან ემოციურით), რომლებზეც ქალები ცდილობენ მშვიდი რეაგირების მოხდენას, ცდილობენ სიტუაციის განმუხტვას ან საკუთარი მდგომარეობის დაცვას საპასუხო რეაქციით. ამ ეტაპზე როგორც ქალები, ასევე მამაკაცები ცდილობენ გამოჩენილი ძალადობა გაამართლონ უმუშევრობით,

³⁰ Пока не поздно ... Модельная программа ранней профилактики насилия в отношении женщин для подростков и молодежи, Под ред. А.С. Синельникова, М., 2006 г. с. 51-53.

ან მძიმე სამუშაო პირობებით, ასევე ფულადი შემოსავლების არქონით ან სიმცირით. ამ ფაზის დროს ქალები ცდილობენ რა მოიპოვონ მხარდაჭერა და დახმარება ახლობელი ადამიანების ან სხვათა მხრიდან, ხელს უწყობენ დამაბულობის ზრდის ფაზის გახანგრძლივებას, (რაც შემდგომ მათვე უბრუნდებათ ძალადობის უფრო უხეში ხერხების გამოყენებით).

მეორე ფაზა – საკუთრივ „ძალადობის ინციდენტი“ – ხასიათდება დამაბულობის ფაზის ინტენსიური განმუხტვით, რასაც თან სდევს ემოციური აფეთქებები და ფიზიკური ქმედებები ყველაზე მძიმე ფორმებით. ეს ყველაზე მოკლე ფაზაა, რომელიც 2-დან 24 საათამდე შეიძლება გაგრძელდეს.

ამას მოჰყვება მესამე – მოძალადის გამოფხიზლების ფაზა, როდესაც იგი ცდილობს უარყოს ან მოახდინოს ჩადენილი ქმედების მნიშვნელობის მინიმიზაცია: ეს ასე ვთქვათ „თაფლობის თვის“ ფაზაა, როცა მამაკაცი ფორმალურად გარდაიქმნება, ცდილობს თავის მოჩვენებას კეთილ, ყურადღებიან, მოსიყვარულე, მომნაწიებელ ადამიანად, ყოველ ჯერზე დებს პირობას, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება, თუმცა იმავდროულად პასუხისმგებლობას აკისრებს ქალს, ადანაშაულებს მას ძალადობის პროვოცირებაში. ქალის იმედი, რომ ძალადობა აღარ განმეორდება დროთა განმავლობაში ქრება და ერთხელ ჩადენილი ძალადობა კიდევ ხორციელდება უფრო მეტი სისასტიკით.

ოჯახში ძალადობის ტიპური პორტრეტის შესაქმნელად შეიძლება ძალადობის მსხვერპლ ქალთა საერთო მახასიათებლების ჩამოთვლა: ქალების მხრიდან დაბალი თვითშეფასება, საკუთარი თავის, როგორც პიროვნების ძალების შეუფასებლობა; ტრადიციული წარმოდგენები ოჯახზე, ქალის როლზე ოჯახსა და საზოგადოებაში, „ქალის დანიშნულებისა“ და ძალადობრივ ურთიერთობათა მითის აღიარება; მოძალადის საქციელზე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და ტანჯვა დანაშაულის გრძნობისგან; სჯერათ, რომ სექსუალური ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუძლიათ სხვა ურთიერთობების სრულად სტაბილიზაცია; დარწმუნებული არიან, მათ ვერავინ დაეხმარება ოჯახში ძალადობის აღმოფხვრაში. არსებობს რამდენიმე ტიპური ნიშანი, როდესაც ქალებს სურთ შეცვალონ ცხოვრებისეული სიტუაციები, სურვილი აქვთ დაშორდნენ ქმარს, მაგრამ აქვთ შიში,

რომ ასეთ შემთხვევაში შეიძლება შურისძიების მსხვერპლად იქცენ. ასევე, საკუთარი საცხოვრებლის არ ქონა, მოძალადისათვის ბინის გაყოფის შეუძლებლობა; ეკონომიკური პრობლემები; საკუთარი თავისთვის და ბავშვებისათვის აუცილებელი ცხოვრების მატერიალური დონის შექმნის შეუძლებლობა, აბსოლუტური ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე, სამუშაოს არქონა; ოჯახისა და ქორწინების მიმართ არასწორი სოციალური განწყობები: განქორწინება - ქალის დამარცხების ნიშანია, ძალადობას ყველა ოჯახში აქვს ადგილი, მაგრამ მას ფარავენ; ოჯახი – ეს ქალის დანიშნულებაა და მხოლოდ ქალს აკისრია პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ოჯახში ხდება; დახმარებისთვის ვინმესთვის მიმართვა უსარგებლოა, მარტოდ დარჩენის და ქმრის მიერ შვილების წართმევის შიში და ა.შ.

სინამდვილეში ყველა ამ მიზეზის საფუძველი არის საკუთარი კანონიერი უფლებების და კანონიერი ინტერესების დამცავი მექანიზმების უცოდინარობა. ამიტომ სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ ძალადობის შემთხვევებზე ოჯახში, მზად უნდა იყვნენ მსხვერპლს აღმოუჩინონ არა მხოლოდ სოციალურ-ფსიქოლოგიური, არამედ სამართლებრივი დახმარებაც.

ოჯახში ძალადობის საკითხის გარკვევისას ლოგიკურად ჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა ძალადობის ციკლი თავისთავად შეჩერდეს, გარედან ჩარევის გარეშე? ამერიკელმა მკვლევარებმა ჯ. გოტმანმა და ჰ. იაკობსონმა საკითხის რვაწლიანი კვლევის შემდეგ ამ კითხვას უარყოფითად უპასუხეს. ცოლ-ქმრულ ურთიერთობათა დინამიკაზე დაკვირვებით მათ დაადგინეს ძალადობის ციკლის არსებობა: ოჯახური ძალადობის აქტების ინტენსიობა შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ძალადობა თავისთავად არასოდეს მთავრდება.³¹

ძალადობა ოჯახში ბავშვების მიმართ

ოჯახში ძალადობის კიდევ ერთ სასტიკ ფორმას წარმოადგენს ბავშვებზე ძალადობა ოჯახში. უფროსი თაობის ძალადობას ბავშვებზე ადგილი აქვს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად. ხშირ შემთხვევაში მშობლები

³¹ E. П. Агапов, О. А. Нор-Аревян. Семейведение. М., 2010, с. 197.

კარგავენ შვილებზე უფლებებს, ბავშვები ხვდებიან თავშესაფრებში, უარეს შემთხვევებში კი ქუჩაში. მაგრამ სტატისტიკური აღრიცხვის მიღმა კიდევ ბევრი ბავშვია, რომლებიც საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის შიშით საკუთარი მშობლების დადანაშაულების გამო, ითმენენ მშობლების მხრიდან თავდასხებს და მძიმე ხვედრის მატარებლებად იქცევიან. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვები იზრდებიან დამახინჯებული, ტრამვირებული ფსიქიკით, რომლებიც ნაკლებ სავარაუდოა მომავალში საზოგადოების ნორმალურ წევრებად ჩამოყალიბდნენ. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ოჯახის ინსტიტუტის ფარგლებში იცვლებოდა მშობლების დამოკიდებულება შვილების გაზრდისა და აღზრდის მიმართ. ლოიდ დემოზმა, სწავლობდა რა მშობლების და შვილების ურთიერთობებისა და შვილების აღზრდის თავისებურებებს ისტორიულ ჭრილში, გამოყო ბავშვებისადმი დამოკიდებულების ექვსი სტილი.³²

1. ინფანტიციდური სტილი (ბავშვთა მოკვდინების დაშვება) – უძველესი ხანიდან ჩვ. წ. აღრიცხვის IV საუკუნემდე. ეს სტილი ხასიათდებოდა მასობრივი ბავშვთამოკვდინებით, მათზე ძალადობით. ბავშვების კერპებისათვის მსხვერპლშეწირვა, მათი შეჭმაც კი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აღზრდის მთავარი მეთოდი სისასტიკე იყო. ბავშვთამოკვდინების, როგორც კრიმინალის (მკვლელობის) განხილვა მხოლოდ ჩვ. წ. 374 წლიდან დაიწყო.
2. მიტოვების სტილი – IV-XIII სს. ბავშვი რჩება ოჯახური აგრესიის ობიექტად, ამავდროულად მას ხშირად აბარებენ აღსაზრდელად მონასტერში, გასაზრდელად გზავნიან სხვა ოჯახში, ხშირად ძიძის ოჯახში.
3. ამბივალენტური სტილი – XIV-XVII სს. ბავშვი ჯერ კიდევ არ არის მიჩნეული სულიერი თვისებების მატარებლად და ოჯახის სრულფასოვან წევრად. მას უარს ეუბნებიან იყოს დამოუკიდებელი, გამოავლინოს ინდივიდუალური მისწრაფებები. აღზრდაში მთავარია ხასიათის „ძერწვა“. მშობლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ბავშვის ცემით

³² E. П. Агапов, О. А. Нор-Аревян. Семейведение. М., 2010. с. 199.

და გაროზგვით მთავრდება. XVI საუკუნეში კიდევ შემორჩენილია ბავშვებით ვაჭრობა, მათი გირაოს სახით გამოყენება.

4. აკვიატებული სტილი – XVIII საუკუნეში მართალია ბავშვი უფრო უახლოვდება მშობლებს, მაგრამ მისი ქცევა, შინაგანი სამყარო კონტროლდება, ძირითადად დაშინების გზით, დემონებისა და ქაჯების გამოსახულებებით, რომლებიც მზად იყვნენ ურჩი ბავშვების მოსაპარად და შესაჭმელადაც კი.
5. სოციალიზირებადი სტილი – XIX საუკუნის პირველი ნახევარი. ბავშვი აღზრდის და სწავლების ობიექტია, მშობლების ძალისხმევა მიმართულია ბავშვის ნების წვრთნასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში, თუმცა მთლიანად საზოგადოების დამოკიდებულება ბავშვების მიმართ ერთმნიშვნელოვანი არ არის. ინდუსტრიულმა განვითარებამ განაპირობა ბავშვებზე ეკონომიკური ძალადობის ფორმების განვითარება. უფროსების მსგავსად ბავშვები მუშაობენ საწარმოებში, ხშირ შემთხვევაში 14-16 საათს დღე-ღამეში.
6. დახმარების სტილი – XX საუკუნის შუა ხანებიდან დღემდე. მშობლები ისწრაფვიან ბავშვის ინდივიდუალური განვითარებისათვის, ურთიერთობებში უპირატესია ემოციური კონტექსტები და თანაგრძნობა.

თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელია ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობა. ეს სისასტიკე შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით – ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობის სახით.

ბავშვებზე ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების უგულველყოფა, კერძოდ საკვებზე, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე, სიყვარულსა და აღიარებაზე ბავშვების მოთხოვნილებების არასაკმარისი დაკმაყოფილება; ბავშვისთვის ზიანის განზრახ მიყენება; ემოციურად ტრავმირებადი ფაქტორების ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებულია კონფლიქტებთან საოჯახში (მაგ. ბავშვი დედის მიმართ ოჯახური

ძალადობის, ალკოჰოლიზმის მოწმეა), ბავშვის ექსპლუატაცია, მისთვის მეტად ძნელი სამუშაოს შესრულების იძულება.

ბავშვებზე ოჯახში ძალადობის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით დისციპლინარული წესით ბავშვის დასჯის საკითხს. მიუხედავად განსხვავებისა ფიზიკურ ძალადობასა და დისციპლინარული წესით ბავშვის ფიზიკურ დასჯას შორის, ისინი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ბავშვის დისციპლინარული წესით დასჯა ბავშვის ცემით მთავრდება.

ბავშვებზე ფიზიკური ძალადობა შეიძლება განპირობებული იყოს: მშობლების პიროვნული თავისებურებებით; მათი რწმენით ბავშვის ფიზიკური დასჯის აუცილებლობით და სარგებლობით; აღმზრდელობითი და პედაგოგიური ცოდნის, საკუთარი საქციელის და ქმედებების კონტროლის დაბალი დონეებით; პიროვნული სადომაზოხისტური მიდრეკილებებით, აგრესიული რეაქციებით, ბავშობაში გადატანილი ტრავმატული გამოცდილებით მშობლების მიერ მათზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შედეგად.

ბავშვებზე ოჯახში ძალადობის შემადგენელი ნაწილია ფსიქოლოგიური (ემოციური) ძალადობა - ერთჯერადი ან ქრონიკული ფსიქოლოგიური ზემოქმედება ბავშვზე მშობლების ან ოჯახის სხვა უფროსი წევრების მხრიდან, რაც იწვევს ბავშვის ემოციური განვითარების, ქცევის და სოციალიზაციის უნარის რღვევას. ბავშვის არასასურველ ფსიქოლოგიურ გარემოში გაზრდა იწვევს მის ჩამორჩენას თანატოლებთან და ფსიქიკურად შენელებულ განვითარებას, მას უჩნდება განმარტოების, საკუთარ თავში ჩაკეტვის სურვილი, ხდება აგრესიული და ხასიათდება ანტისოციალური ქცევით. ამასთან აგრესია შეიძლება მიმართული იყოს როგორც სხვებისკენ, ასევე საკუთარი თავის მიმართ.

ბავშვებზე ოჯახში ძალადობის კიდევ ერთი საშიში და ვიტყოდი ამაზრზენი ფორმაა მათზე სექსუალური ძალადობა ან გარყვნა, ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია, მისი ჩართვა პროსტიტუციაში, შიგაოჯახური სექსუალური ძალადობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ხშირად ბავშვს ითრევენ სექსუალურ ქმედებებში ისე, რომ მათ ამაზე წარმოდგენაც კი არა აქვთ. ასეთ შემთხვევებში არა აქვს მნიშვნელობა ბავშვის

თანხმობასაც კი, რადგან ეს არ არის საფუძველი იმისათვის, რომ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლად არ ჩაითვალოს.

სისასტიკის გამოვლენები ბავშვის ცხოვრებაში იწვევენ იმას, რომ ოჯახის შექმნის დროს თვითონ ხდებიან მოძალადეები უკვე საკუთარი შვილების მიმართ. შემჩნეულია, რომ ოჯახური ძალადობის ბევრი მსხვერპლი ხშირად აგრესიულია სხვა ადამიანებთან მიმართებაში. ასევე იკვეთება ტენდენცია ძალადობის გამოვლენისა უკვე ასაკში შესული საკუთარი მშობლების მიმართ. მოძალადე ოჯახებიდან ბავშვები ხშირად გარბიან ქუჩაში, სადაც ისევ ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან (და არც თუ იშვიათად ტრეფიკინგისაც) და კიდევ უფრო აგრესიული და კრიმინალური ქმედებებით გამოირჩევიან.

ძალადობა ოჯახში ხანდაზმულების მიმართ (გერონტოლოგიური ძალადობა)

ოჯახში ძალადობის კიდევ ერთი სახეა - სასტიკი მოპყრობა ოჯახის ხანდაზმულ წევრებზე, რომელიც ერთ-ერთი სერიოზული და სამწუხაროდ ნაკლებად შესწავლილი პრობლემაა, არა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები დემოგრაფიული თვალსაზრისით დაბერებული მოსახლეობის კატეგორიას განეკუთვნებიან, ხოლო განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ტემპები იზრდება. გაეროს დემოგრაფიული ბიუროს შეფასებით 60 წლისა და უფროსი ადამიანების წილი მოსახლეობაში 2010-2050 წწ. 11%-დან 22%-მდე გაიზრდება. ამასთან, თუ 2009 წელს 60 წლისა და უფროსი ასაკის პირთა რიცხვი 700 მლნ. იყო, 2050 წლისათვის იგი შეიძლება 2 მილიარდი გახდეს.³³ ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ერთნაირად აღელვებს როგორც განვითარებულ ასევე განვითარებადი ქვეყნების ხელისუფალთ. რადგან მოსახლეობის დაბერებას თან სდევს რიგი სოციალური პრობლემებისა, რომელთა შორისაა თაობათა შორის ურთიერთობის ცვლილება როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში.

როგორც სოციოლოგები აღიარებენ თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კულტურა ახალგაზრდობაზე

³³ მ.შელია. ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში, თბ., 2013. გვ. 30.

მიმართული კულტურაა, რომელშიც ფიზიკური სილამაზის და ახალგაზრდული ძალის პროპაგანდა გაძლიერებულად ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, ხანდაზმულები კი ყურადღების მიღმა რჩებიან.³⁴

თუ ტრადიციულ საზოგადოებაში ხანდაზმულები, როგორც წესი პატივისცემით სარგებლობდნენ და ადამიანის ავტორიტეტი ასაკის მატებასთან ერთად იზრდებოდა, ინდუსტრიულ საზოგადოებაში უფროსი ასაკის ადამიანებს ერყევათ ავტორიტეტი როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში, რასაც ზოგ შემთხვევაში ხელს უწყობს ხელისუფლებაც. შრომისუნარიანი ასაკიდან გასვლა ხანდაზმულთა მიმე ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ შედეგებს, ხოლო მარტო ცხოვრების შემთხვევაში გალატაკებასაც კი იწვევს.

ხანდაზმულების მიმართ სასტიკი მოპყრობის სოციალურ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ „ასაკობრივი დისკრიმინაცია“ ანუ „ეიჯიზმი“, რომელზეც შესავალ ნაწილში უკვე ვისაუბრეთ.

ტერმინის ავტორის რობერტ ბატლერის აზრით „... დისკრიმინაცია ყველაზე ხშირად მქვადენდება ხანდაზმულების მიმართ, რომელთაც საზოგადოებაში დაბალი სტატუსი აქვთ. მოწიფულ და საშუალო ასაკის მოსახლეობაში, ეიჯიზმი ასახავს ახალგაზრდებსა და საშუალო ასაკის ადამიანებს შორის ღრმად ფესვგადგმულ სიბერის მიუღებლობას – ისინი პიროვნულ ზიზღს ამჟღავნებენ სიბერის, ავადმყოფობის, შრომიუნარობის მიმართ და განიცდიან უმწეობის, უსარგებლობის და სიკვდილის შიშს“.³⁵ ასეთმა განცდებმა და დამოკიდებულებებმა უკეთეს შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ზურგის შექცევა ხანდაზმულებისათვის, უარეს შემთხვევაში კი მათზე ძალადობა.

ზოგი ადამიანის სისასტიკეს და მანკიერ თვისებებს საზღვარი არ გააჩნია. ფულის დაგროვების, გამოძალვის ან სხვა მიზეზების გამო (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, აზარტული თამაშები და ა.შ.) ზრდასრული შვილები ან ოჯახის სხვა წევრები მოტყუებით ან შანტაჟით ყიდიან ხანდაზმულთა (დედ-მამის, ბებია-ბაბუების, ნათესავების) საცხოვრებელს და მოხუცებს ქუჩაში ბედის ანაბარად ტოვებენ, ან ცდილობენ მათ მოთავსებას მოხუცთა

³⁴ Э. Гиденс. Социология. М. 1999. с. 90-91.

³⁵ Butler R. N. Age-ism: Another form of bigotry, 1969 pp. 243, 244, 246.

სახლებში და ამით სახელმწიფოს აკისრებენ ზრუნვას საკუთარ მშობლებზე.

ძალადობა ხანდაზმულ ადამიანებზე - ოჯახის წევრების, ნათესავების, მეურვეების, მომვლელების აქტიური ქმედებებია, რომელიც ხანდაზმულ ადამიანებს ფიზიკურ, ფსიქიკურ ტრავმებს აყენებს ან ეკონომიკური დანაკარგების გამო სრულად ანადგურებს მორალურად. ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლინებას შეიძლება მივაკუთვნოთ შვილების მხრიდან უყურადღებო დამოკიდებულება მშობლების მიმართ, იმ შემთხვევაშიც კი როცა მათ ამის სახსრები გააჩნიათ.

ხანდაზმული ადამიანების მიმართ გამოყოფენ ოჯახში ძალადობის შემდეგ სახეებს: ფიზიკური ძალადობა – ფიზიკური ტკივილის მიყენება, დასახიჩრება (ან მოკვდინება); ფსიქოლოგიური (ემოციური) ძალადობა – ასაკში მყოფი ადამიანებისთვის სულიერი ტრავმების მიყენება, გინება და სხვა სახის ვერბალური შეურაცხყოფის მიყენება მათთვის, მუქარა თავშესაფარში განწესების გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, ასევე ხანდაზმულებისათვის შიშის გრძნობის ჩანერგვა; ეკონომიკური ძალადობა – ხანდაზმულების ფულადი თუ სხვა საკუთრების ან დანაზოგების მითვისება – გამოძალვა და ა.შ.

გერენტოლოგიური ძალადობის ობიექტებს წარმოადგენენ ხანდაზმული ადამიანები, ამასთან ძალადობა უფრო ხშირად ხორციელდება ხანდაზმული ქალების მიმართ. მოძალადეები არიან როგორც შვილები, შვილიშვილები, ასევე ქმრები, ნათესავები და ა.შ.

გერენტოლოგიური ძალადობის, როგორც თანამედროვეობის სოციალური მოვლენის შესწავლის აუცილებლობა გარკვეულ სირთულეებს აწყდება, რასაც განაპირობებს ხანდაზმულების სირცხვილის გრძნობა გაამჟღავნონ მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები ოჯახის წევრების მხრიდან, ასევე ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვის არარსებობა ან სიმწირე. ამის გამო დასკვნების საფუძველს ძირითადად სისხლის სამართლის საქმეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და არასაკმარისად რეპრეზენტატიული სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგები ქმნიან.

Tsitsino Gvritishvili
Nino Gomelauri
Mariam Sulaberidze

Types of domestic violence

Abstract

This paper will discuss the main forms of domestic violence - physical, psychological, sexual and economic violence, which are characterized by different stages of the various manifestations. The domestic violence is mainly realized in stages which makes the cycle of violence. Usually, the victims of domestic violence become women, children and elderly and the signs and results of domestic violence for them is the same but we find out the differences as well. All of the above mentioned, the article is examine these issues for all categories of victim.

გამოყენებული ლიტერატურა:

10. ლ. წულაძე. სცენის მიღმა: თვისებრივი კვლევის შედეგები „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში“, თბ. 2010 წ.
11. 1993 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „დეკლარაცია ქალთა ძალადობის წინააღმდეგ“ (DEVAW)
12. ა. სულაბერიძე. ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე, თბ. 2007 წ.
13. ნ. ჯავახიშვილი. ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელება „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში“, თბ. 2010 წ.
14. მ. შელია. ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში, თბ. 2013 წ.
15. გ. კალჭუნი, დ. ლაითი, ს. კელერი. სოციოლოგია. თბ., 2007 წ. გვ. 5-13
16. გ. ნანეიშვილი. ფსიქიატრიის მოკლე კურსი, თბ. 2001 წ.
17. პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, თბ. 1973 წ.

18. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1964 წ.
19. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხლი 4.
20. Butler R.N. Age-ism: Another form of bigotry, 1969.
21. Э. Гиденс. Социология. М. 1999.
22. А. И. Антонов, В. М. Медков. Социология семьи, М. 1996.
23. Е. П. Агапов, О.А. Нор-Аревян. Семейведение, М. 2010 г.
24. Пока не поздно ...: Модельная программа ранней профилактики насилия в отношении женщин для подростков и молодежи. Под ред. А.С. Синельникова, М. 2006 г.
25. <http://www.Ksgm.gov.tr/> tdvaw/ doc. Main-report.pdf (pp.19)

სტუდენტთა დამოკიდებულება კონფლიქტზე ოჯახში

ოჯახი სოციალური ინსტიტუტია, სადაც პიროვნების ფორმირება, განვითარება და ცვალებად გარემოსთან ადაპტაცია ხდება. ოჯახური გარემო კი მუდმივად ცვალებადია, რადგან განსხვავებულია პიროვნებათაშორის, თაობათაშორის ურთიერთობებში დადებითი და უარყოფითი ტენდენციების ინტენსივობა და დინამიკა. ოჯახი სხვადასხვა პიროვნული თვისებების, ჩვევების, ინტერესებისა და მსოფლმხედველობის მქონე ადამიანებს აერთიანებს. ეს კი ხშირად ოჯახური უთანხმოების, კამათის, ზოგჯერ კონფლიქტის მიზეზიც ხდება.

2013 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული კვლევა, რომელიც ოჯახურ ურთიერთობებს ეხებოდა, მოიცავს ოჯახში თაობათაშორის ურთიერთობათა კვლევასაც (1212 რესპონდენტი). რესპონდენტთა 48,7% ოჯახში გამწვავებული ურთიერთობების არსებობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მათგან უმრავლესობა ქალები და შუა ასაკის ადამიანები არიან³⁶. ამან ჩვენს წინაშე მრავალი კონკრეტული ამოცანა დასვა.

საზოგადოდ, ცნობილია რომ გამწვავებული ურთიერთობები ოჯახური კონფლიქტის მიზეზი ხდება, ხოლო გადაუწყვეტელი კონფლიქტებს ოჯახური ძალადობაც მოსდევს, რაც უარყოფითად აისახება საზოგადოების განვითარებაზე. კერძოდ, ცნობილია, რომ ოჯახის წევრთან კონფლიქტი უფრო მეტად ზრდის გულის დაავადებების წარმოქმნის რისკს, ვიდრე ჭარბი წონა ან თამბაქოს მოხმარება.³⁷ ეს ბუნებრივია ამცირებს მოსახლეობის შრომით პოტენციალს და ზემოქმედებს საზოგადოების შრომის მწარმოებლურობაზე. მსოფლიო ბანკის

³⁶ მ. შელია. უფროსი თაობისადმი დამოკიდებულება ოჯახში. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები (შრომების კრებული). თბილისი. 2014. გვ. 48.

³⁷ ოჯახური კონფლიქტი ჯანმრთელობის თამბაქოს მოხმარებაზე მავნეა. http://4lady.ge/health_list/856-ojaxuri_konpliqt_i_janmrtelobistvis_tambaqos_moxmarebaze_mavnea

კვლევით, ოჯახური ძალადობის ნიადაგზე სამუშაო დღეთა გაცდენებით მიღებულმა ზარალმა უგანდასა და ბანგლადეშში ერთობლივი შიგა პროდუქტის 1,3% შეადგინა. მკვლევართა შეფასებით, ეს თანხები ბანგლადეშში განათლებაზე გაწეული ხარჯების 60 %-ისა და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების 40 %-ის ეკვივალენტია³⁸. 2008 წელს ავსტრალიაში უსახლკარობის ძირითადი მიზეზი ოჯახური ძალადობა იყო.³⁹ ამასთან, ხშირი კონფლიქტების ნიადაგზე საქორწინო წყვილის განქორწინების ალბათობა იზრდება, რაც უარყოფითად აისახება წყვილის დემოგრაფიულ ქცევაზე და, საბოლოოდ, ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიულ განვითარებაზე.

კონფლიქტი და ძალადობა ოჯახში მეტნაკლებად ყველა ქვეყნის პრობლემაა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით მთელი სიცოცხლის მანძილზე ქალთა 1/3 განიცდის ძალადობას⁴⁰. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. შსს საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით 2007-2014 წლების (იანვარი-ივნისი) სულ დაფიქსირდა 4935 ოჯახური კონფლიქტი და ამ კონფლიქტებში მონაწილე 10188 პირი. ოჯახურ კონფლიქტებში მონაწილე მამაკაცების, ისევე როგორც ქალების უმეტესობა 25-44 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელია.⁴¹

2010-2011 წწ. აღრიცხული ოჯახური კონფლიქტის ფაქტების მიხედვით ყველაზე ხშირად კონფლიქტის მხარეები არიან: ცოლ-ქმარი, მშობელი და შვილი და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, ხოლო მიზეზებს შორის ჭარბობს ალკოჰოლური

³⁸Domestic violence results in huge costs for economy. 24 Nov 2013. <http://www.cnbc.com/id/101224173>

³⁹ The link between domestic violence, poverty and social exclusion. <https://womensrefuge.org.nz/WR/Domestic-violence/Economic-cost-of-domestic-violence.htm>

⁴⁰ Domestic violence results in huge costs for economy. 24 Nov. 2013. <http://www.cnbc.com/id/101224173>

⁴¹ ოჯახური ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები. http://police.ge/files/pdf/9%20ოჯახური%20ძალადობა%202007-2014--6%20თვე_.pdf

თრობა, ქონებრივი დავა და ეჭვიანობა⁴².

არსებული სტატისტიკური მონაცემები არამარტო ოჯახური კონფლიქტების, არამედ ძალადობის ზრდის ტენდენციაზეც მიუთითებს, რამაც ქართველი საზოგადოების სამართლიანი შემფოთებაც გამოიწვია. ამიტომაც 2014 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ ოჯახური კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ ჩატარებული კვლევის მიზნად ამ პრობლემისადმი სტუდენტთა აზრის შესწავლა დაისახა (602 რესპონდენტი, მათ შორის 279 ვაჟი, 323 ქალი). კონკრეტულად, კი **ჩვენი კვლევის მიზანი** სტუდენტთა თვალთ დანახული ოჯახური კონფლიქტის მიზეზებისა და მისი მართვის შესაძლებლობის განსაზღვრა იყო.

ზოგადად, ოჯახის მიერ სოციალური თუ დემოკონომიკური ფუნქციის შესრულების საკითხი დემოგრაფების, სოციოლოგების, ფსიქოლოგებისა და ეკონომისტების კომპლექსური კვლევის საგანია. საგულიხმოა, რომ ბოლო 100 წლის მანძილზე ქართულ აკადემიურ ლიტერატურაში აქტიური განსჯის საგანი იყო ოჯახში ბავშვთა შრომითი, კულტურული და მორალური აღზრდის, ბედნიერი ქორწინების, განქორწინების, და, ზოგადად, ოჯახის სიმტკიცის პრობლემები. განიხილებოდა, აგრეთვე, ოჯახში ბავშვთა დაგვემვისა და დემოგრაფიული ქცევის, ოჯახის, როგორც ფასეულობის საკითხი, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოჯახური კონფლიქტებისა და ძალადობი თემა აქტიური კვლევის საგანი არ ყოფილა.

ბოლო ხანს, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით დაიწყო ოჯახური ურთიერთობების, ოჯახში გენდერული თანასწორობის⁴³, აგრეთვე, ოჯახური ძალადობის საკითხის


⁴² ოჯახური ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები, არასრულწლოვნები.
http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlvebi/geo/sxvadasvxa%20statistik a/ojaxuri_dzaladoba-sabolo0%281%29.pdf

⁴³ ოჯახური კონფლიქტის გენდერული ასპექტები.
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0-0-0--Oprompt-10--4---4---0-0l-11-ru-00---10-help-50-00-3-1-00-0-00-11-1-OutfZz-8-10-0-11-1-OutfZz-8-00&cl=CL1.7&d=HASH8768ed234362d81f17f74e.1&x=1> ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში. UNFPA. თბილისი, 2010.

კვლევა⁴⁴. ნათლად გამოიკვეთა, რომ არსებობს მწვავე პრობლემა და საჭიროა ამ მიმართულებით კვლევების გაღრმავება, კონფლიქტისა და ძალადობის მსხვერპლთა მუდმივი მონიტორინგი და სამართლებრივი დაცვა. ეს ნაშრომიც ამ კვლევების შემავსებლად უნდა ჩაითვალოს. თუმცა მათგან განსხვავებით, კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩა სტუდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი, რომლის შეხედულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებისთვის, ოჯახური კონფლიქტების მართვის მექანიზმების შემუშავებისა და ოჯახური ძალადობის სიხშირის შემცირებისთვის.

სტუდენტთა აზრით, ყველაზე კონფლიქტური წყვილი ოჯახში არის ცოლ-ქმარი, შემდგომ ზრდასრული შვილები და მშობლები და ბოლოს, რძალ-დედამთილია. ეს უკანასკნელი გოგონათა შორის უფრო მეტადაა შენიშნული.


დიაგრამა 1. რესპონდენტთა განაწილება კითხვაზე: „ყველაზე უფრო ხშირად, ოჯახის რომელ წევრებს შორის ხდება კონფლიქტი?“ პასუხების მიხედვით



⁴⁴ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, თბილისი, UNFPA, 2010; ოჯახური ძალადობა ქალზე – მრავალკომპონენტური კვლევა. თბილისი, 2006

სტუდენტები კონფლიქტის ინიციატორად, ძირითადად, ცოლ-ქმარსა და დედამთლს მიიჩნევენ. თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ვაჟების აზრით კონფლიქტის წამომწყები, უმთავრესად, ცოლი (35,8%), ქმარი (19%) და სიდედრია (14,4%), გოგონებისთვის – ქმარი (37,9%), დედამთლი (19,6%) და ცოლია (14,8%).

დიაგრამა 2. რესპონდენტთა განაწილება კითხვაზე: „ყველაზე ხშირად ვინ არის კონფლიქტის ინიციატორი ოჯახში?“ პასუხების მიხედვით (%)




ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით, რესპონდენტების მესამედი მიუთითებს, რომ ისინი უშუალოდ არ შესწრებიან ოჯახში კონფლიქტის გამოვლენის პროცესს, ხოლო მათი ნახევარი აღნიშნავს, რომ იშვიათად შესწრებიან, ყოველი მეხუთე – ხშირი მოწმე ყოფილა კონფლიქტისა ოჯახში.

კონფლიქტის მიზეზი ოჯახში მრავალგვარია. ის შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც წევრთა შორის პიროვნულ ინტერესთა განსხვავებით, ისე რთული სოციალურ – ეკონომიკური პრობლემებით, რაც მუდმივად ცვალებად გარემოში მყოფ

ადამიანთა სულიერ ან ფინანსურ კრიზისს, ფასეულობათა გადახედვას ედება საფუძვლად. ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი შეიძლება გამოწვეული იყოს დადებითი ემოციების ნაკლებობითაც (ზრუნვა, ურთიერთგაგება, ყურადღება და ა. შ), აგრეთვე, სქესობრივი შეუთავსებლობით, განსხვავებული შეხედულებებით საოჯახო მეურნეობის გაძღოლისა და ბავშვის აღზრდის საკითხებზე, დასვენებასა და გართობაზე, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ნარკოტიკების ან ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარების გამო და ა. შ.⁴⁵

დიაგრამა 3. რესპონდენტთა განაწილება კითხვაზე: „ყველაზე ხშირად რა იყო კონფლიქტის მიზეზი ოჯახში?“ პასუხების მიხედვით




კვლევამ გამოავლინა, რომ ყველაზე ხშირად კონფლიქტი ალკოჰოლის გადაჭარბებულ მოხმარებას, აგრეთვე, ნარკოტიკების გამოყენებას მოსდევს (21%). ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი პრობლემაა ტყუილი და უპატივცემულო დამოკიდებულება

⁴⁵ Н. К. Агишева. Внутри личностный и межличностный конфликт в семье.

ოჯახის წევრთა შორის (19,4%). ყოველი მეექვსე რესპონდენტი კი მიუთითებს, რომ კონფლიქტი ოჯახში მატერიალური გაჭირვებით, უმუშევრობითაა განპირობებული (დიაგრამა 3).

შესწავლილ კონტინგენტში რესპონდენტთა მხოლოდ 55%-მა სცადა კონფლიქტური მხარეების მორიგება. მათ შორის, 45,5%-ი თავად შეეცადა ამას, 8,4 %-მა კი დასახმარებლად იმ ადამიანებს მიმართა, ვისაც, მათი აზრით, კონფლიქტის განმუხტვა ყველაზე მეტად შეეძლო. საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა 45% -მა პასიური როლი აირჩია. მათგან, ყოველმა მეექვსემ ჩათვალა, რომ ჩარევა მისი საქმე არ იყო, დანარჩენმა ნაწილმა კი აღიარა რომ მიიღო მძიმე ემოციური სტრესი (ვიტირე, განვიცადე (9,2%), გავხდი უმართავი (4,7%), ჩავიკეტე ჩემთვის (1,5%),) და პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად შეეცადა მასზე თვალი აერიდებინა (გავედი სახლიდან – 12,9%).

დიაგრამა 4. რესპონდენტთა განაწილება კითხვაზე: „როგორი იყო თქვენი რეაქცია ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტზე?“ პასუხების მიხედვით (%)




აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, ისიც, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს კონფლიქტის აღსაკვეთად

არც არავისთვის მიუმართავს (44%).

მან კი ვინც დახმარებისთვის სხვას მიმართა, გადაწყვიტა, უმთავრესად, მშობლებისა (27,7%) და მეგობრებისთვის (9,3%) მიემართა. შესაბამისად, დახმარებაც მათგან იქნა მიღებული.

დიაგრამა 5. რესპონდენტთა განაწილება კითხვაზე: "ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტის აღმოსაფხვრელად ვისთვის მიგიმართავთ?" პასუხების მიხედვით (%)



ამრიგად, კვლევით დადასტურდა, რომ ოჯახური კონფლიქტი ოჯახური ცხოვრების თანამდევი პროცესია და რესპონდენტთა 70% მომსწრეა ამ სიტუაციისა. ოჯახური კონფლიქტის ძირითადი მიზეზი, ალკოჰოლის გადაჭარბებული გამოყენება და ნარკოტიკების მოხმარება, იმ სტრესული მდგომარეობის გამოვლინებაა, რასაც ქვეყანის არამდგრადი განვითარება იწვევს. შემდგომი მიზეზია უმუშევრობა და მატერიალური გაჭირვება.

კვლევით დადგინდა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ცდილობს კონფლიქტების დარეგულირებას, მაგრამ არც თუ მცირე ნაწილი გაურბის პრობლემას. საგულისხმო ფაქტია, რომ ყოველი მეხუთე ოჯახში მიმდინარე კონფლიქტს მის საქმედ არ მიიჩნევს.

გადაუჭრელი კონფლიქტები ოჯახური ძალადობის საფუძველი ხდება. ეს საზოგადოებისთვის მორალურთან ერთად ეკონომიკური ზარალის მომტანია. იგი ფასდება ისეთი კომპონენტებით, როგორცაა იურდიულ და პოლიციურ მომსახურებაზე, ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, გაცდენილი სამუშაო დღეებით მიყენებული ზარალი, ბავშვებისა თუ ახალგაზრდების მიერ სწავლის პროცესისგან მოწყვეტით მიღებული ზარალი⁴⁶. ამის რაოდენობრივი გაანგარიშება ძნელია ნაკლები ინფორმაციულობის გამო, მაგრამ ოჯახური კონფლიქტებისა და ძალადობის მზარდი ტენდენცია, ბუნებრივია, ამით მიყენებული ეკონომიკური ზარალისა და სტრესული ფონის ზრდის მაჩვენებელიცაა.

ოჯახური კონფლიქტების პრევენცია, უპირატესად, იმ მიზეზების აღმოფხვრისკენ უნდა იყოს მიმართული, რაც მას იწვევს. ამ მხრივ კი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, შეამცირებს მატერიალურ გაჭირვებასა და, უმუშევრობას, რაც ხშირად ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარების მიზეზიცაა. ამის პარალელურად უკომპრომისო ბრძოლა უნდა გაჩაღდეს ნარკომანიასთან.

კვლევით დადგინდა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა არ იცნობს საქართველოს კანონს "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ". ოჯახური კონფლიქტებისა და ძალადობის პრევენციის

⁴⁶Lorraine Greaves, Olena Hankivsky, Joann Kingston-Riechers.(1995). Selected Estimares of the Cost of Violence Against Women. http://ywcacanada.ca/data/research_docs/00000025.pdf

მიზნით აუცილებელია გაძლიერდეს ამ მიმართულებით ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდა.

ოჯახური კონფლიქტი ცუდი მასწავლებელია ახალგაზრდობისათვის. იგი ძირს უთხრის მათ თვალში ოჯახს, როგორც უმთავრეს ფასეულობას. იწვევს უარყოფითი ემოციების დაგროვებასა და ოჯახური ცხოვრების წესისადმი ნეგატიური განწყობის ჩამოყალიბებას. ამიტომაც ოჯახური ურთიერთობის კულტურის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეტი პოზიტიური ინფორმაცია მიეწოდოს ახალგაზრდობას ოჯახური ურთიერთობების შესახებ. ამაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მედია საშუალებებმაც სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის, კინოპროდუქციისა და სატელევიზიო გადაცემების სახით, მითუმეტეს, რომ სტუდენტთა მხრივ ამაზე დიდი მოთხოვნაცაა. კვლევის თანახმად, ყოველი მესამე სტუდენტი ოჯახში ძალადობის პრევენციის უპირატეს გზად ოჯახური ცხოვრების წესსა და ოჯახურ ურთიერთობებზე ახალგაზრდობის მეტ ინფორმირებულობას მიიჩნევს. გარდა ამისა, გოგონებში გამოიკვეთა გენდერული თანასწორობის მიმართულებით ახალგაზრდობის აღზრდის აუცილებლობაც, რაც გასათვალისწინებელია ქვეყნის სოციალურ-კულტურული განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას.

-კვლევით აღმოჩნდა, რომ ოჯახური კონფლიქტების მოგვარებისას უგულვებელყოფილია სოციალური სამხურების როლი. ეს მათდამი უნდობლობის გამოვლენაა და, შესაბამისად, მათ არაეფექტიანი ფუნქციონირების მაჩვენებელიც. მათი გააქტიურების ღონისძიებათა გატარება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

Students' attitude towards the conflict in the family

Abstract

Studies have confirmed that conflict in the family has been an accompanying feature of the domestic life and that 70% of students have personally witnessed such situation. Excessive use of alcohol and drugs as the main reason for the conflict in the family are the manifestation of the stress situation caused by the unstable development of the country followed by unemployment and poverty.

More than half of the respondents make efforts to regulate conflicts; however, quite a large portion of them avoid the problem. It is noteworthy that one fifth of the respondents believe that domestic violence is not his/her business.

The economic damage resulted from the conflicts in the families is difficult to estimate due to the lack of relevant information. Nevertheless, a growing tendency of the conflicts in the families and violence in the country, naturally, is the indicator of the resulting economic damage and overall stress situation as well which get worsened with the time.

Prevention of the conflict in the family should primarily be directed at the eradication of the causes that lead to such situation. In this regard, it is essential to create the environment for the country's sustainable economic development that is conducive to the improvement of the social standing of the population and reduction of general material hardship and unemployment rate which often serve too as the reason for excessive consumption of alcoholic beverages. At the same time, an uncompromising combat shall be initiated against the drug addiction.

Studies have found that the majority of students are not familiar with the Law of Georgia on the Elimination of Domestic Violence and on the Protection of and Support to the Victims of Domestic Violence. In order to prevent conflicts and violence in the family, it is necessary to improve legal awareness of the youth in this respect. In addition, with a view of cultivating family relations, we consider it appropriate to provide more positive information on the relationships within the family to the younger generation. To these ends, the media shall take an active part in this process by producing popular scientific literature, films and TV programs, especially, in the light of great demand for these activities among students. According to the studies, every third student considers increased awareness of the youth of the harmonious family life style and family relations as the

privileged means for the prevention of domestic violence. Furthermore, young women have also stressed the need to raise the awareness of the youth in the issues of gender equality that should be taken into consideration when planning activities for the country's social and cultural development.

The studies have also demonstrated that the role of organizations providing social services in resolving domestic conflicts have been neglected which illustrates distrust of these organizations and respectively, an indicator for their inefficiency. Carrying out measures for their more active involvement is an urgent task

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში (2013). გაეროს ბავშვთა ფონდი.
2. ოჯახური კონფლიქტის გენდერული ასპექტები.
3. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.-4---4---0-01--11-ru-00---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.7&d=HASH8768ed234362d81f17f74e.1&x=1>
4. ოჯახური ძალადობა ქალზე-მრავალკომპონენტური კვლევა. თბ., 2006
5. ოჯახური ძალადობის სამედიცინო ასპექტები /ია ვერულაშვილი, მაია მყავია; [თარგმნა ეკა ვერულაშვილმა]. - თბილისი, 2005.
6. ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საზოგადოებრივი თანამშრომლობის პროგრამა: პროგრამის სასწავლო მასალები რუსეთი-უკრაინა-საქართველო / პროექტი ჰარმონია. (2008). თბილისი.
7. სამხარაძე ნონა. (2010). მესამე პირის ფაქტორი ოჯახში ძალადობის დროს, თბილისი, www.ucss.ge/nona%20samxaraZe.%20kvle.
8. საბედაშვილი თ. (2006). ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
9. საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში. კვლევის ანგარიში. UNDP, თბილისი, 2013. http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf

10. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, თბილისი, UNFPA ,2010.
11. შელია მ. უფროსი თაობისადმი დამოკიდებულება ოჯახში. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები(შრომების კრებული).თბილისი, 2014, გვ. 38-54
12. ცოდნით ვძლიოთ ოჯახურ ძალადობას. (2010). კულტ. - ჰუმანიტ. ფონდი "სოხუმი"; [შემდგ.: ჟანა ჭაბუკიანი [და სხვ.]; რედ. ემა კამკია]. – ქუთაისი http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf
13. Anna Blideman. NURSING STUDENTS' ATTITUDES TOWARDS DOMESTIC VIOLENCE; Tanzania. 2010 <http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:413249/FULLTEXT01.pdf>
14. Anila Kamal, Irshad Ali Shaikh*, Masood Ali Shaikh.(2010). COMPARATIVE ANALYSIS OF ATTITUDES AND PERCEPTIONS ABOUT RAPE AMONG MALE AND FEMALE UNIVERSITY STUDENTS.<http://www.ayubmed.edu.pk/JAMC/PAST/22-2/Anila.pdf>
15. Attitudes Toward Domestic Violence Among Romanian and U.S. University Students. http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1300/J014v21n03_02#.VKfIIWPGun0
16. Gender-based analysis of legislation and judicial practice in domestic violence sphere, 1912 / [transl. Eka Gabelia]. - [Tbilisi]: Women's information center, 2012.
17. Domestic violence results in huge costs for economy. 24 Nov 2013. <http://www.cnb.com/id/101224173>
18. Dytisha Monicke Davis. Rehabilitation Counseling Master's Students: Beliefs and Attitudes About Domestic Violence Toward Women. 2013 <http://ir.uiowa.edu/cgi/viewcontent.cgi?article=4835&context=etd>
19. Ivan Y. Sun, Yuning Wu, Deeanna Button , Jessica C.M. Li , Mingyue Su. (2011) Appropriate police response to domestic violence: Comparing perceptions of Chinese and American college students. *International Journal of Law, Crime and Justice*,xx. 1-19
20. Kellianne K. Doan .Demographic Effects on Attitudes toward Dating Violence among College Students and the Need for Legal Protection.

<http://digital.library.louisville.edu/utills/getfile/collection/honors/id/14/filename/15.pdf>

21. Katherine Vink. (2014), Reporting Child Exposure to Domestic Violence: Pre-Service Teachers' Attitudes and Behaviours. <http://ir.lib.uwo.ca/cgi/viewcontent.cgi?article=3385&context=etd>
22. Lorraine Greaves, Olena Hankivsky, Joann Kingston-Riechers.(1995). Selected Estimares of the Cost of Violence Against Women. http://ywcacanada.ca/data/research_docs/00000025.pdf
23. M. Nizam Khan. (2013). Attitudes of Qatari Men and Women towards Violence against Wife: An Analysis of Survey Data. file:///C:/Documents%20and%20Settings/User/My%20Documents/Mohammad_Khan.pdf
24. Nisha Giridhar.(2012). The Global Spread of Domestic Violence Legislation: Causes and Effects. http://politics.as.nyu.edu/docs/IO/4600/Giridhar_Nisha.pdf
25. Sharon Aneta Bryant, Gale A. Spencer. (2003). University Students' Attitudes About Attributing Blame in Domestic Violence. *Journal of Family Violence*, Vol. 18, No. 6, December. p. 369-376.
26. Susan J. Plumridge, William J. Fielding. (2009). Domestic Violence in the Homes of College Students, New Providence, The Bahamas. *The College of The Bahamas Research Journal*, [http://file:///C:/Documents%20and%20Settings/User/My%20Documents/116-353-1-PB%20\(1\).pdf](http://file:///C:/Documents%20and%20Settings/User/My%20Documents/116-353-1-PB%20(1).pdf)
27. Syed Imran Haider, Nasim Khan Mahsud. (2014). Knowledge, Attitude, and Practices of Violence (A Study of University Students in Pakistan). *Journal of Sociology and Social Work, March, Vol. 2, No. 1, pp. 123-145*
28. Sources and Outcomes of Family Conflict. (2012). http://wgfa.wharton.upenn.edu/documents/WGFA_2012_Family_Governance_Report_July_12_2012.pdf
29. The link between domestic violence, poverty and social exclusion. <https://womensrefuge.org.nz/WR/Domestic-violence/Economic-cost-of-domestic-violence.htm>
30. Young people's attitude to domestic violence. http://www.oneinthree.com.au/storage/pdfs/young_people_and_domestic_violence_-_full_report.pdf

31. Агишева Н. К. (2007). Внутриличностный и межличностный конфликт в семье. ж. Психология. март. с. 22-29.
32. Зыбарева Ю. А. Белолипецкая С. Ю. Особенности возникновения и развития конфликтов на первых этапах создания семьи. <http://sibac.info/index.php/2009-07-01-10-21-16/4016-2012-10-05-13-31-29>.
33. Иванова В.С. Социально-психологическая готовность и отношение к семейной жизни студенческой молодежи (на примере Северо-Кавказского региона). <http://sibac.info/13669>
34. Паргачева В.А., Молокова О.А. Исследование представлений о семье и семейных конфликтах у студентов младших курсов ФГБОУ ВПО «ИГЛУ». <http://www.rae.ru/forum2012/pdf/3252.pdf>

სტუდენტი ახალგაზრდების მოსაზრება მეულღეთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ

საზოგადოებაში ოჯახი ასრულებს რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას. ოჯახის შემსწავლელი სხვადასხვა თეორიები, განიხილავენ რა ოჯახს, როგორც სოციალურ ინსტიტუტს, ყურადღებას ამახვილებენ მის მნიშვნელოვან და უცვლელ ფუნქციებზე საზოგადოების სოციალური სტაბილობის შენარჩუნებისათვის. ფუნქციონალიზმი ყურადღებას ამახვილებს ბავშვების სოციალიზაციაზე, ოჯახის წევრებს შორის ემოციურ და პრაქტიკულ დახმარებაზე, სექსუალური ურთიერთობების რეგულირებასა და ოჯახის წევრების სოციალურ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე.

კონფლიქტური თეორიის მიხედვით ოჯახი წარმოქმნის სოციალურ უთანასწორობას, რომელიც ეკონომიკური უთანასწორობით და პატრიარქალიზმით არის გამოწვეული. შესაძლებელია ოჯახი იქცეს საკუთარ წევრებს შორის კონფლიქტის წყაროდ, ფიზიკური ძალადობის და ემოციური სისასტიკის ჩართვით.

სიმბოლური ინტერაქციონიზმის თვალსაზრისით, ოჯახის წევრების ურთიერთქმედება და წყვილების სიახლოვე დაფუძნებულია სიტუაციის ერთნაირად გაგებაზე, კონკრეტული საკითხების მიმართ ერთნაირ ხედვაზე. ცოლქმარს შორის კომუნიკაციის განსხვავებულ სტილზე.⁴⁷

ოჯახის ფუნქციებზე ყურადღების გამახვილება განპირობებულია იმით, რომ ოჯახის ფუნქციონალური პერსპექტივები მოიცავს უეცარ ან შორსმიმავალ ცვლილებებს ოჯახის სტრუქტურაში, რომელიც ანვითარებს ან საფრთხეს უქმნის ოჯახის სტაბილურობას. არც თუ შორეულ წარსულში მამაკაცი ოჯახის მარჩენლად, ხოლო ქალი დიასახლისად და ბავშვების აღმზრდელად მოიაზრებოდა. ამგვარი მოწყობის შეცვლა კი საფრთხის შემცველად ბავშვებისა და ოჯახის შესაძლო

⁴⁷ Sociology: Understanding and Changing the Social World, Brief Edition, V. 1. 0. Steven E. Barkan, Sociological Perspectives on the Family.

გაფართოებისათვის, ახალა უკვე წინ წამოიწია გენდერული თანასწორობის საკითხმა. ცოლქმარს შორის საოჯახო საქმეების თანასწორმა განაწილებამ. ქალი მხოლოდ საოჯახო საქმეებით აღარ არის დაკავებული, ის აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. ოჯახმა განიცადა ტრანსფორმაცია. გაიზარდა განქორწინების, მარტოხელა დედების, ხელახალი ქორწინების რიცხვი. საზოგადოებამ ღიად დაიწყო ოჯახურ კონფლიქტებსა და ძალადობაზე მსჯელობა.

ოჯახში არსებული ქცევის მოდელები და რეალობაში არსებული ფუნქციების გადანაწილება ოჯახის წევრებს შორის, ბუნებრივია, ეფუძნება წარმოდგენებს და რწმენებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ოჯახი. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახში არსებული ქცევის მოდელებთან ერთად კვლევის ფარგლებში მომხდარიყო იმის შესწავლა, თუ რა განწყობა და დამოკიდებულებები დაედება საფუძვლად ქართული საზოგადოების წევრების – სტუდენტი ახალგაზრდების ქცევას ახლო მომავალში, როცა ისინი შექმნიან ოჯახს.


სტუდენტებმა მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულების რიგ საკითხებში დემოკრატიული დამოკიდებულება გამოამჟღავნეს. მათი აზრით, აუცილებელია მოხდეს ქალის თვითრეალიზაცია, მის მიერ ოჯახის დიასახლისისა და დედის როლის შეთავსების შედეგად. სტუდენტების აზრით უკვე აღარ არის „ყველასთვის უმჯობესი, როცა მამაკაცი მუშაობს, ხოლო ქალი მხოლოდ საოჯახო საქმეებით არის დაკავებული“. ამგვარად აზროვნებს სტუდენტთა ორივე სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა (68,2%), გოგონებმა გამოხატეს მაღალი თვითშეფასება და თანასწორობისაკენ მიდრეკილება. (ცხრილი 1) სავარაუდოა, რომ ამგვარი თვითაღქმის მქონე გოგონები აქტიურები იქნებიან საზოგადოებრივ საქმიანობებში, დასაქმებაში, ბიზნეს-საქმიანობაში.

როგორც ადრე ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, ქართული ტრადიციული აღქმები და ჩვეულებები ქართველ ქალს ხატავდა როგორც მორჩილ ცოლს, დიასახლისსა და დედას. ქალის სამსახური და კარიერა ნაკლებად მნიშვნელოვნად ითვლებოდა. მოიაზრებოდა, რომ ქალის სრული რეალიზაცია შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მის მიერ ოჯახის შექმნის და მეუღლისა და

დედის როლის შეთავსების შედეგად, მაშინ, როდესაც მამაკაცის შემთხვევაში სრულიად საპირისპიროდ აღიქმებოდა, კარიერა და ოჯახი ერთნაირად მნიშვნელოვნად ან კარიერას უფრო დიდი წონა აქვს ვიდრე ოჯახს. შესაბამისად, სოციალურ დონეზე ქალს მოეთხოვებოდა, რომ მამაკაცის მორჩილი ყოფილიყო, მისი სურვილის შესაბამისად ემოქმედა და საკუთარი სურვილები და მოთხოვნები უკან გადაეწია. ამგვარი აღქმები ზოგადად დამახასიათებელია მამაკაცის მიერ დომინირებულ, პარტიარქალურ საზოგადოებაში და საქართველოც სწორედ ამგვარ საზოგადოებად მიიჩნეოდა. ბევრი კონსერვატიული მკვლევარი თვლის, რომ დასაქმებული ქალი სათანადო ყურადღებას ვეღარ უთმობს საოჯახო საქმეებს და ბავშვებს. რაც ხშირად მამაკაცის აღზრდობას და კონფლიქტს იწვევს, რომელიც შეიძლება ფიზიკურ ძალადობაშიც გამოიხატოს.⁴⁸

რესპონდენტ სტუდენტებში ქალსა და მამაკაცს შორის ამგვარი დამოკიდებულება არ შეიმჩნევა. ორივე სქესის სტუდენტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (90,7%) თვლის, რომ „ქმარს საკმარისი მიზეზი არ აქვს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენოს ცოლს, თუ ცოლი არ ასრულებს საოჯახო საქმეს ისე როგორც ქმარს სურს.“


დიაგრამა 1. სტუდენტთა დამოკიდებულება მეუღლეთა თანასწორობისადმი



⁴⁸ Family Connection and Happiness. Fostering A Closr Relationship With Your Family. By Elizabeth Scott, M.S. Updated January 05, 2007.

ოჯახის შიგნით კაცისა და ქალის თავისუფლების ხარისხის თვალსაზრისით საინტერესო იყო შეკითხვები მეგობრების არჩევასა და სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით. კვლევის მონაწილეების უფრო დიდი ნაწილი თვლის, რომ მეუღლეები პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთს სექსუალური ურთიერთობების დაკმაყოფილებისას (72%), ხოლო მოსაზრებას, იმის შესახებ რომ, ოჯახის წევრებს უნდა შეეძლოთ მეგობრების არჩევა, მაშინაც კი, როცა ოჯახის დანარჩენი წევრები წინააღმდეგნი არიან მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებენ (42%). სამი პროცენტით ნაკლებია იმ რესპონდენტების რაოდენობა ვინც ამ მოსაზრებას სრულად იზიარებს

დიაგრამა 2. სტუდენტთა დამოკიდებულება ოჯახში მამაკაცისა და ქალის თავისუფლების ხარისხის შესახებ




როგორც, ადრე ჩატარებული, სხადასხვა კვლევის შედეგები აჩვენებს, საქართველოში, და კონკრეტულად კი, ქართულ ოჯახებში ადგილი ჰქონდა გარკვეულ იერარქიულ მიმართებებს ოჯახის ქალ და მამაკაც წევრებს შორის. ამას მოწმობს კვლევის შედეგად გამოვლენილი გენდერული სუბორდინაცია და გენდერულ როლებთან დაკავშირებული აღქმები, სტერეოტიპები და სოციალური ნორმები. საინტერესოა, სტუდენტების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ისინი ქალში მოიაზრებენ არა მხოლოდ დიასახლისს და შვილების

აღმზრდელს არამედ როგორც აქტიურ პიროვნებას, მოსამსახურეს-საკუთარი შემოსავლების მქონე ადამიანს, რომელსაც, მამაკაცის თანასწორად, შეუძლია იზრუნოს საკუთარ კარიერაზე. ცოლი, სტუდენტთა აზრით, აღარ არის მამაკაცის მორჩილი. ამგვარი დამოკიდებულება გაამყარა ოჯახის ბიუჯეტის შედგენა-დახარჯვის საკითხზე მათმა მოსაზრებამ. რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი (67%) თვლის, რომ ოჯახის ბიუჯეტი (შემოსავალი) ოჯახის წევრთა შეთანხმებით უნდა შედგეს და დაიხარჯოს. ამ მოსაზრებას იზიარებს ორივე სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა. ამჟამად, რომ სტუდენტები ოჯახში მეუღლეთა თანაბარ გავლენას ანიჭებენ უპირატესობას, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში პარტნიორობის სინკრეტულ ტიპს უწოდებენ.

ოჯახის პრობლემების შემსწავლელი ერთ-ერთი თეორია სიმბოლური ინტერაქციონიზმი, ყურადღებას ამახვილებს რა ოჯახის წევრების ურთიერთქმედებასა და წყვილების სიახლოვეზე, აღნიშნავს, რომ ის მნიშვნელოვნადაა დაფუძნებული სიტუაციის ერთნაირად გაგებაზე. თუმცა არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა სიტუაციის სხვადასხვაგვარი აღქმა-გაგება ხდება. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა შორის, როგორი ურთიერთობა უნდა იყოს, უნდა დაემორჩილნონ თუ არა ისინი ერთმანეთს? ამ საკითხს სტუდენტების უმრავლესობა (49%) ნაწილობრივ იზიარებს.

დიაგრამა 3. ძალაუფლების იერარქია ოჯახში



რაც იმის მაუწყებელია, რომ ცოლ-ქმრის ერთმანეთისადმი მონური მორჩილება მათთვის მიუღებელია.

ცოლქმრობის დროს წმინდა პირადი გრძნობადი ლტოლვა გარდაიქმნება ურთიერთშეგუებად და ერთობლივ საქმიანობად მეუღლეობის ამოცანების შესასრულებლად. ეს არის იმის აღიარება, რომ მათ შესწევთ უნარი შეასრულონ ახალი მოვალეობები. რადგან მეუღლეთა ურთიერთშეგუების პერიოდი ამავე დროს არის ახალი სოციალური როლების მიღების პერიოდიც. ურთიერთშეგუება შეიძლება წარმატებით განხორციელდეს და ცოლქმრობა გადაიქცეს ჰარმონიულ და შეკრულ ჯგუფად, ან პირიქით, არ განხორციელდეს წარმატებით და მუდმივი დაპირისპირების და იძულებითი თანამშრომლობის მდგომარეობაში იყოს. ცხადია, არ არსებობს ოჯახი, სადაც მეუღლეთა ურთიერთობაში, თუნდაც სულ მცირე უკმაყოფილებას არ ჰქონდეს ადგილი. მაგრამ ოჯახის სიმტკიცის შენარჩუნებისთვის საჭიროა უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოჯახის წამყვან კომპონენტად შიდაოჯახური ურთიერთობები გვევლინება, რომელიც გამოდის როგორც ოჯახის წევრებს შორის კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების კონკრეტული სისტემა. ოჯახურ ურთიერთობებს განსაზღვრავენ წევრთა გრძნობები, აღზრდით მიღებული ტრადიციები, აღმსარებლობა, სამართლის ნორმები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ოჯახის წევრთა შეკავშირება. იქმნება შინაგანი კულტურული გარემო, სადაც ხორციელდება ოჯახის მნიშვნელოვანი ფუნქციები.

შევისწავლეთ სტუდენტთა აზრი მეუღლეთა შორის უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზების შესახებ. მათ მიეცათ ჩამონათვალი. მათგან უნდა გამოეყოთ პირველი, მეორე და მესამე მნიშვნელობის მიზეზები. პირველი მნიშვნელობის მიზეზებში ყველაზე ხშირად დასახელდა დამოკიდებულება მავნე ჩვევებისადმი (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, აზარტული თამაშები - 42%). მათ შორის ყველაზე ხშირად ნარკომანია დასახელდა (18%), შემდეგ ალკოჰოლიზმი (13%) და ბოლოს აზარტული თამაშები (11%).⁴⁹ თუ არ მოვახდენთ ამ მავნე ჩვევების გაერთიანებას, მაშინ

⁴⁹ მონაცემები გამოთვლილია დასახელებული პასუხების მიხედვით.

ოჯახში მეუღლეთა შორის უთანხმოების მიზეზების ჩამონათვალში პირველი ხუთი ადგილი ასე გადანაწილდება: ოჯახისადმი უყურადღებობა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ექვიანობა, აზარტული თამაშები. რესპონდენტთა სქესის მიხედვით მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ მეუღლეთა შორის უთანხმოების პირველი მნიშვნელობის მიზეზების ხუთეული არ იცვლება, თუმცა იცვლება მათი რიგითობა, რაც ნათლად ჩანს მეოთხე ცხრილში.

ცხრილი 1. მეუღლეთა შორის უთანხმოების გამომწვევი პირველი მნიშვნელობის მიზეზები⁵⁰

| | მამაკაცი | ქალი | სულ |
|--|----------|------|------|
| ოჯახისადმი უყურადღებობა | 35,1 | 35,6 | 35,4 |
| დედამთილ-მამამთილთან დაძაბული ურთიერთობა | 4,3 | 7,1 | 5,8 |
| სიდერ-სიმაერთან დაძაბული ურთიერთობა | 5,4 | 3,1 | 4,2 |
| აზრთა სხვადასხვაობა ბავშვთა აღზრდის საკითხებში | 8,3 | 3,4 | 5,6 |
| ალკოჰოლიზმი | 25,8 | 24,5 | 25,1 |
| ნარკომანია | 32,3 | 35,9 | 34,2 |
| აზარტული თამაშები | 24,4 | 22,3 | 20,6 |
| ექვიანობა | 26,2 | 22,3 | 24,1 |
| ხასიათის შეუთავსებლობა | 10,8 | 11,5 | 11,2 |
| სექსუალური შეუთავსებლობა | 14,7 | 10,2 | 12,3 |
| ოჯახის ბიუჯეტის უყაირათო ხარჯვა | 6,5 | 7,7 | 7,1 |
| ცუდი საცხოვრებელი პირობები | 6,1 | 8,4 | 7,3 |

რაც შეეხება მეორე და მესამე მნიშვნელობის მიზეზების განაწილებას პირველი ხუთეულის მიხედვით რესპონდენტთა სქესის გათვალისწინებით, ამგვარ სურათს იძლევა: მეუღლეთა შორის უთანხმოების მეორე მნიშვნელობის ხუთეული მამაკაცების აზრით მოიცავს შემდეგ მიზეზებს: ექვიანობა, დედამთილ-მამამთილთან დაძაბული ურთიერთობა, აზრთა სხვადასხვაობა ბავშვების აღზრდის საკითხებში და ალკოჰოლიზმი (თანაბარი მაჩვენებლით), ნარკომანია, ხასიათის შეუთავსებლობა. ხოლო ქალი რესპონდენტების აზრით: ალკოჰოლიზმი, ექვიანობა,

⁵⁰ ცხრილში მონაცემები გაკეთებული რესპონდენტთა რაოდენობიდან

ნარკომანია და აზარტული თამაშები (თანაბარი მაჩვენებლით), სექსუალური შეუთავსებლობა და დედამთილ-მამამთილთან დაძაბული ურთიერთობა.

მესამე მნიშვნელობის მიზეზები მამაკაცი რესპონდენტების აზრით არის: აზარტული თამაშები და ცუდი საცხოვრებელი პირობები (თანაბარი მაჩვენებლით), ხასიათის შეუთავსებლობა, ექვიანობა, ოჯახის ბიუჯეტის უყაირათო ხარჯვა, ოჯახისადმი უყურადღებობა. ქალი რესპონდენტების აზრით კი: ექვიანობა, აზარტული თამაშები, ოჯახისადმი უყურადღებობა, ცუდი საცხოვრებელი პირობები, ნარკომანია.

დამოკიდებულება ისეთი მავნე ჩვევებისადმი, როგორცაა ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და აზარტული თამაშები, რესპონდენტებმა აღნიშნეს პირველ მეორე და მესამე მნიშვნელობის მიზეზებში, რომლებიც მეუღლეთა შორის უკმაყოფილებას იწვევენ. გარდა იმისა, რომ ეს მავნე ჩვევები აუარესებს სოციალურ ურთიერთობებს მეუღლეს შორის ანადგურებს ოჯახის ბიუჯეტს. რაც ხშირ შემთხვევაში არა მხოლოდ უკმაყოფილების არამედ კონფლიქტის მიზეზიც ხდება. ოჯახში ადამიანი ეძებს ემოციურ კომფორტს, და ურთიერთმხარდაჭერას. კარგი კომუნიკაცია და გრძობების გაზიარება ხელს უწყობს ჰარმონიულ ურთიერთობებს, ეს კი კონფლიქტის დროს შეუძლებელია. კონფლიქტის დროს დაგროვილი დაძაბულობა იწვევს მუდმივ გაღიზიანებას, აგრესიულობას, რასაც შეიძლება მოჰყვეს ძალადობა.

მეორე მნიშვნელობის მიზეზების ხუთეულში ორივე სქესის რესპონდენტებში მოხვდა დედამთილ-მამამთილთან დაძაბული ურთიერთობა. ოჯახში ახალი წევრის შესვლით ჩნდება ახალი როლები და მოვალეობები. ხშირია შემთხვევები როცა მშობლებს უჭირთ ახალი ურთიერთობების დამყარება და ხშირად გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ერევან მეუღლეთა ურთიერთობებში, რაც თავისთავად ცხადია, კონფლიქტის და ძალადობის მიზეზიც შეიძლება გახდეს.

საინტერესო იყო რესპონდენტთა მოსაზრება ოჯახის წევრებისაგან შეურაცხყოფის მოთმენასთან დაკავშირებით. კვლევის მონაწილეების საკმაოდ დიდი ნაწილი (65%) მიიჩნევს, რომ ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, ოჯახის

წევრებმა არ უნდა მოითმინონ შეურაცხყოფა ოჯახის სხვა წევრებისაგან. როდესაც საკითხი ეხება განქორწინებას, მაშინ რესპონდენტთა აზრი მკვეთრად გამოხატული არ არის. მათი უმეტესობა (43%) მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება მოსაზრებას, რომ განქორწინება საუკეთესო გამოსავალია როდესაც წყვილი ვერ აგვარებს ოჯახურ პრობლემებს და ხშირად აქვს უთანხმოება. სავარაუდოდ, ახალგაზრდების ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია არა გაურკვევლობიან, არამედ ოჯახური პრობლემების კონკრეტული მიზეზების არ ცოდნით. 32%-მა მკვეთრად დააფიქსირა თავისი აზრი და მოსაზრებას დაეთანხმა. ისინი უფრო კატეგორიულები აღმოჩნდნენ.

თუნდაც აზრის დაფიქსირების დონეზე მსგავსი დამოკიდებულების არსებობა პროგრესულად შეიძლება მოვიაზროთ, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში განქორწინება ბევრ ბარიერთან და დაბრკოლებასთან შეიძლება იყოს ასოცირებული, განსაკუთრებით ქალის შემთხვევაში. საინტერესოა, რომ ქალი რესპონდენტები უფრო კატეგორიულები არიან და უფრო მეტად ეთანხმებიან განქორწინებას (35%) ხშირი უთანხმოების პირობებში, ვიდრე მამაკაცები (27%). ხშირი უთანხმოება გადაიზრდება კონფლიქტში. მუდმივი კონფლიქტი კი აგრესიას აყალიბებს რასაც ადრე თუ გვიან ძალადობა მოჰყვება. ის ერთ პატარა თოვლის გუნდას გავს, რომელიც შეიძლება ზვავად იქცეს.

Nana Menabdishvili

Respondent students notions about spouses interdependence

Abstract

Students expressed democratic attitude towards wives of the interdependence. In their view, women must be self-realization, no longer is "best for everyone when men work and women are busy with only household". They are considered to be equal spouses. Considering

that the family budget should be spent in agreement with each other. In case of disagreement, exclude slavish each other. The husband does not have sufficient reason to physically abuse his wife, if the wife does not work the way he wants to fulfill family. Most of the respondents believe that should be respected sexual satisfying between spouses. Causing discontent, among the first in the family of the spouses, is often mentioned as a cause of the harmful habit dependence (alcoholism, drug addiction, gambling, -42%). Drug Addiction is frequency in the first place.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Sociology: Understanding and Changing the Social World, Brief Edition, V. 1. 0. Steven E. Barkan, Sociological Perspectives on the Family.

2. Family Connection and Happiness. Fostering A. Closr Relationship With Your Family. By Elizabeth Scott, M.S. Updated January 05, 2007.

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული წარმოდგენები და დამოკიდებულებები

ოჯახში მნიშვნელოვანია ურთიერთობის ორი ტიპი: ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის და ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის. ამ ურთიერთობათა ხასიათი განსაზღვრავს ოჯახის სახეს. იდეალური ოჯახი სიხარულის და დახმარების წყაროა. აქ ოჯახის ყველა წევრი თავს ბედნიერად და დაცულად გრძნობს. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ არც თუ იშვიათია ისეთი ოჯახები სადაც ძალადობენ ოჯახის წევრებზე. ოჯახური ურთიერთობებიდან გამომდინარე ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ქმრის ძალადობა ცოლზე და მშობლების ძალადობა შვილებზე. თუმცა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს ინვალიდი, მოხუცი და მამაკაცი. „პარადოქსია, მაგრამ ქალებზე ძალადობას სწორედ ის მამაკაცები სჩადიან, რომლებიც, როგორც წესი, მათი სიყვარულის წყარო და ემოციური და ფინანსური მხარდამჭერნი არიან.“⁵¹

ძალადობა არა მარტო პიროვნების ძალმომრეობაა, არამედ მისი შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება. ძალადობა ხშირად მოიაზრება როგორც კრიმინალი, მაგრამ ოჯახში ძალადობა სხვა სახის ძალადობისაგან იმით განსხვავდება, რომ უმეტეს შემთხვევაში ის ოჯახის ფარგლებს არ სცილდება.

ბოლო პერიოდში ჩვენი საზოგადოება ოჯახში ძალადობისადმი სულ უფრო გახსნილი და შეუწყნარებელი ხდება. ოჯახში ძალადობა არც ახალი პრობლემაა და არც მხოლოდ ჩვენი საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. ის გლობალური სენია და მისგან არაა არც ერთი საზოგადოება დაცული. ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის ხშირად არ სცილდება ოჯახის ფარგლებს.

საქართველოში ტრადიციულად ჩაკეტილი ტიპის

⁵¹ <http://www.nplg.gov.ge/> ლალი ყიფშიძე, ძალადობა ოჯახში და ქალთა სოციალური პრობლემები.

საზოგადოებაა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. ამ გზაზე ჩვენმა ქვეყანამ უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განიცადა, რაც გამოიხატება: სამოქალაქო ომში, ეკონომიკურ რღვევა, ინფლაცია, კორუფცია, უმუშევრობა, შეიარაღებულ კონფლიქტებში, რასაც მოჰყვა ტერიტორიის დაკარგვა. ყოველივე ამან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მოქალაქეთა სოციალურ აზროვნებაზე. მოქალაქეები არასტაბილურ და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ხშირ შემთხვევაში მამაკაცს აღარ შეეძლო ოჯახის რჩენა და ეს ფუნქცია ქალმა აიღო. მათ ოჯახის რჩენის მიზნით ისეთი სამსახურის შესრულება დაიწყეს, რომელიც არ შეესაბამებოდა მათ განათლებასა და კვალიფიკაციას. ხშირად ისინი ოჯახსაც ტოვებდნენ და საზღვარგარეთ მიდიოდნენ. ეს კი იწვევდა ოჯახური ღირებულებების გადაფასებას, მეუღლეთა ურთიერთობების შეცვლას, გაუცხოებას და ა.შ. რაც ოჯახური პრობლემების მნიშვნელოვანი მიზეზია.

საშობაო ეპისტოლეში უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ახასიათებს, რა დღევანდელ ყოფას, ბრძანებს: „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. დღეს ისეთი ყოფა მკვიდრდება, რომელშიც ყველა ეძებს თავისას და არა იმას, რაც სათნოა ქრისტესათვის (ფილ. 2,4). სიცრუე იქცა დადებით მოვლენად, სხვაზე გადაბრალება - ჩვეულებად, გულგრილობა - წესად, უზნეობა და თავაშვებულობა - მისაზამად, ცილისწამება და ძალადობა - ყოველდღიურ მოვლენად; ანუ ღვთის შიშის გარეშე მცხოვრებლთათვის ცოდვითი ყოფა ნორმად ხდება. მათი რიცხვი კი ყველგან იზრდება. აგრესია განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდებში და მამაკაცების გარკვეულ ნაწილში: განსაკუთრებით მათში, რომელნიც უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩნენ და ოჯახის მარჩენლისა და და მასზე მზრუნველის ფუნქცია დაკარგეს. ეს ტვირთი დაემატა ქალს, რამაც მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და ცოლსა და ქმარს შორის ფუნქციური ბალანსი სრულიად დაარღვია. ეს კი იწვევს ორივე მხარის დამაბულობასა და გაღიზიანებას, რაც, სამწუხაროდ,

ზოგჯერ ქალის სიცოცხლის ხელყოფით მთავრდება.⁵²

ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი მიძღვნილი არაერთი კვლევა ჩატარებულა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ყველა ანგარიში და კვლევა ეხებოდა ოჯახში ძალადობის მასშტაბებს და პრობლემის შესახებ ინფორმირებულობას. ჩვენი კვლევა უკვე ჩატარებული კვლევებისაგან იმით განსხვავდება, რომ ჩვენ შევისწავლეთ სტუდენტების წარმოდგენები, დამოკიდებულებები წამოჭრილი პრობლემისადმი, რასაც ოჯახში ძალადობა ჰქვია. ახალგაზრდების ამ სოციალური ჯგუფის ინფორმირებულობის, დამოკიდებულების და სოციალური ცნობიერების შესწავლა, საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ რამდენად არიან ისინი მზად ჰარმონიული ოჯახის შესაქმნელად.

დიდ სოციალურ სისტემებზე გათვლილი ძალადობის დეფინიცია ამგვარია: ძალადობა მოიცავს უკანონო ქმედებათა ყველა სახეს, გამოხატულს მუქარით ან ქმედებით, რომელსაც შედეგად მოჰყვება ქონების დაზიანება ან განადგურება, ანდა პიროვნების შეურაცხყოფა ან სიკვდილი. ოჯახი სახელმწიფოს საფუძველია, რაც გარკვეულ მიკროსქემას ქმნის - სახელმწიფო სახელმწიფოში. მაკრო და მიკრო სისტემებს შორის გასაოცარი კანონზომიერება არსებობს, ერთის მდგომარეობა და კეთილდღეობა განსაზღვრავს მეორის მდგომარეობას და კეთილდღეობას, და პირიქით. ამდენად ძალადობის განმარტება ოჯახზეც ვრცელდება, ოღონდ მოქმედებს შემცირებული მასშტაბით.

ოჯახში ძალადობის ფორმები: ფიზიკური ძალადობა (ცემა), სექსუალური ძალადობა, მუქარა, ემოციური ძალადობა (სისტემატიური ყვირილი, გინება), საზოგადოებისაგან იზოლაცია, რაიმე ქმედების მუქარით აკრძალვა, დაშინება და ა.შ.⁵³

რესპონდენტთა ინფორმირებულობის გასარკვევად მივეცით ჩამონათვალი და მათ უნდა აღენიშნათ თითოეულ მათგანზე იყო თუ არა ძალადობის გამოვლენა.

⁵² სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე, 23:55 06-01-2015.

⁵³ <http://www.nplg.gov.ge/> ლალი ყიფშიძე, ძალადობა ოჯახში და ქალთა სოციალური პრობლემები.

ცხრილი 1. მიგაჩნიათ თუ არა ძალადობის გამოვლენად

| | დიახ, ძალადობის გამოვლენაა | | |
|---|----------------------------|------|------|
| | მამაკაცი | ქალი | სულ |
| ცემა | 93,5 | 98,2 | 96,0 |
| იძულებითი სქესობრივი ურთიერთობა | 84,6 | 91,3 | 88,2 |
| საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ მოქმედების იძულება | 77,4 | 90,1 | 84,2 |
| საჯარო დამცირება | 75,3 | 83,3 | 79,6 |
| მეგობრებთან ურთიერთობის აკრძალვა | 65,9 | 82,4 | 74,8 |
| ოჯახის რომელიმე წევრისათვის მუშაობის აკრძალვა | 57,3 | 81,4 | 70,3 |
| სიტყვიერი მუქარა | 50,3 | 75,5 | 63,9 |
| გინება ოჯახის წევრის მიმართ | 41,9 | 72,4 | 58,3 |
| საოჯახო ან სხვა საგნების მოხმარების აკრძალვა | 43,4 | 59,8 | 52,2 |
| სისტემატიურად ფულის მიუცემლობა | 33,3 | 51,4 | 43,0 |
| წყევლა ოჯახის წევრის მიმართ | 33,7 | 49,8 | 42,4 |

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ რესპონდენტები კარგად ერკვევიან ძალადობის სახეებში. თუმცა გოგონები უფრო ინფორმირებულები არიან, ვიდრე ვაჟები. ამასთან გოგონებიც და ვაჟებიც გინებას უფრო მეტად მიიჩნევენ ძალადობად, ვიდრე წყევლას. ის რესპონდენტი გოგონები, ვინც აღნიშნა, რომ გინება ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის გამოვლენაა 22,6%-ით უსწრებს მათ, ვინც წყევლას თვლის ძალადობის გამოვლენად. ხოლო ვაჟებში განსხვავება ასეთი მაღალი არ არის - 8,2%-ია.

ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები, რესპონდენტებს უნდა დაეღაგებინათ მნიშვნელობის მიხედვით; „პირველი მნიშვნელობის“, „მეორე მნიშვნელობის“ და „მესამე მნიშვნელობის“. ძალადობის გამომწვევი პირველი მნიშვნელობის მიზეზებში

აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება გოგონა და ვაჟ რესპონდენტებს შორის. გოგონებში ძალადობის გამომწვევი პირველი მნიშვნელობის ხუთეულში მოხვდა: ალკოჰოლური სასმელების მოხმარება, ეჭვიანობა, ნარკოტიკის მოხმარება, განათლების დაბალი დონე და არასწორი აღზრდა, ოჯახის წევრის ღალატი. ვაჟ რესპონდენტებში ოჯახის წევრის ღალატი პირველ ადგილზეა. მას მოჰყვება ალკოჰოლური სასმელების მოხმარება, ნარკოტიკის მოხმარება, ეჭვიანობა, ოჯახის წევრის მოტყუება. (ცხრილი 2)

ცხრილი 2. ოჯახური ძალადობის გამომწვევი პირველი მნიშვნელობის მიზეზები

| | მამაკაცი | ქალი | სულ |
|--|----------|------|------|
| ოჯახის წევრის მოტყუება | 19,0 | 12,1 | 15,3 |
| საოჯახო საქმეების არათანაბარი განაწილება | 1,4 | 2,5 | 2,0 |
| აზრთა სხვადასხვაობა ბავშვების აღზრდის საკითხებში | 4,3 | 1,2 | 2,7 |
| ალკოჰოლური სასმელების მოხმარება | 29,0 | 26,9 | 27,9 |
| ნარკოტიკის მოხმარება | 27,9 | 19,8 | 23,6 |
| ოჯახის წევრის ღალატი | 33,0 | 16,1 | 23,9 |
| უთანხმოება ოჯახის ბიუჯეტის განაწილებისას | 4,3 | 0,6 | 2,3 |
| მატერიალური გაჭირვება | 15,8 | 11,8 | 13,6 |
| უმუშევრობა | 14,7 | 12,7 | 13,6 |
| გაუარესებული საბინაო მდგომარეობა | 3,9 | 5,9 | 5,0 |
| ნათესავთა ჩარევა ოჯახის საქმეებში | 4,3 | 4,9 | 4,7 |
| ეჭვიანობა | 23,7 | 22,9 | 23,3 |
| განათლების დაბალი დონე და არასწორი აღზრდა | 7,5 | 17,6 | 13,0 |
| გავლენის ძალაუფლების მოპოვების სურვილი | 5,0 | 6,5 | 5,8 |
| სიყვარულის დეფიციტი ოჯახში | 10,0 | 11,8 | 11,0 |
| არასასურველი ფეხმძიმობა | 0,7 | 0,0 | 0,3 |

საკურადღებოა, რომ მატერიალური გაჭირვება, უმუშევრობა და სიყვარულის დაფიციტი ოჯახში, არ მოხვდა არც ვაჟების და არც გოგონების დასახელებულ პირველი მნიშვნელობის ხუთეულში. რაც იმის მაუწყებელია, რომ მათ არ მიაჩნიათ ძალიან

მნიშვნელოვნად არც ეკონომიურ-სოციალური და არც დადებითი ემოციის დეფიციტი ძალადობის პირველი მნიშვნელობის მიზეზად. თუმცა ეს განხილული მიზეზები მეორე მნიშვნელობის ხუთეულში მოხვდა. ვაჟებთან ნათესავთა ჩარევა ოჯახის საქმეებში და სიყვარულის დეფიციტი, ხოლო გოგონებთან მატერიალური გაჭირვება, სიყვარულის დეფიციტი ოჯახში და გავლენისა და ძალაუფლების მოპოვების სურვილი, თანაბარი მაჩვენებლით, შვეიდა ხუთეულთა სიაში. მესამე მნიშვნელობის ხუთეულში უკვე დასახელებული მიზეზები მოხვდა, მხოლოდ განხვავება ის არის, რომ ვაჟების დასახელებულ მიზეზებში თანაბარი მაჩვენებლით შვეიდა განათლების დაბალი დონე და არასწორი აღზრდა და გავლენისა და ძალაუფლების მოპოვების სურვილი.

ოჯახში ძალადობის ფაქტები ახალი არ არის, თუმცა ადრე ასეთი ფაქტები არ ხმაურდებოდა. რადგან სირცხვილად ითვლება. ამას ისიც ემატება, რომ ასეთი ფაქტები გარეშე თვალთაგან დაფარულია, თანაც საზოგადოება ამას უყურებს როგორც ოჯახის შინაურ საქმეს. ტრადიციულად ოჯახი ხელშეუხებელია და მის საქმეებში ჩარევა ცუდ ტონად ითვლება. თითქმის არავინ უჩივის სასამართლოში ქმარს ცემისთვის ან სექსუალური ძალადობისთვის. არავის სიამოვნებს გააგებინოს სხვებს როგორ ცემს და ამცირებს ქმარი. ძალადობას თან ახლავს შიში, შეურაცხყოფა, დეპრესია, საკუთარი ღირსების დაკარგვა, სიბრაზე, ნერვოზი, აგრესია. ასეთ ოჯახებში გაზრდილი მოზარდების ურთიერთობის ფორმა ძალადობა ხდება. ამიტომ ოჯახში ძალადობა ანგრევს არა მარტო მეუღლეთა ურთიერთობებს, არამედ ანადგურებს მომავალი თაობის ფსიქიკას. ოჯახში სოციალიზაციას უდიდესი როლი ენიჭება მოზარდის პიროვნებად ფორმირებაში. თუ მოზარდს ჩაუნერგავ მუდმივად მორჩილების უნარს, ის საკუთარი ღირსების დაცვას ვერ შეძლებს.

მეტად დამაფიქრებელი შედეგები მივიღეთ რესპონდენტთა დამოკიდებულების განხილვისას ოჯახში ძალადობის ფაქტების გამჟღავნების შესახებ. ვაჟების უმრავლესობას გაუჭირდა საკუთარი პოზიციის გამოხატვა. რაც შეეხება გოგონებს, მათმა უმეტესობამ აღნიშნა, რომ ასეთი ფაქტები უნდა გამჟღავნდეს.

ცხრილი 3. უნდა გამჟღავნდეს თუ არა ოჯახის წევრთა შორის ძალადობის ფაქტები

| | მამაკაცი | ქალი |
|-----------------------|----------|------|
| დიახ | 32,6 | 55,1 |
| არა | 26,1 | 10,6 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 41,3 | 34,3 |

იმ რესპოდენტებს, რომელთა აზრითაც არ უნდა გამჟღავნდეს ოჯახში ძალადობა, ვთხოვეთ აღენიშნათ, ის მიზეზი, რითაც დაასაბუთებდნენ თავიანთ პოზიციას. აღმოჩნდა, რომ ვისაც წინა კითხვაზე გაუჭირდა პასუხის გაცემა მათმა ნაწილმაც აღნიშნა მიზეზი, რის გამოც არაა სასურველი ასე მოქცევა. რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათი აზრითაც არ უნდა გასაჯაროვდეს ოჯახში ძალადობის ფაქტები. მხოლოდ თავიანთი დამოკიდებულება შეფარვით გამოხატეს. ასეთი აღმოჩნდა, ვაჟებიდან, ვინც აღნიშნა მიჭირს პასუხის გაცემა, მათი 50,9%, ხოლო გოგონებიდან 61,8%.

მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად სახელდება, ის რომ ეს ოჯახის პირადი საქმეა, მეორე, არ არსებობს პრობლემა რომლის მოგვარებაც არ შეიძლება.

ცხრილი 4. რატომ არ უნდა გამჟღავნდეს ოჯახში ძალადობა

| | მამაკაცი | ქალი | სულ |
|---|----------|------|------|
| ეს ჩრდილს აყენებს ოჯახის პრესტიჟს | 7,6 | 6,9 | 7,3 |
| ეს ლახავს ოჯახის წევრის თავმოყვარეობას | 20,5 | 18,6 | 19,7 |
| ოჯახი, რომ არ დანიგრეს | 7,6 | 8,8 | 8,2 |
| არ არსებობს პრობლემა, რომლის მოგვარებაც არ შეიძლება | 29,0 | 32,3 | 30,5 |
| ეს ოჯახის პირადი საქმეა | 35,3 | 33,4 | 34,3 |

ვფიქრობ, მოყვანილი არგუმენტები თითოიდან გამოწოვილია, რადგან ასეთი ოჯახები ისედაც დანგრეული და პრესტიჟ შელახულია და ოჯახის წევრები თავმოყვარეობა შელახულები არიან. დასაფიქრებელია, რესპოდენტებს ასეთი

შეხედულება რატომ ჩამოუყალიბდათ. სავარაუდოა, რომ მათ არა აქვთ სათანადო ცოდნა საკუთარი უფლებების შესახებ. რაც შეეხება იმ მიზეზს, რომელიც ყველაზე მეტმა რესპონდენტმა დაასახელა - „ეს ოჯახის პირადი საქმეა“, კიდევ ერთხელ ადასტურებას იმას, რომ მათი მენტალიტეტი არაფრით განსხვავდება იმ ადამიანების მენტალიტეტისაგან, რომლებიც, წლების წინ, ფიქრობდნენ, რომ ოჯახში ძალადობა „შინაური საქმეა“ და არ უნდა გავიდეს ოჯახიდან.

2006 წლის 25 მაისს გამოიცა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. ამ კანონის მიზანია ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით შექმნას მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები.⁵⁴ თუმცა, ოჯახში ძალადობა მხოლოდ ამ კანონით არ რეგულირდება. ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის-სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმებიც. მაგრამ მათზე ამჯერად არ შევჩერდებით. ჩვენი მიზანი იყო გაგვეჩვენა რანდენად არიან რესპონდენტები ინფორმირებულები საქართველოს კანონის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. კვლევის შედეგების ანალიზიდან ნათელი გახდა, რომ ამ კანონს არ იცნობს რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი - 83%. ცხადია, მათ არ იციან სახელმწიფოს დონეზე როგორ წყდება ძალადობის გამოვლენა და აღკვეთა. შევეცადეთ გაგვეჩვენა, რესპონდენტთა აზრით ძალადობის შემთხვევაში ვის უნდა მიმართოს მსხვერპლმა.

⁵⁴ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. თბილისი 25 მაისი, 2006 წელი.

ცხრილი 5. რესპონდენტთა აზრით, ძალადობის შემთხვევაში ვის უნდა მიმართოს მსხვერპლმა

| | მამაკაცი | ქალი | სულ |
|---------------------------------|----------|------|------|
| პატრულს | 26,9 | 47,7 | 38,0 |
| სოციალურ მუშაკს | 7,2 | 8,0 | 7,6 |
| ფსიქოლოგს | 7,2 | 9,6 | 8,5 |
| მომღვარს | 9,7 | 7,1 | 8,3 |
| არასამთავრობო ორგანიზაციას | 2,5 | 3,1 | 2,8 |
| საკუთარ მშობლებს, ნათესავებს | 20,8 | 11,8 | 15,9 |
| მეუღლის მშობლებს, ნათესავებს | 5,4 | 2,8 | 4,0 |
| მეგობარს | 5,7 | 2,8 | 4,2 |
| არავის | 8,3 | 4,0 | 6,0 |
| ნებისმიერს, ვისი იმედიც აქვს | 1,8 | 0,9 | 1,3 |
| სამართალდამცავ ორგანოებს | 0,7 | 0,3 | 0,5 |
| ძალადობითვე უპასუხოს | 1,8 | 0,0 | 0,8 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 2,0 | 1,9 | 2,1 |

პასუხები: „საკუთარ მშობლებს, ნათესავებს“, „მეუღლის მშობლებს, ნათესავებს“, „არავის“ კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დამოკიდებულებას, რომ ოჯახში ძალადობა „მინაური საქმეა“ და არ უნდა გასცდეს ოჯახის ფარგლებს. ამგვარი დამოკიდებულება კი შემამოფოთებელია, მით უფრო, რომ რესპონდენტთა მეოთხედზე მეტს შეადგენენ (25,9%), ის ახალგაზრდები, ვინც ასე ფიქრობს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მცირეა, ერთ პროცენტს აღწევს, ის რესპონდენტები, ვისაც მიაჩნია, რომ ძალადობას ძალადობითვე უნდა უპასუხო, მაინც არაჯანსაღი და არასასურველია ამგვარი დამოკიდებულება. მით უფრო რომ რესპონდენტები, ახლა უკვე 4,2% იგივეს პასუხობენ (ძალადობას ძალადობითვე უნდა უპასუხო), როცა საკითხი ეხება ოჯახის წევრის საპასუხო რეაქციას ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში. (ცხრილი 6)

ცხრილი 6. ოჯახის წევრის საპასუხო რეაქცია ფიზიკურ ძალადობაზე

| | მამაკაცი | ქალი | სულ |
|---|----------|------|------|
| სახლიდან წასვლა | 23,3 | 19,2 | 21,1 |
| მოძალადის პასუხისგებაში მიცემა | 28,0 | 45,5 | 37,4 |
| გაფრთხილება, რომ სხვა შემთხვევაში განქორწინდება | 26,9 | 27,6 | 27,2 |
| მოთმენა | 9,0 | 3,4 | 5,9 |
| ძალადობას ძალადობითვე უნდა უპასუხო | 6,8 | 1,9 | 4,2 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 6,0 | 2,4 | 4,2 |

დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ძალადობის ძალადობითვე დაპირისპირების მომხრეები გამოდიან არა მხოლოდ ვაჟები, როგორც ეს წინა შემთხვევაში იყო, არამედ გოგონებიც. თანაც ძალადობის მომხრეთა რაოდენობაც საკმაოდ გაიზარდა. ფიზიკურ ძალადობაზე საპასუხო რეაქციებში დასახელდა „მოთმენა“. თანაც ამას ასახელებს ორივე სქესის წარომადგენელი. მართალია გოგონათა რაოდენობა ჩამორჩება ვაჟებისას, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს ფაქტი საყურადღებოა. ასეთი გოგონები მორჩილებისთვის არიან განწირულნი. მათ არ შეეძლებათ საკუთარი თავისა და უფლებების დაცვა. ვაჟები კი, დიდი ალბათობით, მომავალში, საკუთარი მეუღლეებისაგან მორჩილებას და მოთმენას მოითხოვენ.

საინტერესოა, რის გამო უნდა მოითმინოს ცოლმა ქმრის ძალადობა? რესპონდენტთა აზრის გასაცნობათ მივეცით ჩამონათვალი თეზისების სახით. უნდა გაცნობოდნენ და აღენიშნათ სამი სავარაუდო პასუხიდან „ვეთანხმები“, „ნაწილობრივ ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“ ერთ-ერთი. (ცხრილი7).

გოგონები უფრო კატეგორიულები არიან და ყელა ჩამოთვლილ შემთხვევაში უფრო მეტად, ვიდრე ვაჟებს, მიაჩნათ, რომ ცოლმა არ უნდა მოითმინოს ქმრის ძალადობა. საკითხი როცა ეხება მომავალში ქმრის გამოსწორების იმედით ძალადობის მოთმენას, აქ ვაჟები მოსაზრებას თითქმის თანაბარია ნაწილობრივ დათანხმებისა არ დათანხმებასთან.

ცხრილი 7. მიზეზები, რის გამოც ცოლმა უნდა მოითმინოს ქმრის ძალადობა

| | ვეთანხმები | ნაწილობრივ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | არ უპასუხა |
|---------------------------------------|------------|-----------------------|---------------|------------|
| თუ უყვარს ქმარი | 7,8 | 15,6 | 75,1 | 1,5 |
| თუ არ სურს იყოს მარტოხელა | 7,6 | 12,3 | 78,7 | 1,4 |
| მომავალში ქმრის გამოსწორების იმედით | 8,0 | 30,0 | 60,0 | 2,0 |
| თუ არ აქვს სხვაგან წასასვლელი | 6,9 | 15,9 | 73,4 | 3,8 |
| ბავშვების გამო | 10,6 | 21,0 | 65,9 | 2,5 |
| ოჯახის რეპუტაციის შენარჩუნების მიზნით | 6,5 | 17,3 | 74,6 | 2,6 |

რადგან ყურადღება გავამახვილეთ ცოლის მიერ ძალადობის მოთმენაზე, არ შეიძლება არ შევხებოთ საკიხს, რა შემთხვევაში აქვს ქმარს საკმარისი მიზეზი ცოლზე ძალადობისათვის. დასახელდა სამი მიზეზი ეჭვიანობა, ღალატი და ცოლის მხრიდან საოჯახო საქმეების ქმრის მოსაწონად შესრულება. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა უმეტესობა არცერთ შემთხვევაში, უმეტესწილად არ ამართლებს ძალადობას.

ცხრილი 8. ცოლზე ძალადობისათვის საკმარისი მიზეზები

| | ვეთანხმები | ნაწილობრივ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | არ უპასუხა |
|--|------------|-----------------------|---------------|------------|
| თუ ცოლი ვერ ასრულებს საოჯახო საქმეს ისე, როგორც ქმარს სურს | 4,2 | 11,6 | 75,0 | 9,2 |
| ეჭვიანობა | 15,8 | 23,0 | 59,8 | 1,4 |
| ღალატი | 24,7 | 22,4 | 51,0 | 1,9 |

რესპონდენტის ქცევის გამოსავლენად, მივეცით ასეთი შეკითხვა: „თქვენი ახლობელი, რომ განიცდიდეს ოჯახში ძალადობას, რა სახის დახმარებას გაუწევდით მას?“ მათმა

უმეტესობამ გვიპასუხა, რომ მათი ურთიერთობის მოწესრიგებას შეეცდებოდა. ვაჟებში კვლავ გამოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მოძალადეზე იძალადებდნენ. არც თუ მცირე ნაწილმა (16,9%), აღნიშნა, რომ არაფერს იღონებდა მსხვერპლის დასახმარებლად, იმავე მიზეზით, რომ ოჯახში ძალადობა პირადი საქმეა.

ცხრილი 9. რესპონდენტის საპასუხო რეაქცია, თუკი მისი ახლობელი აღმოჩნდება ოჯახში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი

| | მამაკაცი | ქალი | სულ |
|---|----------|------|------|
| შევატყობინებდი პატრულს | 8,4 | 38,4 | 24,4 |
| ვურჩევდი მიემართა ფსიქოლოგისთვის | 9,3 | 13,9 | 11,8 |
| ვეცდებოდი მათი ურთიერთობის მოწესრიგებას | 52,0 | 31,6 | 42,0 |
| არაფრით, რადგან ოჯახში ძალადობა პირადი საქმეა | 24,0 | 9,3 | 16,9 |
| ვინც იძალადა მასზე ვიძალადებ | 2,2 | 0,0 | 1,0 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 4,1 | 6,8 | 3,8 |

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, აუცილებელია ახალგაზრდების აღზრდა – სწავლებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა. აუცილებელია, მეტი ინფორმაციის მიწოდება ოჯახური ცხოვრების წესზე, ოჯახურ ურთიერთობებზე, ცოლ-ქმრის თანასწორობაზე, გენდერულ თანასწორობაზე, მათ უფლებებსა და მოვალეობაზე. საჭიროა ამ საქმეში ჩაერთოს სკოლა, რადგან ოჯახური გარემო ძალიან დიდ როლს თამაშობს მოზარდის ფსიქიკაზე, მისი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე. რაც შეეხება პიროვნული თვისებების ფსიქოლოგიურ მხარეს. ამ საკითხის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა Dutton-მა. როგორც მისი ფსიქოლოგიური თეორია განსაზღვრავს, ბავშვებში განცდილი სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტრავმა იწვევს მოძალადის დაქვემდებარებულობის განცდას და თუ ის მოხვდა ისეთ გარემოში სადაც წახალისებულია ქალის მიმართ ძალადობრივი

ქცევა ეს აისახება მის მიერ პარტნიორთან ძალადობრივ ურთიერთობებში. (Dutton and Golant, 1995)⁵⁵

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ოჯახში ძალადობის ყველაზე გავრცელებული სახეა ქმრის ძალადობა ცოლზე და მშობლების ძალადობა შვილებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ შვილის ცემას მშობლები ძალადობად არ თვლიან, რატომღაც აღზრდის მეთოდად მიიჩნევენ. თავიანთ ქცევას კი ამართლებენ შვილის ცუდი საქციელით ან უსწავლელობით. მშობელი ამგვარი საქციელით ცდილობს დაიმორჩილოს შვილი და აიძულოს გააკეთოს ის რაც მის ნებას ეწინააღმდეგება. ცემა და იძულება, საკუთარი ნების წინააღმდეგ, ძალადობის ფორმაა. რესპოდენტებს უნდა გამოეხატათ დამოკიდებულება არასრულწლოვანი ბავშვის ფიზიკურ დასჯასთან დაკავშირებით, ბავშვის ცუდი ყოფაქცევის და სწავლის გამო. მათი 70,3% მშობლის მხრიდან განხორციელებულ ამგვარ ქმედებას დაუშვებლად მიიჩნევენ. ეს ტენდენცია შეინიშნება ორივე სქესის წარმომადგენლებში.

ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერად ქმედება, ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისაგან, რომელიც დამყარებულია მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობაზე. ოჯახში ძალადობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მოძალადეც და მსხვერპლიც ერთი ოჯახის წევრები არიან და ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი, ამიტომ უმეტესად ასეთი ფაქტები არ ხმაურდება. ამასთან ძალადობრივი ქმედება მოძალადის მხრიდან „ეფექტურად“ მიიჩნევა მსხვერპლთან ურთიერთობის გასარკვევად. სინამდვილეში ძალადობის თემა მეტად მტკივნეულია, რადგან მის უკან იმალება წყენა, ტკივილი, უბედურება. ამიტომ აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების გატარება.

რესპონდენტებს უნდა გამოეხატათ საკუთარი აზრი ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად საჭირო ზომების შესახებ და დაეჯგუფებინა ისინი „პირველი მნიშვნელობის“, „მეორე მნიშვნელობის“ და „მესამე მნიშვნელობის“ მიხედვით. პირველი მნიშვნელობის საჭირო ზომად რესპონდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ოჯახურ ცხოვრებასა და ოჯახურ ურთიერთობებზე

⁵⁵ www.lfcc.on.ca./maleviolence.pdf.

ახალგაზრდებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდება მიიჩნია. მის მერე სიხშირით გამოირჩევა ქვეყანაში სოციალური პრობლემების მოგვარება. ასევე ახალგაზრდების გენდერული თანასწორობით აღზრდა. მეორე მნიშვნელობის განსახორციელებელ ზომად რესპონდენტები კანონის გამკაცრებას და ეკლესიის როლის გაძლიერებას მიიჩნევენ. რაც შეეხება მესამე მნიშვნელობის ზომებს, აქ ლიდერობს ქორწინებისას საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობა, სადაც გაწერილი იქნება მეუღლეთა უფლება მოვალეობა.

დავეთანხმებით ჩვენს რესპონდენტებს და ვიტყვი, ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად, პირველ რიგში, უნდა ამალდეს საზოგადოებრივი ცნობიერება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ოჯახში ძალადობა საფრთხეს უქმნის და მავნე გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ამიტომ პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა თაობის ჯანსაღად აღზრდას, მათთვის საღი აზრის მიწოდებას, იმ ღირებულებებით აღზრდას რითიც ისინი თავისუფალ და ლალ ადამიანებად ჩამოყალიბდებიან. ამასთან, როგორც ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა, მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსწორება სამუშაო ადგილების შექმნას და ანაზღაურების გაუმჯობესებას შეუძლია.

Lela Menabdishvili

Performances and attitudes related at the violence in the family

Abstract

Respondents-students are well aware of the types of violence. Most of them do not justify violence by the husband at the wife, even wife is unfaithful. However, the importance of the violence in the family causes of cheating men of respondents in the first place. Followed by alcoholism, drugs, jealousy, family members lie. The first five of the importance of violence in the family, for respondents-women are: alcohol consumption, jealousy, drugs, low level education and wrong upbringing. The results were suggestive of the attitude of the respondents to disclose violence in the family. The most part of men

respondents found it difficult to express their own positions. As for the women, most of them said that these facts should be disclosed. Among the reasons, why you do not need to be disclosed domestic violence, most often given is that- this is family's a private matter. On the question of who should apply to victims of violence, the most frequent response was that violence should not go beyond the scope of the family. We believe this issue is of particular concern and it is necessary to inform young people about family life, family relationships, husband and wife equality, gender equality, the rights and duties of the officer.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. თბილისი 25 მაისი, 2006 წელი.
2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე, 23:55 06-01-2015.
3. <http://www.nplg.gov.ge/> ლალი ყიფშიძე, ძალადობა ოჯახში და ქალთა სოციალური პრობლემები.
4. www.lfcc.on.ca./maleviolence.pdf.

ავტორები:

1. **ავთანდილ სულაბერიძე** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. **გიორგი წულაძე** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
3. **ელგუჯა მენაბდიშვილი** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
4. **მზია შელია** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი
5. **ვლადიმერ სულაბერიძე** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი
6. **ვანო შუმტაკაშვილი** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი
7. **ლელა მენაბდიშვილი** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი
8. **ნანა მენაბდიშვილი** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი
9. **ნინო გომელაური** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი
10. **ციცინო გვრიტიშვილი** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი
11. **შორენა წიკლაური** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
12. **მარიამ სულაბერიძე** – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ბაკალავრიატის სტუდენტი

Authors:

1. **Avtandil Sulaberidze** – Director of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economic Sciences, Professor
2. **Giorgi Tsuladze** – Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Historical Sciences, Professor
3. **Elguja Menabdishvili** – Assistant-Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economic Sciences
4. **Mzia Shelia** – Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economics
5. **Vladimer Sulaberidze** – Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economics
6. **Vano Shushtakashvili** – Deputy Director of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economics, Researcher
7. **Lela Menabdishvili** – Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economics
8. **Nana Menabdishvili** – Assistant-Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economics
11. **Nino Gomelauri** – Assistant-Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University
12. **Tsitsino Gvritishvili** – Assistant-Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University
13. **Shorena Tsiklauri** – Doctoral student of Ilia State University, Researcher of the Institute of Demography and Sociology
14. **Mariam Sulaberidze** – Bachelor student of Georgian-American University, School of Law.